

სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი
SOKHUMI STATE UNIVERSITY

განათლება

სამართაშორისო პერიოდული ჟურნალი

EDUCATION

International Periodical Journal

№7, 2015

თბილისი- სოხუმი
Tbilisi – Sokhumi

UDC (უაკ) 37
გ-20

მთავარი რედაქტორი:
ლია ახალაძე

Editor-in-chief:
LIA AKHALADZE

რედაქტორები:
თამარ ჯარანდია
თამარ შინჯიაშვილი
რუსუდან შიშია
კახა კვაშილავა

Editors:
TAMAR ZARANDIA
TAMAR SHINJIASHVILI
RUSUDAN PIPIA
KAKHA KVASHILAVA

სარეცენზიო საბჭო:

ჯონი აფაქიძე (სოხუმი/თბილისი, საქართველო), **შოთა ახალაძე** (სოხუმი/თბილისი საქართველო), **ომარ არდაშელია** (სოხუმი/თბილისი, საქართველო), **რომეო გალდავა** (სოხუმი/თბილისი, საქართველო), **ნანა გუდსმიტი** (ნიუ-იორკი, აშშ), **სტივენ გუდსმიტი** (ნიუ-იორკი, აშშ), **ეკა დადიანი** (ქუთაისი, საქართველო), **დავით ჯურაბაშვილი** (თბილისი, საქართველო) **მკვნიანი კურსინსკი-ზინგერი** (ჰამბურგი, გერმანია), **ალბერტო დე ოლივეირა** (რიო დე-ჟანეირო, ბრაზილია), **დავით მალაზონია** (თბილისი, საქართველო), **თეიმურაზ პაპასკირი** (თბილისი, საქართველო), **რონდა სოფერი** (ხაიფა, ისრაელი) **ირმა კურდაძე** (ახალციხე, საქართველო), **ჰანს იოაკიმ შრამი** (ბრემენი, გერმანია), **ბეჟან სორავა** (სოხუმი/თბილისი, საქართველო), **მარინე ხუბუა** (სოხუმი/ თბილისი საქართველო);

REFEREE BOARD:

JONI APAKIDZE (Sokhumi/Tbilisi, Georgia), **SHOTA AKHALAIA** (Sokhumi/Tbilisi, Georgia), **OMAR ARDASHELIA** (Sokhumi/Tbilisi, Georgia), **ROMEO GALDAVA** (Sokhumi/Tbilisi, Georgia), **NANA GOUDSMITT** (New York, USA), **STIVEN GOUDSMITT** (New York, USA), **EKA DADIANI** (Kutaisi, Georgia), **DAVID ZURABASHVILI** (Tbilisi, Georgia), **EVGENIA KURSHINSKI – ZINGER** (Hamburg, Germany) **ALBERTO DE OLIVEIRA** (Rio-de Janeiro, Brazil), **DAVID MALAZONIA** (Tbilisi, Georgia), **TEIMURAZ PAPASKIRI** (Tbilisi, Georgia), **RHONDA SOFER** (Haifa, Israel), **IRMA KURDADZE** (Akhalcikhe, Georgia), **HANS - JOACHIM SHRAMM** (Bremen, Germany), **BEJAN KHORAVA** (Sokhumi/ Tbilisi, Georgia), **MARINE KHUBUA** (Tbilisi, Georgia);

მენეჯერი// Manajer

ბროლისა ჯულაია/BROLISA TSULAIA

ჟურნალი „**განათლება**“ (ISSN 1987-782X) გამოდის წელიწადში ერთჯერ სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის განათლების ფაკულტეტის ინიციატივით, საქართველო
Journal „**Education**“ (ISSN 1987-782X) is published biannually by Sokhumi State University, Faculty of Education, Georgia

© Sokhumi State University, 2015

ჟურნალი „განათლება“ // Journal „EDUCATION“

CONTENTS = შინაარსი

განათლების პოლიტიკა, განათლების სოციოლოგია EDUCATION POLICY, SOCIOLOGY OF EDUCATION

- ❖ **რონდა სოფერი**
ლიდერის აღზრდა - „მართვა ზურგიდან“. DOIT - ის მაგალითი (6)
Rhonda Sofer
Nurturing Leadership through Leading from Behind: An Example of DOIT (15)
- ❖ **რომეო გალდავა**
სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი საერთაშორისო პროექტებში (20)
Romeo Galdava
Sokhumi State University in the International Projects (28)
- ❖ **ირინა გოგონაია, ნესტან ბაგაური, ნიკოლოზ ჯღენტი**
საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში დაცული საარქივო მასალის საფუძველზე (29)
Irina Gogonaia, Nestan Bagauri, Nikoloz Zhgenti
Developing of the Educational Programs Based on the Archive Materials of the National Centre of Manuscripts (36)
- ❖ **ლალი ახალაძე**
ფიზიოლოგიის სასწავლო კურსი ინკლუზიური განათლების საბაკალავრო პროგრამისათვის (40)
Lali Akhaladze
Course of Study in Physiology for Bachelor's Program in Inclusive Education(45)

ისტორია, კულტურა, სამართალი, პოლიტიკური მეცნიერებანი HISTORY, CULTURE, LAW, POLITICAL SCIENCES

- ❖ **ალექსეი კოტი**
ხელშეკრულების თავისუფლების პრინციპი და მნიშვნელობა უკრაინის სამოქალაქო სამართალში (48)
Oleksiy KOT
Principle of Freedom of Contract and its Essence in Civil Law of Ukraine (49)

- ❖ **მალხაზ ვახტანგაშვილი**
დვალეებისა და ოსების ისტორიული ურთიერთობის საკითხისათვის (78)
Malkhaz Vakhtangashvili
To the Issue of Historical Relations of Dvals and Ossetians (86)

- ❖ **ნათია ბახტაძე**
არქიტექტურა „ტრადიციულსა“ და „იყო გლობალურს“ შორის (92)
Natia Bakhtadze
Architecture between “Traditional” and “Being Global” (101)

პედაგოგიკა, მეთოდოლოგია, განათლების ფსიქოლოგია
PEDAGOGICS, METHODICS, PSYCHOLOGY OF EDUCATION

- ❖ **თამარ ჯავახიშვილი**
დიმიტრი უზნაძე და თანამედროვე განათლების ფსიქოლოგია (106)
Tamar Javakhishvili
Dimitri Uznadze and Modern Educational Psychology (115)

- ❖ **მაია ფირჩაძე**
„პროფესორული საზღვრები“ და მოსწავლეზე ორიენტირული სასწავლო გარემოს პრაქტიკული ასპექტები (121)
Maia Pirchadze
"Personal Borders" and Practical Aspects of a Student-Oriented Learning Environment (128)

- ❖ **თამარ ჯავახიშვილი**
ნიჭიერთა პერფექციონიზმის ზოგიერთი უარყოფითი შედეგი (129)
Tamar Javakhishvili
Some Negative Results of Perfectionism (135)

ფილოლოგია = ლიტერატურა, ენათმეცნიერება
PHILOLOGY = LITERATURE, LINGUISTICS

- ❖ **ლევან ჯინჯიბაძე**
ლიტერატურული კითხვის გაკვეთილის ორგანიზაცია და მიდგომები დაწყებით კლასებში (136)

Levan Jinjikhadze

Organization and Approaches to the Lesson of Literary Reading in Primary Classes (150)

❖ **გვანცა გვანცელაძე**

სიტყვა სიმბოლო გულის „ვეფხისტყაოსანში“ (153)

Gvantsa Gvantseladze

The Word Symbol Heart in "The Knight in the Panther's Skin" (157)

საინფორმაციო გვერდი = INFORMATION PAGE

❖ **DOIT- ის დაიჯესტი: 2014/ 2015 - ლია ახალაძე თამარ ჯოჯუა** (158)

DOIT Digest: 2014/2015 - Lia Akhaladze, Tamar Jojua (168)

❖ **ძვირფასო ავტორებო** (175)

Dear Authors (177)



რონდა სოფერი

გორდონის უმაღლესი აკადემიური კოლეჯი
ხაიფა, ისრაელი

ლიდერის აღზრდა, „მართვა ზურგიდან“ DOIT-ის მაგალითი¹

ძალზედ ამაღლებული განწყობით ვხვდები სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის საპატიო დოქტორის წოდების მონიჭებას, რაც წარმოაჩენს ჩემს, როგორც მულტიკულტურული განათლებისა და ბავშვთა უფლებების პროგრამის ხელმძღვანელის წვლილს სოხუმის უნივერსიტეტში ამ პროგრამის განხორციელებისა და ხელშეწყობის საქმეში. მე არ განვიხილავ ამ საპატიო წოდებას როგორც მხოლოდ საკუთარ ჯილდოს, არამედ მას მივიჩნევ, როგორც საერთო კუთვნილებას იმ პროფესიონალთა ჯგუფისა და ცალკეული პიროვნებებისა, რომლებიც იზიარებენ საერთო ხედვას. ეს ხედვა კი ძალზედ მარტივია, კერძოდ, სოციალური ცვლილება შეიძლება ხელშეწყობილ იქნეს განათლების მეშვეობით. მე პატივი მქონდა ეს ხედვა არამარტო გამეზიარებინა ღირსეული ადამიანებთან ერთად, თქვენი ლექტორების ჩათვლით, არამედ მონაწილე ვყოფილიყავი კიდევაც ამ ხედვის საფუძველზე თუ როგორ მოქმედებდნენ ჩვენი პროფესიული კონსორციუმის წევრები.

ჩვენი კონსორციუმი გახლავთ ტემპუსის IV (TEMPUS IV Fifth Call) პროექტის „კურიკულუმის რეფორმის საერთაშორისო მოდელის შემუშავება მულტიკულტურული განათლებისა და კულტურული მრავალფეროვნების სწავლებისათვის“ ნაწილი, რომლის აბრევიატურაც გახლავთ DOIT. მნიშვნელოვანია გავაცნობიეროთ ევროკომისიის პროგრამათა ტემპუსის საბაზისო პრინციპი. ტემპუსის პროგრამები ეფუძნებიან იმ ხედვას, რომელიც დაკავშირებულია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების მნიშვნელოვან როლზე ჩვენს საზოგადოებასთან მიმართებაში. ტემპუსის საქმიანობა მიმართულია იმისკენ, რომ სხვადასხვა უმაღლესი

¹ 2015 წლის 24 აპრილს, მულტიკულტურალიზმისა და კურიკულუმის რეფორმირების პროცესში შეტანილი განსაკუთრებული დამსახურებისთვის გორდონის აკადემიური კოლეჯის დოქტორს **რონდა სოფერს** სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის საპატიო დოქტორის წოდება მიენიჭა. წინამდებარე სიტყვა ავტორმა წარმოთქვა საპატიო წოდების მინიჭებისადმი გამართულ საზეიმო ცერემონიაზე.

სასწავლებლების წარმომადგენლებს მიეცეთ შესაძლებლობა იმ პროგრამებსა თუ პროექტებზე ერთად მუშაობისა, რომლებიც დაკავშირებულია პარტნიორი ქვეყნების სხვადასხვა რეგიონების სოციალური, ეკონომიკური, საგანმანათლებლო და პოლიტიკური პრიორიტეტის მქონე საკითხებთან. ტემპუსი აცნობიერებს უმაღლესი სასწავლებლების პედაგოგთა მოტივაციის მნიშვნელობას იმასთან მიმართებაში, რომ ისინი აღარ იყვნენ თვითიზოლირებულნი, გამოვიდნენ ე. წ. „ჩაკეტილი კოშკიდან“, უფრო მეტი აქტიურობა და ქმედითუნარიანობა გამოავლინონ ხანგრძლივი და მყარი სოციალური ცვლილებების განხორციელების საქმეში, იმ ცვლილებებისა რომელთაც შეუძლიათ ჩვენი საზოგადოების დონისა და განვითარების ხარისხის გაუმჯობესება. ტემპუსის პროგრამა ეფუძნება თანამშრომლობისა და ცოდნის გაზიარების პრინციპს. ჩვენ უნდა გავიაზროთ ის მხარდაჭერა, რასაც ტემპუსი იჩენს DOIT -ის კონსორციუმის მიმართ, აძლევს რა მის წევრებს შესაძლებლობას შეხვედრებისა, ცოდნის დაუფლებისა და მისი ერთმანეთისთვის გაზიარებისა, დინამიური პროგრამის შექმნისა, რომელიც დანერგილი და განხორციელებული იქნება მათ უნივერსიტეტებში და გავრცელდება მათივე საზოგადოებაში.

ჩემთვის DOIT წარმომადგენს ჩემი, როგორც ანთროპოლოგის მუშაობის 35 წელს და ჩემს რწმენას მულტიკულტურალიზმის, ეთნიკური მრავალფეროვნებისა და ადამიანთა უფლებების ხელშეწყობის მნიშვნელობისა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში სწავლებისას. მე მქონდა იმის პრივილეგია, რომ DOIT-ის თარგვლებში გამეტარებინა ეს ხედვა, რომელიც უკავშირდება ეთნიკურ მრავალფეროვნებასა და ბავშვთა უფლებებს და რომელიც აქტიურად იყო მხარდაჭერილი სხვა წევრების მიერ. სწორედ, DOIT-ის მეშვეობით და თანამშრომლობით ჩვენ შევქმენით დინამიური საგანმანათლებლო პროგრამები, რომელთა მიზანსაც წარმომადგენს ამ ხედვის რეალობაში დანერგვა, ისე რომ თქვენ, სტუდენტებს ჩამოგიყალიბდეთ ის ღირებულებები, პრინციპები, გაგაჩნდეთ ის საშუალებები და უნარები, რომლებიც გახდიან ჩვენს საზოგადოებას უფრო უკეთესს, დაფუძნებულს სოციალურ თანასწორობასა და სამართლიანობაზე.

ჩვენი ტემპუსის პროექტი DOIT-ი მისი დაწყებიდან ვიდრე დასრულებამდე, ჩვენი კონსორციუმის წევრებისა და მასში შემავალი დაწესებულებებისათვის მჯერა, იმაზე უფრე მეტია, ვიდრე უბრალოდ პროექტი. მისი მიზნები და ამოცანები ცდება ფიზიკურ საზღვრებსა და დროის ლიმიტს. მულტიკულტურული განათლებისა და ბავშვთა უფლებების ხელშეწყობა არ არის მხოლოდ ის, რასაც ჩვენ ვეუფლებით

და შემდეგ ჩვენი ცოდნის ფონდს ვამატებთ, არამედ ეს არის ის, რაც უნდა გავითავისოთ, გავაცნობიეროთ და, რაც ყველაზე უფრო მნიშვნელოვანია, განვახორციელოთ. DOIT -ი არ მეკუთვნის არც მე და არც თქვენს ლექტორებს, ის გეკუთვნით თქვენ-სტუდენტებს, ბევრ თქვენთაგანს, რომელიც ეუფლება მასწავლებლის პროფესიას. ის სასწავლო კურსები, რომელიც შემუშავებულია DOIT - ის საერთაშორისო, ან ინსტიტუტთაშორისი ჯგუფების მიერ, თქვენ მოგცემთ არა მხოლოდ საგნობრივ ცოდნას, არამედ ხელს შეუწყობს იმ ღირებულებათა და ქცევების ჩამოყალიბებას, რომლებიც, ვიმედოვნებთ, გახდება თქვენი ყოფის ნაწილი და გავლენას მოახდენს თქვენს ქცევებზე, როგორც აქტიური მოქალაქეებისა, რომლებიც თავის წვლილს შეიტანენ სოციალური სამართლიანობის ხელშეწყობის საქმეში.

ეს საპატიო დოქტორის წოდება ეკუთვნის ბევრს, მათ შორის თქვენს ხელმძღვანელებსაც თქვენს უნივერსიტეტში, რომელთაც გააჩნიათ სიბრძნე ჩასწვდნენ თუ რა სჭირდება მათ საზოგადოებას და გააჩნიათ იმისი გამბედაობა, რომ ქმედითი ნაბიჯები გადადგან, განახორციელონ ცვლილებების იმპლიმენტაცია თავიანთ კურიკულუმებში, რომელიც მათი რწმენით თქვენ მოგცემთ იმის საშუალებებს, რომ ჩამოყალიბდეთ თქვენივე საზოგადოებაში აქტიურ მოქალაქეებათ და ლიდერებად. რომ არა სოხუმის უნივერსიტეტის რექტორატისა და თქვენი ფაკულტეტის წევრების აქტიური, პასუხისმგებლობით განმსჭვალული ჩართულობა და ხელმძღვანელობა, მე არ ვიდგებოდი ეხლა თქვენს წინაშე.

აქ მე გხედავთ თქვენ, როგორც თქვენი საზოგადოების მომავალ ლიდერებს. მითმაც მსურს მოკლედ გაგესაუბროთ ლიდერობისა და პიროვნებათა აქტიური მოქალაქეობის სოციალური პასუხისმგებლობის მნიშვნელობაზე. გამოჩენილი ლიდერები არ კმაყოფილდებიან საკუთარი მდგომარეობით და სტატუს კვოთი. მათ გააჩნიათ ხედვა იმისა, თუ როგორი უნდა იყოს მათი საზოგადოება, უფრო მეტიც, მათ გააჩნიათ გამბედაობა იმისა, რომ ეს ხედვა რეალობად აქციონ. ისინი გამუდმებით ფიქრობენ თავიანთ საზოგადოებაზე, ცდილობენ გაიგონ რაც არ არის მართლზომიერი და მოქმედებენ ისე, რომ ყველასთვის გააუმჯობესონ მდგომარეობა.

ლიდერები მაინც ლიდერებია, ვინაიდან მათ ჰყავთ აქტიური მოქალაქეების ჯგუფები, რომელთაც სურთ საკუთარი დრო და ენერჯია გაიღონ მათი იდეებისა და პროგრამების ხელშეწყობისათვის. დიდი საქმეების რეალიზება შესაძლებელია მორალური ლიდერობით და ცალკეული მოქალაქეების აქტიური მონაწილეობით.

ეს საპატიო დოქტორის წოდება წარმოადგენს ბევრი ადამიანის, როგორც ლიდერების, ისე იმ პიროვნებათა აქტიური, მუხლჩაუხრელი შრომისა და ერთგულების შერწყმას, რომლებიც გრძნობენ პასუხისმგებლობას მათ უნივერსიტეტებსა და საზოგადოებაში ეთნიკური მრავალფეროვნების, მულტიკულტურალიზმისა და ბავშვთა უფლებების ხელშეწყობის საქმეში.

ლიდერობის ბევრი სახე არსებობს და ლიდერებსაც სხვადასხვანაირად შეუძლიათ მეთავეობა. არ ვფიქრობ, რომ საჭიროა წაგიკითხოთ ლექცია მათზე ვინც ხელმძღვანელობს შიშის დანერგვით, ფიზიკური და ემოციური იძულებით. სამწუხაროდ, მიმაჩნია, რომ თქვენი რეგიონის ქვეყნებში აქვთ გამოცდილება ბევრი ასეთი ბუნების მქონე ლიდერის ყოლისა. ამ ტიპის ლიდერებს ესაჭიროებათ ძალისა და შიშის მობილიზება, რათა აიძულონ ხალხი გააკეთონ ის, რისი გაკეთებაც მათ თავად სურთ, ვინაიდან ის პრინციპები, რასაც ისინი ცდილობენ მხარი დაუჭირონ ხალხიდან აღმოთხვრილია და არ გააჩნიათ არანაირი მორალური საფუძველი. ამიტომაც, იმისათვის, რომ აკონტროლონ მასები, მათ სჭირდებათ კონტროლის ნაცადი და კომპლექსური სახე, რომლის გარეშეც ისინი ვერ იქნებოდნენ ლიდერები.

მე მსურს თქვენთან ვისაუბრო სხვა ტიპის ლიდერობაზე, ისეთზე, რომელიც არ იკვეთება, არაა წამოწეული წინა პლანზე, არამედ ამ შემთხვევაში ზურგიდან ხდება მართვა. ეს კონცეფცია უკავშირდება პროფესორ ლინდა ჰილის სახელს, რომელმაც წარუშლელი შთაბეჭდილება მოახდინა XX და XXI საუკუნეების გამოჩენილ ლიდერთა შორის ერთ-ერთის, სამხრეთ აფრიკის წარმომადგენლის ნელსონ მანდელას ავტობიოგრაფიის წაკითხვამ. მანდელა მოიხსენიებს ლიდერებს როგორც მწყემსებს. მიუხედავად იმისა, რომ ფარა მიყვება ერთ წინამძღოლ ცხვარს ან თხას, ეს მწყემსია, რომელიც თაქტობრივად, წარმართავს და ზრუნავს მთელ ფარაზე. თუმცა ამასთანავე მწყემსი ამ ფარიდან ერთ-ერთს აკისრებს მის გაძლოლას. პროფესორი ჰილი საუბრობს ბიზნესზე და იმაზე, რომ XXI საუკუნე მოითხოვს ისეთ ლიდერებს, რომლებიც სხვებს მოამზადებენ, რომ ისინი შემდგომ გამოჩნდნენ სამოქმედო ასპარეზზე, შემოიტანონ სიახლეები და გაუძღვნენ კიდევაც სხვებს. ახალი ტიპის ლიდერები არ უფრო ხიან სხვების პოტენციალს, არამედ პირიქით ყოველნაირად ზრუნავენ და ახალისებენ მას, ეს კონცეფცია „ზურგიდან მართვა“ არის ერთ-ერთი მიზეზი იმისა, რასაც ჰილი „კოლექტიურ გენიოსად“ მოიხსენიებს. „კოლექტიური გენიოსი“ საშუალებას აძლევს ჯგუფის ყველა წევრს ამა თუ იმ

ქმედებასთან დაკავშირებით საკუთარი წვლილი შეიტანონ, წარმოაჩინონ თავისი აზრები და პროგრამები.

იმას, რასაც ჰილი ეძახის ზურგიდან მართვას შესაძლებელია აღვიქვათ როგორც წარმოსახვითი ლიდერობის შეხამება აქტიურ მოქალაქეობასთან ერთად. აქტიური მოქალაქეობა გულისხმობს ჩვენი - ყველას პასუხისმგებლობის გაზიარებას გარშემომყოფთა და საზოგადოების მიმართ. როცა ჩვენ ვხედავთ რაღაცას, რაც ჩვენი რწმენით არამართებელია, არასწორია, ჩვენ არა მარტო ვამბობთ ამას, არამედ ვაანალიზებთ ამ სიტუაციას, დავსახავთ სამოქმედო გეგმებს და ვახდენთ ამ გეგმების იმპლემენტაციას. მთავარია იმის გააზრება, რომ თითოეული და ყველა ჩვენთაგანი იყოს პასუხისმგებელი იმ უსამართლობებისთვის რასაც ჩვენს ირგვლივ ვაწყდებით, მაშინაც კი როცა ჩვენ არ ვართ მიზში ამ უსამართლობებისა. ჩვენ უნდა ვიყოთ აქტიური მოქალაქეები, ადამიანები, რომელთაც სურთ, რომ ჩაერთონ და არ შეაქციონ ზურგი სხვა მიმართულებით მაშინ, როდესაც ხედავენ ისეთ სიტუაციას, რომელიც მოითხოვს საზოგადოებრივ ყურადღებასა და ჩართულობას. ეს არ უნდა იყოს რაღაც დიდი, განსაკუთრებული..... აქტიური მოქალაქეობა დაკავშირებულია ჩვენს ყოველდღიურ ცხოვრებასთან. ჩვენ ყველანი უნდა ვიყოთ მისაბაძი მაგალითი და უნდა გავაკეთოთ რაღაც სწორად, იმიტომ რომ სწორი რაღაცაა გასაკეთებელი. მოდით ავიღოთ მარტივი მაგალითი: რამდენჯერ გავგივლია საკლასო ოთახში და გვინახავს იატაკზე დაგდებული ქაღალდის ფურცელი, ან მერხზე დატოვებული ქაღალდის ჭიქა. ამ სიტუაციის მიმართ შეიძლება არსებობდეს რამდენიმე მიდგომა. ერთს შეუძლია იგნორირება მოახდინოს იატაკზე დაგდებული ფურცელის ან მაგიდაზე დატოვებული ჭიქისა, ანუ იყოს ინდიფერენტული, მეორემ კი პრეტენზია გამოხატოს ამ ყოველივეს თაობაზე. მისი ასეთი რეაქცია მეტყველებს იმაზე, რომ ამ პიროვნებას გააჩნია „ცოდნა“ იმისა, რომ ეს ნივთები შეუფერებელ ადგილზე არიან და ეს არასწორია, თუმცა არა აქვს ხედვა, თუ რა უნდა გააკეთოს ამისთვის; ან შეიძლება ვიღაც სხვამ ნახოს ეს ქაღალდის ფურცელი, ან ჭიქა, გაიაზროს, რომ ისინი შეუფერებელ ადგილას არიან და გადააგდოს. ეს არის აქტიური მოქალაქეობა და ის რასაც ჩვენ მიზნად ვისახავთ.

DOIT -ის მიზანს წარმოადგენს მულტიკულტურული განათლების ხელშეწყობა. XXI საუკუნისთვის აუცილებელია მულტიკულტურული განათლება, ვინაიდან ჩვენ ვცხოვრობთ გლობალურ სამყაროში და ის ღირებულებები, ქცევები, რომლებიც გადაჯაჭვული არიან მულტიკულტურულ განათლებასთან, ჩვენ გვაძლევს

იმის საშუალებებს, რომ ვიცხოვროთ გლობალიზაციის პირობებში ურთიერთგაგების სხვადასხვა ჯგუფებს შორის პატივისცემის, პლურალისტური ღირებულებების, დემოკრატიული შეხედულებებისა და ქცევების მხარდაჭერით. რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, მულტიკულტურული განათლება გვიბიძგებს ჩვენ კრიტიკული აზროვნებისკენ, რაც საშუალებას გვაძლევს გავაანალიზოთ და ვიმოქმედოთ თავს მოხვეული შეხედულების, რასიზმისა და დისკრიმინაციის წინააღმდეგ.

1997 წელს *ჯეიმს ბენკმა*, მულტიკულტურული განათლების შესახებ მისი მრავალრიცხოვანი და მნიშვნელოვანი სამეცნიერო ნაშრომებიდან, გამოსცა ერთი სტატია. ის განიხილავს მულტიკულტურულ განათლებას როგორც იდეას, რეფორმისტულ მოძრაობასა და პროცესს. როგორც ასეთი, მულტიკულტურული განათლება არის, როგორც პროფესორმა *სიუ ჯექსონმა* განსაზღვრა, ტრანსფორმაციული თავისი ბუნებით. მულტიკულტურულ განათლებას არ გააჩნია საზღვრები და ის მუდმივად განვითარებადი. მის მიზანს წარმოადგენს განათლების იმგვარი ტრანსფორმაცია, რომ მან ხელი შეუწყოს სოციალურ სამართლიანობასა და განათლების თანასწორად მიღების შესაძლებლობას. ის აცნობიერებს განათლების მნიშვნელობას, რათა ჩვენი საზოგადოება გახდეს უფრო სამართლიანი და თანასწორუფლებიანი. მულტიკულტურული განათლების პრინციპები გამუდმებით მოითხოვს ჩვენგან, რომ გავაანალიზოთ ჩვენი სამუშაო გარემო, ჩვენი კლასები და სკოლები და შეგვეძლოს შეფასება მივცეთ იმას, თუ რამდენად აღიარებს ჩვენი სასკოლო გარემო კულტურული მრავალფეროვნების ღირებულებას, ახალისებს და ამხნევებს ყველა ბავშვს, რომ მიაღწიოს თავიანთ პოტენციალს, რამდენადაც ეს შესაძლებელია და ხელს უწყობს ჩვენს ბავშვებში იმ ღირებულებებისა და ქცევების ჩამოყალიბებას, რომელიც პოზიტიურ გავლენას ახდენს ლოკალურ, ნაციონალურ და გლობალურ დონეზე სამოქალაქო პროცესის წარმართვაზე. ეს სამუშაო არასოდეს არ სრულდება. ის მუდამ მიმდინარეობს. ის პროცესია. მისი მიზანია საზოგადოების ტრანსფორმირება.

DOIT -ის პროგრამა ასევე ხელს უწყობს ბავშვთა უფლებებსაც. ბავშვთა უფლებები ის საკითხია, რომელმაც უნდა გააერთიანოს ჩვენი გლობალური სამყარო. მათ ვინც ხართ განათლების ფაკულტეტის სტუდენტები, ან უკვე მოქმედი პედაგოგები წამყვანი როლი გეკისრებათ ამ პროცესში. თქვენ უნდა გააჩნდეთ ცოდნა, საშუალებები და უნარები იმისა, რომ ჩანვდეთ იმ საბაზისო უფლებებს, რომელიც ყველა ბავშვს უნდა გააჩნდეს. უფრო მეტიც, თქვენ როგორც განმანათლებლები და

მასწავლებლები ანგარიშვალდებულნი და პასუხისმგებელნი უნდა იყოს იმ ბავშვების მიმართ რომლებიც გარკვეული რისკის ქვეშ იმყოფებიან თქვენს კლასებში, სკოლებში, დასახლებებში, ქვეყანაში და მსოფლიოში. ბავშვთა უფლებების მხარდაჭერა უნდა იყოს ის საკითხი, რომელსაც არ გააჩნია საზღვრები და რომელთა მიმართ ყველას გააჩნია პასუხისმგებლობა. მიმაჩნია, რომ თუ არსებობს რაღაცა იმედი მსოფლიოში მშვიდობის დამყარებისა, ბავშვების საკითხი უნდა იყოს ყველაზე უფრო პრიორიტეტული ყველა ჩვენთაგანის გაერთიანებისა.

გაერთიანებული ერების ბავშვთა უფლებების კონვენციის თანახმად ყველა ბავშვს გააჩნია: გადარჩენის უფლება, უსაფრთხოდ ყოფნის უფლება, განვითარების უფლება და კუთვნილების უფლება. ეს ძირითადი საკითხები უნდა განსაზღვრავდეს ჩვენს ხედვასა და ცხოვრების წესს ჩვენს სამყაროში - XXI საუკუნეში. თუმცა ამ უფლებების რეალიზაციისათვის ბევრი წინაღობა გვხვდება; და დღეს, მაშინ როცა მე თქვენს წინაშე გამოვდივარ, ახდენენ ბავშვების, როგორც მონების ექსპლოატაციას, ბავშვები ხდებიან სექსუალური ძალადობის მსხვერპლნი, მათ იტაცებენ და აშორებენ საკუთარ ოჯახებს, შიმშილობენ, უსახლკარონი არიან, მათზე ადგილი აქვს ფიზიკურ და ემოციურ ძალადობას, განიცდიან დისკრიმინაციას და ჩამორთმეული აქვთ შესაძლებლობები სრული განვითარებისა. და, მაინც თითოეულ ჩვენთაგანს შეუძლია ცვლილების განხორციელება და ეს იწყება თითოეული თქვენთაგანიდან.

1955 წელს, როზა პარკსი, 55 წლის შავკანიანი ქალბატონი მონტგომერში, ალაბამას შტატიდან ავიდა ავტობუსში ხანგრძლივი სამუშაო დღის დასრულების შემდეგ. ალაბამაში მოქმედებდნენ სეგრეგაციული კანონები, რომლებიც კრძალავდნენ შავკანიანებისა და თეთრკანიანების ერთად ყოფნას. როზა პარკსი ავიდა რა ავტობუსში დაჯდა შუა რიგში, სადაც შავკანიანებს შეეძლოთ დაჯდომა. როდესაც სულ უფრო მეტი თეთრკანიანი მგზავრი ამოვიდა ავტობუსში და ფეხზე დადგა, მძღოლი გაემართა ავტობუსის შუა ადგილისაკენ, მოხსნა აბრა “შავკანიანთა სექცია”, რომელშიც მცირე რაოდენობის რიგი იყო მოხვედრილი და მიუთითა შავკანიან მგზავრებს რომ ამდგარიყვნენ და ტრანსპორტის უკანა ნაწილისკენ გადასულიყვნენ. როზა დაღლილი იყო, არ სურდა ავტობუსში ფეხზე დგომა, ამიტომაც უარი განაცხადა გადასვლაზე. ის დააპატიმრეს, მაგრამ სწორედ ეს გახდა აშშ-ში სამოქალაქო უფლებების მოძრაობის დაწყების მიზეზი. ეს გახლდათ ერთი პატარა ტანადობის შავკანიანი ქალი, რომელმაც მიიღო გადაწყვეტილება, რომ „ეს არ არის სწო-

რი და მე არ გადავდივარ“. ერთი პიროვნება გახდა კატალიზატორი ამერიკის შეერთებულ შტატებში ერთ-ერთი ყველაზე უფრო ძლიერი მოძრაობისა სამოქალაქო ომის შემდეგომი პერიოდისა.

ჩვენ ყველას გაგვაჩნია პოტენციური ძალა ცვლილების განსახორციელებლად. ის შეიძლება დავიწყოთ უმნიშვნელო ქმედებებიდან და გადამწყვეტილებებიდან, რომელსაც ჩვენ ვიღებთ ჩვენს ყოველდღიურ ცხოვრებაში.

მე ჩემს გამოსვლას დავამთავრებ ერთი პირადული ამბის თხრობით. ეს მოხდა მაშინ როდესაც ახალდაქორწინებული ახალგაზრდა ქალი გახლდით, ალბათ დაახლოებით აქ მყოფი ბევრი თქვენგანის ასაკისა. მე და ჩემი მეუღლე ვსერირობდით ჰაიფას სანაპიროზე. ძალიან ბევრი ადამიანი დასერირობდა ჰაიფას მშენიერი სანაპიროების ორივე მიმართულებით. როდესაც მივდიოდით ერთ-ერთი მიმართულებით მოზრდილი ადამიანების ჯგუფმა ჩავგვიარა, რომელსაც უკან მიყვებოდა პატარა მტირალა ბიჭი. ასობით ადამიანმა ჩაუარა ამ ჯგუფს. მომეჩვენა რომ ყველაფერი წესრიგში არ იყო და გადაწყვიტე, რომ შევტრიალებულიყავი, დამეძახა მოზრდილების ჯგუფისთვის და მეკითხა ეს ბავშვი მათი იყო თუ არა. მათ მიპასუხეს „არა“. შემდეგ მივუახლოვდი ამ პატარა ბიჭს და სახელი ვკითხე, ვისთან ერთად იყო მოსული სანაპიროზე და ა.შ. ჩვენ უკან გავბრუნდით, სადაც მაშველთა სამსახური იყო განთავსებული, ასე რომ ჩვენ შევძელით დავხმარებოდით ბავშვის ბებიას, რომელმაც ის სანაპიროზე წამოიყვანა. თქვენ შეგიძლიათ წარმოიდგინოთ ეს სიტუაცია არა მხოლოდ ბავშვის მხრიდან, რომელიც დაიკარგა, არამედ მისი საწყალი ბებიის პოზიციიდანაც, რომელსაც შვილიშვილი დაეკარგა. ბევრი რომ არ გავაგრძელო, როცა ჩვენ მივუახლოვდით მაშველთა განყოფილებას, დავინახეთ ბებიის ასაკის ქალბატონი, რომელიც თავის შვილიშვილს ეძებდა და როგორი შვებით ამოისუნთქა როდესაც ის მოიძებნა.

მთელი არსი ამ ამბისა იმაში მდგომარეობს, როგორი ადვილია, ათეულობით, თუ არა ასეულობით ადამიანისათვის იგნორირება მოახდინონ მტირალი ბავშვისა და სულ სხვა მიმართულებით გაიხედონ. DOIT -ის პროგრამის, ჩვენი სასწავლო კურსების ძირითადი მიზანი ის გახლავთ, რომ თქვენ არ გაიხედოთ სხვა მიმართულებით და რომ არც ერთმა ჩვენთაგანმა არ შეატრიალოს თავი ბავშვისაკენ, რომელიც საჭიროებს ჩვენს დახმარებას.

მსურს მაღლობა გადავუხადო თქვენს რექტორს, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის DOIT-ის ჯგუფის ღირსეულ წევრებს. მაღლობას გიხდით ამ დროისა

და თქვენთან ჩემი ხედვის გაზიარების შესაძლებლობის გამო. მე გხედავთ თქვენ ჩვენი მომავლის გასაღებით ხელში. ვიმედოვნებ, რომ ყველა თქვენთანგანს შეეძლება გადაატრიალოს ეს გასაღები და დაგვეხმაროს რომ შევიდეთ ისეთ სამყაროში, რომელიც უკეთესი იქნება იმაზე ვიდრე დღესაა. *გმადლობთ!*

*ინგლისურიდან თარგმნა სსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის
პროფესორმა თამარ ჯოჯუამ*



Rhonda Sofer*Gordon Academic College of Education
Haifa, Israel*

Nurturing Leadership through Leading from Behind: An Example of DOIT²

I am extremely moved by this honorary doctorate which acknowledges a contribution that I have made as a leader of a program that promotes multicultural education and children’s rights in here at Sokhumi State University. I do not view this honor as a personal award, but rather one that belongs to a group and a community of professionals and individuals who share a vision. This vision is very simple, namely that social change can be promoted through education. I have had the privilege of *not only* sharing this vision with great people, including members of your faculty *but also* I have had the honor of witnessing how different members of our professional consortium have acted on this vision.

Our Consortium is part of a TEMPUS IV Fifth Call Program, *Development of an International Model for Curriculum Reform in Multicultural Education and Diversity in Teacher Training whose acronym is DOIT*. It is important to recognize the underlying principle of TEMPUS-European Commission programs. The TEMPUS programs are based on the vision of the important role that higher educational institutions have for our societies. TEMPUS does this through providing the faculty of these institutions with the opportunity to work together on programs and projects aimed to address important social, economic, educational and political priorities of the different regions of partner countries. TEMPUS realizes the importance of motivating academics to leave what has been termed “the ivory tower” and become involved and committed to act in order to bring about social sustainable long-term change that can improve the quality and development of our societies. The program is based on the principle of collaboration, working together and sharing of knowledge. We must acknowledge the support of TEMPUS for enabling DOIT’s consortium to get together, learn and share knowledge with each other, and to build a dynamic program that is being implemented and sustained in their universities and disseminated in their society.

For me, DOIT represents over 35 years of my work as an anthropologist and my belief in the importance of promoting multiculturalism, diversity and human rights in academic teaching. I have had the privilege of having this vision of promoting diversity and

² On April 24, 2015, **Rhonda Sofer**, Doctor of Gordon Academic College of Education was awarded the Honorary Doctorate of Sokhumi State University for the special merit carried in the process of the Multiculturalism and Curriculum Reform. This speech is made up at the special ceremony for awarding the Honorary Doctorate.

children's rights shared by others actively through DOIT. Through DOIT and working in collaboration, WE developed dynamic educational programs aimed to put this vision into action and reality so that you, the students will have the values, principles, tools and skills that will make our society a better society built on social justice and fairness.

Our TEMPUS program DOIT, I believe is more than a project with a starting date and an end for the members and institutions of our consortium. Its goals and objectives are aimed to go beyond these physical boundaries and the limitation of time. Promoting multicultural education and children's rights is not just something we learn and then add it to our pool of knowledge, rather, it is something that we should internalize, identify with and most importantly DO. DOIT does not belong to me or your faculty—it belongs to you—the students, many of you who are studying to be teachers. The courses which were developed by DOIT's international or inter-institutional teams were not only to provide you with knowledge, but also to promote values and behaviors that we hope will become a part of your being and influence your actions as active citizens who are committed to promote social justice.

This honorary doctorate belongs to many, including your own the leaders at your university who have the wisdom of understanding what their society needs and the courage to take action and implement changes in their curriculum which they believe will provide you with the tools to be active citizens and leaders in your society. Without the active, responsible participation and leadership of the key stake holders and members of your faculty here at Sokhumi State University, I would not be standing here in front of you.

I see you here, as the future leaders of your society. As such I want to talk to you briefly about leadership and the importance of active citizenship and social responsibility of individuals. Great leaders are not content with maintaining their position and the status quo. Great leaders have a vision of seeing how their society should be and moreover, they have the courage to act on this vision so how things "Should be" actually BECOME a reality. Great leaders constantly reflect on their society, try to understand what is not right, and ACT to make things better for all.

Leaders are leaders however, because they have a group of active citizens who are willing to invest their own time and energy in promoting their ideas and programs. Great things can be achieved with moral leadership and active participation of individual citizens. This honorary doctorate represents the combination of leadership of many people as well as the active hard work and dedication of individuals who feel that they are accountable and responsible for promoting diversity, multiculturalism and children's rights at their universities and in their community.

There are many kinds of leaderships and leaders can lead in different ways. I do not think I need to lecture you on those who lead through fear and physical and emotional coercion. Unfortunately, I think the countries in your region have experienced many leaders of this nature. These leaders need to mobilize force and fear to get people to do what they want

to do because the principles of what they are promoting are removed from the people and have no moral basis. Thus, in order to control the “masses”, they need to develop sophisticated and complex structure of control for without that, they could not be leaders.

I want to talk to you about another type of leadership, a leadership that leads from behind. This concept, coined by Prof. *Linda Hill* was influenced by reading the autobiography of one of our great leaders of the 20th and 21st century, *Nelson Mandela* of South Africa. Mandela refers to leaders as shepherds. Although the flock moves forward after the lead sheep or goat, it is the shepherd who is actually coaching and guiding the flock. The shepherd however enables different sheep or goats to take the lead. Professor *Hill* talks about business and how the 21st century requires leaders who empower others to emerge, innovate and lead. They do not fear greatness in others, but rather nurture and encourage it. This concept of “leading from behind” contributes towards what *Hill*’s calls “collective genius”. Collective “genius” enables every member of the group to contribute and present their ideas and programs of action.

What *Hill* calls leading from behind, can also be viewed as combining visionary Leadership with active citizenship. Active citizenship means that we all are accountable and responsible for our community and society. We see something that we believe is wrong, we do not only say, “this is wrong”, rather we can analyze the situation, develop action plans and implement these plans. What is important to realize, that each and every one of us, needs to be responsible and accountable for the injustices that we see around us, EVEN if we are not the cause of the injustices.

We all must be active citizens, people who are willing to get involved and not turn their head in the other direction when they see a situation that requires social attention and involvement. These do not have to be big things...active citizenship relates to our day to day lives. We all must be models and just do the right thing because it is the right thing to do. Let’s take a simple situation: how many times have we walked into a classroom and have seen a piece of paper on the floor, or a paper cup left on the desk? There can be several approaches to this. One can ignore the paper on the floor or cup on the table-be indifferent. Or, one could complain about the paper on the floor or the cup on the table. This reaction shows that the individual has “knowledge” about things that are not in place and unjust but does view that he or she needs to do anything about it. Or, one can see the piece of paper or cup, realize it is out of place and throw it out. This is active citizenship and what we are aiming for.

DOIT aims to promote multicultural education. Multicultural Education is necessary for the 21st century, because we live in a global world and the values and behaviors that are intertwined with multicultural education provide us with the tools to live in this globalized world by promoting mutual understanding and respect between different groups, strengthening pluralistic values and democratic attitudes and behaviors. Most important, multicultural education provides us with the tools for critical thinking that can able us to

analyze and act against prejudice, racism and discrimination.

James Banks in 1997 published one of his many important articles on multicultural education. He views multicultural education as an idea, reform movement and a process. As such, multicultural education is, what Prof. *Sue Jackson* has referred to as “transformative” in its character. Multicultural education has no boundaries and is forever developing. Its aims for transforming education so that it promotes social justice and educational equity. It recognizes the importance of education in making our society more just and equal. Multicultural educational principles constantly challenges us to analyze our work environment, our classrooms and schools and to be able to assess whether our school environment recognizes the value of diversity, enables and encourages all children to reach their potential, whether it is inclusive and empowers our children with values and behaviors that promote civil action locally, nationally and globally. This work is never done. It is always in motion. It is a process, it aims to transform society.

DOIT’s programs also promote children’s rights. Children’s Rights is an issue that MUST unify our Global world. For those of you who are students of education or already in-service teachers you must LEAD in this mission. You need to have the knowledge, tools and skills to understand the innate rights that ALL children need to have. Moreover, you as educators and teachers of children must be accountable and responsible for the children at risk in your classrooms, schools, communities, country and the world. The promotion of Children’s Rights needs to be an issue that has no boundaries and is the responsibility of everyone. I feel if there is any hope in the world for peace, the issue of children needs to be the forefront of unifying all of us.

According to the The United Nations Convention of Children’s Rights, ALL CHILDREN HAVE THE : Right to Survive; Right to be Safe; Right to Develop; and Right to Belong. These issues should be central issues in how we view and live in our world in this 21st century. We are however a far cry from realizing these rights and as I speak to you today, children are being exploited as slaves, sexually abused, kidnapped and separated from their families, are hungry, homeless, physically and emotionally abused, discriminated against and excluded from opportunities to develop fully. Yet each and everyone of us can make a difference and it begins with each and every one of you.

In 1955, Rosa Parks, an 55 year old black woman in Montgomery Alabama went onto a bus after a long day at work. In Alabama, there were segregation laws which did not allow blacks and whites to be together. *Rosa Parks* she into the bus and sat in the middle where blacks could sit. When more white people got on the bus and were standing, the bus driver walked to the middle of the bus and moved the “negro section” sign down a few rows telling the blacks to get up and move to the back.

Rosa was tired and felt that she did not want to stand in the bus and refused to move. She was arrested but the result of this, was the beginning of the Civil Right’s Movement in the United States of America. This was one little black woman who made the decision that “this is not right and I am not moving”. One person was the catalyst to one of the

most powerful movements in the United States since the American Civil.

We all have this potential power to make a difference. It can begin small with little actions and decisions that we make in our daily lives.

I will end my talk with a personal story. It was when I was a newly married young woman, probably the age of many of you here. I was walking on the beach of Haifa with my husband. Many people were walking in both directions up and down the lovely beaches of Haifa. While walking in one direction, a group of adults passed us with a small boy crying behind them. Hundreds of people have passed this group.

Something did not look right to me and I decided to turn around, call to the group of adults and ask them whether this child belongs to them. They said “no”!! I then went up to the little boy and try to ask his name, who he came to the beach with, etc. We began to walk back to where the life-guard station so we could help find his grandmother who had taken him to the beach. You can imagine the situation, not only from the little boy’s view of being lost but from his poor grandmother’s point of view of losing a grandchild! To make a long story short, as we got closer to the life-guard station, we saw a grandmotherly figure looking for her grandchildren and so relieved to be reunited with him.

The whole point of this story is how easy it is for tens if not hundred of people to ignore a child that is crying, to look the other way. The whole purpose of DOIT’s program, our courses, is that you should not look the other way and none of us should turn our heads from a child that needs our help.

I want to thank your rector and the great members of my DOIT SSU team. I thank you for this time and the opportunity of sharing my vision with you. I see you as holding the key to our future. I hope that you all will be empowered to turn this key and help us enter into a world that is a better one that it is today.

Thank you.



რომეო გალდავა

სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი,
საქართველო

სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი საერთაშორისო საგრანტო პროექტებში (მოკლე მიმოხილვა)³

სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი, როგორც დამოუკიდებელი უმაღლესი სასწავლებელი საერთაშორისო საგრანტო პროექტებში მონაწილეობს 2008 წლიდან, მანამდე იგი წარმოადგენდა ჯერ აფხაზეთის ა. მ. გორკის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტს, ხოლო 1989 წლიდან ივ.ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოხუმის ფილიალს და შესაბამისად საერთაშორისო საგრანტო პროექტებში წარმოდგენილი იყო აღნიშნული უნივერსიტეტებიდან. 2008 წლიდან დღემდე, დამოუკიდებელ უნივერსიტეტად დაფუძნების შემდეგ უნივერსიტეტი აქტიურად არის ჩართული საერთაშორისო პროექტებში, მათ შორის აღსანიშნავია ევროკავშირის, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის, გერმანიის არქეოლოგიის ინსტიტუტის, ალექსანდრ ფონ ჰუმბოლდტის ფონდის, ფრიდრიხ ებერტის ფონდის, ნიუ იორკის ღია საზოგადოების ინსტიტუტის, ევროპის მოსახლეობის ასოციაციის, აზიის მოსახლეობის ასოციაციის და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ დაფინანსებული პროექტები. აღნიშნული პროექტებიდან გამოვყოფდით რამდენიმე პროექტს:

I. გერმანიის არქეოლოგიის ინსტიტუტის დაფინანსებით სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის არქეოლოგიის მიმართულების საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამების სტუდენტები და აკადემიური პერსონალი ჩართულია საერთაშორისო არქეოლოგიურ ექსპედიციებში, როგორც საზღვარგარეთ, ასევე საქართველოში. აღნიშნულ პროექტებს ხელმძღვანელობს სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი, გერმანიის სასწავლო - აკადემიური გაცვლების სამსახურ-

³ სიტყვა მომზადდა გორდონის აკადემიური კოლეჯის დოქტორის *რონდა სოფერისათვის* სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის საპატიოს დოქტორის წოდების მიენიჭებისადმი გამართული საზეიმო ცერემონიალისთვის (2015 წლის 24 აპრილი).

რის სტიპენდიატი (1993), გერმანიის არქეოლოგიის ინსტიტუტის სტიპენდიატი (1996), გერმანიის ალექსანდრე ფონ ჰუმბოლდტის ფონდის ოთხგზის სტიპენდიატი (1998-1999, 2003, 2006, 2010) ჰუმბოლდტის კლუბის გენერალური მდივანი საქართველოში, ევროპის არქეოლოგთა ასოციაციის წევრი *ჯონი აფაქიძე*. მისი ხელმძღვანელობით რამდენიმე საერთაშორისო არქეოლოგიური ექსპედიცია გაიმართა. მათ შორის გამოვყოფდით საქართველოში მიმდინარე საერთაშორისო არქეოლოგიურ ექსპედიციებს, არქეოლოგიურ გათხრებს ზუგდიდის მუნიციპალიტეტში, რომელსაც გერმანული მხარე აფინანსებს. განსაკუთრებით აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ექსპედიციის მუშაობაში მონაწილეობებიდან, როგორც აკადემიური პერსონალი, ასევე სტუდენტები არქეოლოგიის საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამებიდან. საერთაშორისო არქეოლოგიური ექსპედიცია მუშაობას გააგრძელებს მიმდინარე წლის ზაფხულშიც.

II. ევროკომისის მხრიდან დაფინანსებულ პროექტებს შორის პირველი იყო ტემპუსის საერთაშორისო პროექტი Higher Education System Development for Social Partnership Improvement and Humanity Sciences Competitiveness (159338-TEMPUS-1-2009-1-LV-TEMPUS-SMHES – HESDESPI).

პროექტის მოქმედების პერიოდი - 15.01.2010 - 14.07.2013;

პროექტის მონაწილეები: ევროკავშირის მხრიდან - იტალიის, პორტუგალიის და ლატვიის უმაღლესი სასწავლებლები; ხოლო პარტნიორები - საქართველოს, სომხეთის, უკრაინისა და მოლდოვას უნივერსიტეტები. საქართველოს მხრიდან ჩართული იყო სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი და ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი. *პროექტის კოორდინატორები:* პროფესორები *ინდირა ძაგანია* და *რომეო გალდავა*.

პროექტის მიზნებიდან გამომდინარე შესწავლილ იქნა უმაღლესი განათლების ჰუმანიტარული პროფილის პროგრამების განვითარების ტენდენციები. კერძოდ:

- პროექტის მიზნებიდან გამომდინარე, განხორციელდა ამ არსებულ ტენდენციებზე ზემოქმედი ფაქტორების ანალიზი - ე. წ. SWOT ანალიზი, რომლითაც განისაზღვრა როგორც ზოგადად, ასევე სოხუმისა და ბათუმის უნივერსიტეტების ჰუმანიტარულ ფაკულტეტებზე ძლიერი და სუსტი მხარეები, აგრეთვე არსებული შესაძლებლობები და მოსალოდნელი საშიშროებები;

- აღნიშნულმა ანალიზმა საშუალება მოგვცა გაგვაკეთებინა დასკვნები, შეგვემუშავებინა რეკომენდაციები ჩვენი ევროპელი პარტნიორების (ლატვია, იტალია, პორტუგალია) გამოცდილების გათვალისწინებით;
- დაისახა ის გზები, რომლის საშუალებითაც, ჩვენი აზრით, არსებული შესაძლებლობების ფარგლებში მოვახდენდით საგანმანათლებლო პროგრამებისა და სასწავლო კურსების ტრანსფორმირებას თანამედროვე საბაზრო ეკონომიკისა და შრომის ბაზრის მოთხოვნების გათვალისწინებით.

პროექტის ფარგლებში ევროპელი პარტნიორების დახმარებით ჩამოყალიბებულ იქნა ჰუმანიტარული მიმართულებების პროგრამების კურსდამთავრებულთა კონკურენტუნარიანობის ამაღლებისათვის აუცილებელი რეკომენდაციები.

კერძოდ: 1. თუნდამენტალურ განათლებასთან ერთად, თანამედროვე შრომის ბაზრის მოთხოვნების შესაბამისი პრაქტიკაზე ორიენტირებული სასწავლო კურსების დანერგვა; 2. სასწავლო გეგმებში პრაქტიკის ელემენტის შეტანა და გაზრდა; 3. სასწავლო გეგმების დახვეწა, გაუმჯობესება და ოპტიმიზაცია; 4. მჭიდრო კავშირების დამყარება პოტენციურ დამსაქმებლებთან, სხვადასხვა დაინტერესებულ მხარეებთან, მათი ჩართვა სასწავლო გეგმების შედგენის პროცესში, ერთობლივი პროექტების ხელისშეწყობა და სხვა.

III. გაერთიანებული ერების ორგანიზაციისა და ევროკავშირის ერთობლივი საერთაშორისო ინიციატივის „ნდობის აღდგენისა და ადრეული რეაგირების მექანიზმი“ (COBERM) - ფარგლებში სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის აფხაზური ენისა და კულტურის ინსტიტუტის მიერ მოპოვებული გრანტი „აჭარაში მცხოვრებ აფხაზთა იდენტობის კვლევა“.

პროექტის მოქმედების დრო: 2011 წლის თებერვალ - 2011 წლის სექტემბერი.

პროექტის ხელმძღვანელი: პროფესორი თეიმურაზ გვანცელაძე.

პროექტის მონაწილეები: სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის აფხაზური ენისა და კულტურის ინსტიტუტის დირექტორი, პროფ. თეიმურაზ გვანცელაძე; ინსტიტუტის მთავარი მეცნიერი თანამშრომელი, პროფ. მანანა ტაბიძე; ინსტიტუტის უმცროსი მეცნიერი თანამშრომელი, დოქტორანტი თამარ ვითოლენდია; ინსტიტუტის უმცროსი მეცნიერი თანამშრომელი, დოქტორანტი სოფიკო ჭაავა; სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის თანამშრომელი ელენე ბენდელიანი; სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის აფხაზური ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამის სტუდენტები: თამარ აბაშიძე, თინათინ ბუხნიკაშვილ-

ლი, გვანცა გიგუაშვილი და მავდა ნათაძე.

პროექტის მიზანი: აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე მცხოვრებ, აფხაზეთიდან XIX საუკუნის მეორე ნახევარში განდევნილ აფხაზთა შთამომავლების ეთნიკური, ენობრივი, რელიგიური და კულტურული იდენტობის კომპლექსური გამოკვლევა; სტუდენტებისათვის საველე პირობებში საკვლევი მასალის მოპოვების, სისტემატიზებისა და მეცნიერული კვლევის უნარ-ჩვევების გამომუშავება; კვლევის შედეგების გამოქვეყნება ქართულ, რუსულ და ინგლისურ ენებზე.

აქტივობები: შედგა სპეციალური კითხვარები; მოეწყო 2 სამეცნიერო-სასწავლო ექსპედიცია ბათუმში; დამუშავდა ექსპედიციებში მოპოვებული საველე მასალა.

შედეგები: კომპლექსურად გამოკვლეულ იქნა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე მცხოვრებ, აფხაზეთიდან XIX საუკუნის მეორე ნახევარში განდევნილ აფხაზთა შთამომავლების ეთნიკური, ენობრივი, რელიგიური და კულტურული იდენტობა; სტუდენტებმა გამოიმუშავეს საველე პირობებში საკვლევი მასალის მოპოვების, სისტემატიზებისა და მეცნიერული კვლევის უნარ-ჩვევები; ქართულ, რუსულ და ინგლისურ ენებზე გამოქვეყნდა კვლევის შედეგები 3 წიგნსა და სამეცნიერო სტატიებში; მოეწყო პრეზენტაციები სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტსა და პარლამენტის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის დროებითი კომისიის სხდომაზე; პროექტის მიმდინარეობა გაშუქდა პრესასა და ტელევიზიებში.

IV. გაერთიანებული ერების ორგანიზაციისა და ევროკავშირის ერთობლივი საერთაშორისო ინიციატივის "ნდობის აღდგენისა და აღრეული რეაგირების მექანიზმი" (COBERM) - ფარგლებში სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის აფხაზური ენისა და კულტურის ინსტიტუტის მიერ მოპოვებული გრანტი „აფხაზოლოგიის ელექტრონული ბიბლიოთეკა“.

პროექტის მოქმედების დრო: 2014 წლის ივნისიდან 2015 წლის თებერვლამდე

პროექტის ხელმძღვანელი: პროფესორი თეიმურაზ გვანცელაძე;

პროექტის მონაწილეები: სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის აფხაზური ენისა და კულტურის ინსტიტუტის დირექტორი, პროფესორი თეიმურაზ გვანცელაძე; ინსტიტუტის უმცროსი მეცნიერი თანამშრომელი, დოქტორი თამარ გითოლენდია; ინსტიტუტის უმცროსი მეცნიერი თანამშრომელი, დოქტორანტი სოფიკო ჭაავა; სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ასისტენტ-პროფესორი გვანცა გვანცელაძე. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სოხუმში მცხოვრები აფხაზი მეცნიერის, აფხაზეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოცენტის,

ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატის რეზო კაცის მონაწილეობა აღნიშნულ საერთაშორისო პროექტში.

პროექტის მიზანი: სპეციალური აფხაზოლოგიური საიტის შექმნა, რომელზეც უნდა განთავსებულიყო აფხაზური ენის, ფოლკლორის, აფხაზთა ეთნოლოგიის, ისტორიის, არქეოლოგიისა და ხელოვნების შესახებ 1991 წლის შემდგომ თბილისსა და სოხუმში ქართველი და აფხაზი მეცნიერების მიერ გამოცემული აფხაზოლოგიური სამეცნიერო ლიტერატურა და სასწავლო სახელმძღვანელოები. მთავარი პირობა იყო ის, რომ ქართველ და აფხაზ მეცნიერებს ერთობლივად უნდა შეერჩიათ საიტზე განსათავსებელი სამეცნიერო და სასწავლო ლიტერატურა.

აქტივობები: შედგა და ორივე მხრესთან შეთანხმდა საიტზე ასატვირთი ლიტერატურის სია; დამზადდა ასატვირთი ლიტერატურის სკანირებული ასლები და ელექტრონული ვერსიები; ლიტერატურა დანაწილდა თემატურ ჯგუფებად.

შედეგები: შეიქმნა საიტი www.abkhazovedenie.com; საიტზე აიტვირთა აფხაზური ენის, ფოლკლორის, აფხაზთა ეთნოლოგიის, ისტორიის, არქეოლოგიისა და ხელოვნების შესახებ 1991 წლის შემდგომ ქართველი და აფხაზი მეცნიერების, აგრეთვე უცხოელ ავტორთა მიერ შედგენილი 120 სამეცნიერო ნაშრომი და სახელმძღვანელო, რომლებიც გამოცემულია ქართულ, აფხაზურ, ინგლისურ, რუსულ, ფრანგულ, ესპანურ და ჩეხურ ენებზე; გაიმართა 2 პრეზენტაცია; პროექტზე მუშაობის შედეგები გაშუქდა პრესაში და ტელევიზიით.

V. ევროკავშირის საერთაშორისო საგრანტო კონკურსის ტემპუსის პროექტი **DOIT** - Development of an International Model for Curricular Reform in Multicultural Education and Cultural Diversity Training/კურიკულუმის რეფორმის საერთაშორისო მოდელის შემუშავება მულტიკულტურული განათლებისა და კულტურული მრავალფეროვნების სწავლებისთვის

პროექტის განხორციელების ვადები - 2012 წლის ოქტომბერი - 2015 წლის ივლისი;
პროექტის მონაწილეები ისრაელიდან: გორდონის უმაღლესი აკადემიური კოლეჯი, ბენ გურიონის უნივერსიტეტი, კეის აკადემიური კოლეჯი, სახნინის აკადემიური კოლეჯი, საფირის აკადემიური კოლეჯი;

პროექტის მონაწილეები საქართველოდან: ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თელავის იაკობ გოგებაშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი, სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი, სამოქალაქო განვითარების ინსტიტუტი, სამოქალაქო ინტეგრაციისა და ეროვნებათაშორისი ურთიერ-

თობების ცენტრი.

პროექტის პარტნიორები ევროკავშირიდან: კობლეც - ლანდაუს უნივერსიტეტი (გერმანია), ლონდონის უნივერსიტეტის განათლების ინსტიტუტი (დიდი ბრიტანეთი), ბირკბეის კოლეჯი (დიდი ბრიტანეთი), ავტრიის (ლინცის) პედაგოგიური უნივერსიტეტი, ჯონ ტონისონის ინსტიტუტი (ესტონეთი), ნიდერლანდების ვან არნემის უნივერსიტეტი.

პროექტის კოორდინატორი: რონდა სოფერი (გორდონის აკადემიური კოლეჯი, ხაიფა). კოორდინატორები საქართველოდან: ნინო ჭიაბრიშვილი (ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი), ბელა პეტრიაშვილი (ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი). პროექტის ადგილობრივი კოორდინატორი სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტში ლია ახლაძე.

პროექტის წევრები სსუ-დან: ხელმძღვანელი, პროფესორი ლია ახლაძე. პროექტის ხარისხის უზრუნველყოფის ხელმძღვანელი პროფესორი თამარ შინჯიაშვილი, პროექტის მენეჯერი, პროფესორი შოთა ახლაია, წევრები: პროფესორები თამარ ჯოჯუა, რუსუდან ფიფია, ომარ არდაშელია, ბროლისა ნულაია;

პროექტის მიზნებიდან გამომდინარე:

- მონაწილე უნივერსიტეტების მიერ მულტიკულტურულ განათლებაში შეიქმნა სპეციალური სასწავლო კურსები მასწავლებლის განათლების, ინკლუზიური განათლების, ისტორიის, საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამებისათვის.
- ამ მიზნით განხორციელდა კურიკულუმის რეფორმა, სასწავლო კურსების პილოტირება და დანერგვა, რამაც ხელი შეუწყო მულტიკულტურულ განათლებასა და კულტურული მრავალფეროვნების სწავლებას;
- გაიზარდა პროექტში ჩართული მონაწილე უნივერსიტეტების პროფესიონალთა ცოდნა მულტიკულტურულ განათლებაში, მოხდა უმაღლესი განათლების სფეროში ჩართულ პროფესიონალთა ცოდნის გაზიარების ხელშეწყობა და კვლევის გაფართოება.
- ევროკომისიის მიერ მოწონებული ხუთი სილაბუსის ფარგლებში შეიქმნა სახელმძღვანელოები და განხორციელდა მათი პუბლიკაცია ქართულ და ინგლისურ ენებზე.
- შეიქმნა ინტერაქტიური ვებგვერდი და პორტალი, სადაც განთავსდა პროექტის ფარგლებში განხორციელებული აქტივობები.

- განხორციელდა აქტივობები DOIT - ის პროექტის ხარისხის უზრუნველყოფის, სამომავლო მდგრადობისა და გავრცელების მიზნით;

DOIT - ის პროექტი არის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი საფეხური საქართველოში კურიკულუმის განვითარებისა და მულტიკულტურული ურთიერთობების კვლევისა და სწავლების საკითხში.

VI. ევროკომისიის საერთაშორისო გაცვლითი პროგრამის **Erasmus Mundus**-ის პროექტებიდან სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი ჩართულია ორ კონსორციუმში:

- EMINENCE I,
- EMINENCE II;
- IANUS I,
- IANUS II.

აღნიშნულ პროექტებს ხელმძღვანელობენ სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის საგარეო ურთიერთობათა და კულტურათაშორისი კომუნიკაციების სამსახურის უფროსი პროფესორი *ინდირა ძვანია*, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ენების ცენტრის შესწავლის უფროსი, პროფესორი *მაია დარასელია*. პოსტ-მუნდუსის ხარისხის უზრუნველყოფის წევრი, პროფესორი *რომეო გალდავა*.

ამ პროექტების ფარგლებში სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი ახორციელებს დაფინანსებულ გაცვლით პროგრამებს სამივე საფეხურის სტუდენტებისათვის, ახალგაზრდა მკვლევრების, უნივერსიტეტის აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალისათვის ევროპის უმაღლეს სასწავლო დაწესებულებებში. პროგრამები ითვალისწინებს აღმოსავლეთის სამეზობლო რეგიონიდან ყველა საფეხურის სტუდენტების, (ბაკალავრიატის, მაგისტრატურის, დოქტორანტურის), პოსტ-დოქტორანტების, ასევე უნივერსიტეტის აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის (ტრენინგი, სწავლება, კვლევა) მობილობას ევროპის უმაღლეს დაწესებულებებში. პროგრამის მიზანია უმაღლესი განათლების სფეროში თანამშრომლობის გამყარება ევროკავშირის ქვეყნების უნივერსიტეტებსა და აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებს შორის სტუდენტთა, აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის მობილობას პროგრამის ფარგლებში, რაც მისცემს მათ საშუალებას, აიმაღლონ ლინგვისტური, კულტურული და საგანმანათლებლო გამოცდილება.

აღსანიშნავია, რომ ამ პროექტების ფარგლებში უკვე განხორციელდა და ახლაც წარმატებით ხორციელდება სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდე-

ნტებისა და აკადემიური პერსონალის მობილობა.

ამრიგად, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ განხორციელებული პროექტებიდან ჩვენს მიერ მოკლედ განხილულია რამდენიმე პროექტი. მათ შორის: ტემპუსის პროექტები - HESDESPI და DOIT; COBERM-ის ორი პროექტი აფხაზური ენისა და კულტურის შესახებ; Erasmus Mundus -ის პროექტები: EMINENCE I, EMINENCE II; IANUS I; IANUS II; ეს არის მცირე ჩამონათვალი იმ საერთაშორისო პროექტებისა, რომლებიც განხორციელდა უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის მიერ. გარდა ამისა, ჩვენი პროფესურა ჩართულია სხვადასხვა პროექტებში, როგორც ინდივიდუალურად ასევე გუნდურად, არქეოლოგიის, ბიოლოგიის, ისტორიის, დემოგრაფიის, განათლების, მათემატიკის, ქართული ფილოლოგიის მიმართულებით. აღნიშნული პროექტების ჩამოთვლა უბრალოდ, შორს წაგვიყვანდა.

დასასრულს, მინდა მივულოცო DOIT- ის მთელ შემადგენლობას, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის DOIT- ის გუნდს და ქალბატონ *რონდა სოფერს* პროექტის ესოდენ წარმატებული შედეგები და ხაზი გავუსვა დოქტორ *რონდა სოფერის* განსაკუთრებულ წვლილს მულტიკულტურული განათლების დანერგვისა და განხორციელების საქმეში, რისთვისაც მას ღირსეულად მიენიჭა სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის საპატიო დოქტორის წოდება. გულითადად ვუსურვებ მას წარმატებებს!



Romeo Galdava*Sokhumi State University, Georgia***Sokhumi State University in the International
Projects (brief overview)⁴**

Sokhumi State University as an independent Higher Education Institution has been participating in international grant projects since 2008. Before this time it was A. M. Gorki State University of Abkhazia, since 1989 Sokhumi Branch of Ivane Javakhishvili Tbilisi State University and accordingly has been represented from these universities in the international grant projects. Since 2008, after establishing as an independent university, it has been actively involved in international projects, including in the projects funded by the European Union, the United Nations, the German Archaeological Institute, Alexander von Humboldt Foundation, the Friedrich Ebert Foundation, New York Open Society Institute, European Population Association, Asian Population Association and other international organizations.

Some projects from these mentioned ones are briefly discussed in the article. Among them: Tempus projects - HESDESPI and DOIT; two COBERM projects on Abkhaz language and culture; Erasmus Mundus Projects: EMINENCE I, EMINENCE II; IANUS I; IANUS II; These projects in the university are led by the Professors: Indira Dzagania, Maia Daraselia, Romeo Galdava, Lia Akhaladze and Tamar Shinjiashvili.

The article briefly speaks about the goals and outcomes of the EU Programme TEMPUS Project DOIT and the author congratulates all members of the Consortium – the representatives of Israel, Georgia and European Universities, DOIT team of Sokhumi State University and personally Ms. Rhonda Sofer for the successful implementation of the project. The article highlights Dr. Rhonda Sofer's contribution to the introduction and implementation of multicultural education, for which she was awarded the Honorary Doctorate of Sokhumi State University. I wish her success heartily!

⁴ *The speech is made up for the special ceremony for awarding the Honorary Doctorate of Sokhumi State University to **Rhonda Sofer**, Doctor of Gordon Academic College of Education (April 24, 2015).*

ირინა გოგონაია, ნესტან ბაგაური,
ნიკოლოზ ულენტი
ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი
საქართველო

საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში დაცული საარქივო მასალის საფუძველზე

გამოჩენილი ადამიანების პირადი არქივები ეფექტურ სასწავლო-საგანმანათლებლო რესურსს წარმოადგენენ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლისთვის. სამუშეო პედაგოგიკაში ყურადღება გამახვილებულია მოსწავლეების დოკუმენტურ წყაროებთან მუშაობის სხვადასხვა პედაგოგიურ ასპექტზე, კერძოდ: პირადი წერილების, მემუარების, დაბადების, გარდაცვალების თუ გადასვენების მონუმენტების, ავტოგრაფების ემოციურ გავლენაზე; დოკუმენტური წყაროების მნიშვნელობაზე სასწავლო მასალის პერსონიფიცირებასა და იმის ილუსტრირებაში, თუ რა გავლენას ახდენს ესა თუ ის მოვლენა, თარიღი, პიროვნება სხვა ადამიანების ბედზე და ა.შ. გარდა ამისა, საარქივო დოკუმენტებთან ურთიერთობისას მოსწავლეებს უნევთ შეხება ორ მნიშვნელოვან გარემოებასთან. პირველი გახლავთ ის, რომ ისტორიული წყაროები ასახავენ მოვლენების უშუალო მონაწილეების პირად, ეკონომიკურ და პოლიტიკურ შეხედულებებს; მეორე, რომ ადამიანებს, ვინც მუშაობს დოკუმენტთან (არქივისტები, მეცნიერები, თვითონ მოსწავლეები), შემოაქვთ თავისი მსოფლმხედველობა მის ინტერპრეტაციაში. შესაბამისად, საარქივო დოკუმენტებთან ურთიერთობისას მოსწავლეებს აქვთ შესაძლებლობა გააცნობიერონ, რომ ისტორია არსებობს სხვადასხვა ინტერპრეტაციების სახით.

ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში უძველესი ხელნაწერი მემკვიდრეობის გვერდით დაცულია ქართველი და უცხოელი მწერლების, პოეტების, მეცნიერების, მხატვრების, პოლიტიკური, სახელმწიფო, საზოგადო და სამხედრო მოღვაწეების პირადი არქივები.

ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის სასწავლო პროცესში ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის საარქივო ფონდების აქტუალიზაციისათვის აუცილებელია ცენტრის

აღნიშნული კოლექციების დიდაქტიზაცია და მათი სასწავლო-საგანმანათლებლო პოტენციალის მასწავლებლებისათვის წარმოჩენა.

აღნიშნული მიზნების მისაღწევად განისაზღვრა და განხორციელდა შემდეგი ამოცანები:

1. ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის საჭიროებების და ცენტრის შესაძლებლობების შესწავლა, რაც განხორციელდა ეროვნული სასწავლო გეგმის (ქართული ენისა და ლიტერატურის, ისტორიის საგნობრივი სტანდარტები) და ცენტრში დაცული კოლექციებისა და განხორციელებული სამეცნიერო-კვლევების მასალების შეჯერების საფუძველზე.
2. შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება, რომელიც ეყრდნობა ეროვნულ სასწავლო გეგმას, ცენტრში დაცულ საარქივო მასალას, ასევე, ითვალისწინებს სამუზეუმო პედაგოგიკის თანამედროვე ტენდენციებს; დანყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის მოსწავლეთა ასაკობრივ თავისებურებებს. ამავე დროს ეს არ უნდა ყოფილიყო მხოლოდ ცალკეული პროგრამები, რომელთა ფარგლებში ხორციელდება სკოლის მოსწავლეთა ერთჯერადი ვიზიტი, არამედ პროგრამული პაკეტი, რომელიც ვიზიტორსა და გამოთენილ არტეფაქტს შორის მრავალჯერად კომუნიკაციას გულისხმობს.

ამ მიდგომით ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში 2012 წელს საგანგებოდ სკოლებისთვის შემუშავდა ახალი სამწლიანი საგანმანათლებლო პროექტი: „ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის ქართველ მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა პირადი არქივები – სასწავლო-საგანმანათლებლო რესურსი ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებისათვის“.

პროექტი მოიცავს 14 საგანმანათლებლო პროგრამას ქართული ენისა და ლიტერატურის პროგრამული ბირთვით გათვალისწინებულ მწერლებსა და პოეტებზე [ესგ, 2011-2016: გვ.134,135, 160, 161,162, 163], რომელთა პირადი არქივები დაცულია ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში.

საგანმანათლებლო პროგრამა „გრიგოლ რობაქიძე – ცხოვრება აზრით და გრძნობით“ მიეძღვნა მწერლის დაბადებიდან 130 და გარდაცვალებიდან 50 წლისთავს (2012 წელი). ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში დაცულია 300-ზე მეტი საარქივო ერთეული, რომელიც წარმოადგენს გრიგოლ რობაქიძის წერილების ავტოგრაფიულ ნუსხებს, ფოტოებს, ბიოგრაფიულ და შემოქმედებით მასალას [2, გვ. 382].

ეროვნული სასწავლო გეგმის ქართული ენისა და ლიტერატურის პროგრამის მიხედვით საშუალო საფეხურის სავალდებულო ლიტერატურის ჩამონათვალში, რომელიც შეადგენს საშუალო საფეხურისთვის განკუთვნილი შინაარსის 60 %-ს, გრიგოლ რობაქიძის ნაწარმოებები არ არის მითითებული, თუმცა გრიგოლ რობაქიძე არის რეკომენდებულ ქართველ მწერალთა ჩამონათვალში მეორე მნიშვნელოვან დოკუმენტში, რომელიც არეგულირებს სწავლა/სწავლების პროცესს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში – მასწავლებლის პროფესიულ სტანდარტში (დამტკიცებულია მინისტრის ბრძანებით №1014, 28.11.2008წ.), კერძოდ, მუხლი 31, საბაზო და საშუალო საფეხურის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლის პროფესიული ცოდნა, „კ“ პუნქტის „კ“, „ა“ ქვეპუნქტი.

ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში დაცული გრიგოლ რობაქიძის საარქივო მასალის და ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების საქმიანობის მარეგულირებელი ძირითადი დოკუმენტების შეჯერების საფუძველზე და შედეგად, შემუშავდა შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამა, რომელიც ძირითადად გათვალისწინებულია საშუალო საფეხურის მოსწავლეებისათვის, ასევე, გრიგოლ რობაქიძის შემოქმედებით დაინტერესებული ფართო საზოგადოებისათვის.

ჩვენი მიზნიდან გამომდინარე, რომ შეგვეშუქებინა პროგრამული პაკეტი, რომელიც უზრუნველყოფდა მრავალჯერად კომუნიკაციას ვიზიტორს/მოსწავლეს და ექპონატს შორის, მნიშვნელოვანი იყო სწავლების სხვადასხვა მეთოდების გამოყენება, რაც ხელს შეუწყობდა მოსწავლის მიერ ექპონატის დათვალიერებისას მრავალფეროვანი ინფორმაციის მიღებასა და მის შემდგომ ინტერპრეტაციას.

პროგრამა რამდენიმე ძირითად კომპონენტს მოიცავდა:

- გამოფენა (ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის საარქივო ფონდებში დაცული გრიგოლ რობაქიძის ავტოგრაფები, ფოტომასალა);
- სასწავლო შემეცნებითი საუბარი/პრეზენტაცია;
- დამატებითი საგანმანათლებლო რესურსი (მწერლის მიმართვა ქართველ ხალხს რადიო „თავისუფლების“ აუდიო არქივიდან, ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის ფონდი, კარლო ინასარიძის არქივი);
- ინტერაქტიული პაკეტი - მოსწავლეთა მინი კვლევა საექსპოზიციო მასალის საფუძველზე, მონაცემთა ფურცლების შევსება; საჯარო ლექციები და დისკუსიები; ლიტერატურული ვიქტორინა).

თითოეული კომპონენტი მოსწავლის მიერ სხვადასხვა ფორმის შემეცნებითი

საქმიანობის განხორციელებას გულისხმობს (მოსწავლეს სთავაზობს სხვადასხვა ფორმის შემეცნებითი საქმიანობის განხორციელებას – დააკვირდი, აღწერე, გაანალიზე, შეადარე უკვე ცნობილთან, შეათვასე).

ინტერაქტიული პაკეტიდან განსაკუთრებით გამოვყოფთ ორ კომპონენტს – საჯარო ლექციასა და მოსწავლეთა მინი კვლევას, როგორც სამუზეუმო განათლების ტრადიციული და ალტერნატიული ფორმების ნიმუშებს, რომელიც გამოყენებულ იქნა საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებისას.

გრიგოლ რობაქიძის საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში 5 სამუშაო დღის განმავლობაში შედგა 5 საჯარო ლექცია. გრიგოლ რობაქიძის შემოქმედება, ბიოგრაფია, საზოგადოებრივი მოღვაწეობა ემიგრაციაში, პირადი არქივების სამეცნიერო მნიშვნელობა, ახალი ქართული გამოცემები – ეს ის თემებია, რაზედაც ისაუბრეს ლექტორებმა და ყოველი საჯარო ლექციის შემდეგ უბიძგებდნენ მსმენელებს ახალი კუთხით დაეთვალიერებინათ ექსპონირებული მასალა.

ამავე დროს, ჩვენი დაკვირვებით, საშუალო საფეხურის მოსწავლეებთან განსაკუთრებით ეფექტური აღმოჩნდა მოსწავლეთა მინი-კვლევა, რომელსაც ისინი ახორციელებდნენ საგანგებოდ პროგრამის ფარგლებში ჩვენს მიერ შემუშავებული ე.წ. მონაცემთა ფურცლების საფუძველზე.


მონაცემთა ფურცლები შეიცავენ დავალებებს: ექსპონატების აღწერაზე, დათვლაზე, სტენდში გამოფენილი მასალის სიის შედგენაზე, ცხრილების შევსებაზე, კლასიფიკაციაზე, საკვანძო სიტყვების გამოყოფაზე და სხვ.

ქვემოთ საილუსტრაციოდ წარმოგიდგინთ მონაცემთა ფურცლის ნიმუშს პროგრამისთვის „გრიგოლ რობაქიძე – ცხოვრება აზრით და გრძნობით“, რომელიც ნათლად ასახავს რამდენად ეფექტურად შეიძლება გამოვიყენოთ პირადი არქივი, როგორც საგანმანათლებლო რესურსი.

ცხრილი 1. მონაცემთა ფურცლის ნიმუში პროგრამისთვის „გრიგოლ რობაქიძე – ცხოვრება აზრით და გრძნობით“.

მონაცემთა ფურცელი
საგანმანათლებლო პროგრამა:

გრიგოლ რობაქიძე – ცხოვრება
აზრით და გრძობით



ადგილი:

ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი

თარიღი: -----

სკოლა: -----

კლასი: -----

დავალემა 1. მოძებნეთ სტენდი, რომელშიც მოთავსებული მასალა ასახავს:

- გრიგოლ რობაქიძის პოეტურ შემოქმედებას;
- გრიგოლ რობაქიძის საზოგადოებრივ საქმიანობას და პუბლიცისტურ საქმიანობას;
- გრიგოლ რობაქიძის ცხოვრებას – ბიოგრაფიული შტრიხები;
- გრიგოლ რობაქიძის შემოქმედებას ავტორის „ბედი ქართლისა“ ფურცლებზე.

დავალემა 2.. აირჩიეთ სტენდი, მიუთითეთ ნომერი -----

დათვალეთ სტენდში განლაგებული საარქივო დოკუმენტები და ჩაწერეთ -

დავალემა 3. დაახარისხეთ სტენდში მოთავსებული მასალა და ცხრილში მიუთითეთ რაოდენობა შემდეგი კატეგორიების მიხედვით:

№	კატეგორია	რაოდენობა
1	წერილი	
2	ფოტო	
3	ღია ბარათი	

4	ჟურნალი	
5	სხვა	

დავალება 4. შეარჩიეთ საკვანძო სიტყვა/სიტყვები, რომელიც ყველაზე მეტად მიესადაგება მოცემულ სტენდში მოთავსებულ მასალას:

დავალება 5. გრიგოლ რობაქიძის ავტოგრაფებში მოძებნეთ შემდეგი ციტატა: „თავჩაქინდრული მძიმედ მიაბიჯებდა. დავენიე. ერთხანს უხმოდ მივყვებოდი უკან. უცებ მისი ბუტბუტი შემომესმა. იგი ახალი ტაეპების რითმებს სთხზავდა თუ იმეორებდა“. ვინ იგულისხმება ამ სიტყვებში?

დავალება 6. შეადგინეთ სტენდში გამოფენილი მასალის სია ცალ-ცალკე კატეგორიების მიხედვით (დასახელებები ჩაწერეთ სრულად):

სამუშაო ფურცლებთან მუშაობის ორგანიზება შემდეგნაირად მიმდინარეობდა: მცირე პრეზენტაცია-საუბრის შემდეგ მოსწავლეებს ეძლევათ მუშაობის მკაფიო ინსტრუქცია, მოსწავლეები იყოფიან მცირე ჯგუფებად, დამოუკიდებლად ათვალიერებენ გამოფენილ მასალას და ავსებენ სამუშაო ფურცლებს. მუშაობის დასრულების შემდეგ, ერთად იკრიბებიან და წარადგენენ თავის სამუშაოს, დაკვირვებებს, შთაბეჭდილებებს, „აღმოჩენებს“. ბავშვები ხშირად მონაცემთა ფურცლების მიხედვით მასალის წარდგენისას, ამას ქაოტურად აკეთებენ.

ჩვენი დაკვირვებით, აქ მნიშვნელოვანია განათლების სპეციალისტის პროფესიონალიზმი, რომელიც ხელს უწყობს საქმიანი განწყობის შექმნას, ავტოგრაფებთან ინტერაქციით გამოწვეული ემოციური მუხტის შენარჩუნებას მოსწავლეებში.

რასაკვირველია, ასეთი ინტერაქტიული ფორმების/მეთოდების გამოყენება მოითხოვს სპეციალურ დროს საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში და განათლების სპეციალისტის ფაქიზ ფასილიტაციას. ამავე დროს, სწორედ ასეთი მე-

თოდების გამოყენება ხელს უწყობს საექსპოზიციო მასალის მიმართ მდგრად ინტერესს, პოზიტიური განწყობის ჩამოყალიბებას.

ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის კოლექციების საფუძველზე ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული საკითხების აქტუალიზაცია სხვადასხვა საგანმანათლებლო პროგრამების და სერვისების შემუშავებით ხელს უწყობს ცენტრისა და ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების თანამშრომლობის განვითარებას, სასწავლო პროცესში ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის მასალების სასწავლო რესურსების სახით გამოყენებას; აქ დაცული კოლექციების სასწავლო-საგანმანათლებლო მნიშვნელობის გააზრებას პედაგოგიურ საზოგადოებაში.

ლიტერატურა:

1. **ესგ 2011- 2016:** ეროვნული სასწავლო გეგმა, 2011 – 2016
წვდომის რეჟიმი: <http://www.ncac.ge/index.php?m=854>
2. **რობაქიძე (2012),** გრიგოლ რობაქიძე. პირადი მიმოწერა. შეადგინა, წინასიტყვაობა, კომენტარები და საძიებლები დაურთო *ეთერ ქავთარაძემ*. თბილისი, გამომცემლობა: არტანუჯი, თბილისი;



**Irina Gogonaia, Nestan Bagauri,
Nikoloz Zhgenti**
National Center of Manuscripts, Georgia

**For the Issue of Museum Education:
Developing of the Educational Programs Based on the Archive Materials of the
National Centre of Manuscripts**

Private archives represent an effective educational resource for general schools. Museum pedagogy stresses the various aspects of students working with document sources. Specifically, the focus is on the emotional impact of private letters, memoirs, certificates of birth, death or reburials and autographs; importance of document sources on personalization of educational resources and what impact a certain event, date or a person has on the fate of another, etc.

When students communicate with archival documents, they face two important circumstances. The first one is that historical sources reflect private, economical and political views of people who directly participated in some kind of phenomenon. The second one is that people who work with documents (archivists, scientists, students), bring their outlook in interpreting these documents. Thus students have opportunities to acknowledge that there are different interpretations of history.

Besides the oldest manuscripts at the National Centre of Manuscripts, private archives of Georgian and foreign writers, poets, scientists, painters, political, state, public and military figures are preserved.

In order for school teachers to include the archival resources of the National Center of Manuscripts into the educational process, it is necessary to pedagogization and present the educational potential of these collections.

The following tasks should be considered in order to achieve these goals:

1. To study the needs of secondary schools and opportunities of the Center bringing together by reconciling National School Curriculum and the archival collections, preserved at the National Center of Manuscripts
2. To implement the appropriate educational programs which are based on National Curriculum for secondary schools and archival materials preserved at the Center. These will include the modern trends of museum pedagogy and the primary, basic and secondary school student age characteristics. At the same time the programs shouldn't be based on only a single visit but multiple communications are essential between the students and the exhibition.

With this approach, a new educational project specifically for schools, “Private Archives of Georgian Writers and Public Figures at the National Center of Manuscripts – An Educational Resource for General Education Schools”, was developed. The project includes 14 educational programs on writers and poets within the core Curriculum in Georgian Language and Literature [1]. The private archives of these writers and poets are preserved at the National Center of Manuscripts.

An educational program “Grigol Robakidze – Life with Reason and Feeling” was organized in 2012, dedicated to the 130th anniversary of his birth and the 50th anniversary from the death of the Georgian writer living in immigration. More than 500 secondary school students participated in the program over a five day period. At the National Center of Manuscripts are preserved more than 300 archival units which are autographic papers of the letters, photos, biographical and creative materials by Grigol Robakidze [2, p. 282].

It was very important to use a variety of teaching methods that will encourage students to obtain a maximum of information and its interpretation by viewing the exhibit. These teaching methods would develop a package based on our goal which provided multiple communications between visitors / students and exhibits.

The program consisted of several main components:

- An exhibition of autographs, photo materials preserved in the archive of the National Centre of Manuscripts;
- Educational talks and presentations;
- Additional educational resources such as the address by the writer to the Georgian people from the audio archives “Tavisupleba”, the archive of Karlo Inasaridze, archive of National Center of Manuscripts have been used;
- Interactive educational program included filling out the data sheets by students; performing the learning-research activities based on the exhibited material; public lectures, discussions and literary quizzes.

The specific characteristics related to the age of the target audience (students at the secondary or high school levels) must be considered, as they predetermine the program structure and the work methodology.

Particularly we will chose two components from an interactive package which includes public lecture and students’ mini-research projects as a traditional and alternative sample forms of museum education which were used for developing educational programs. There were five public lectures during the five days within the Grigol Robakidze educational program. These lectures were based upon his writings, including his German publications, his biography, public involvement when he was an immigrant and some lectures discussed the scientific importance of private archives and the new publication of Grigol Robakidze’s German books. After the lectures, the lecturers encouraged the audience to see the new direction of the exposed material.

We observed that students’ mini-research projects were found to be more effective

for secondary school. They were implemented with the data sheets developed by us. These data sheets included the tasks of describing the exhibit, counting and classifying the exhibited materials on the spreadsheets, creating the list of artifacts and creating the key words.

Here is the illustration of the data sheet for the educational program “Grigol Robakidze - Life with Reason and Feeling”.

Data Sheet

Educational Program:

“Grigol Robakidze - Life with Reason and Feeling”



Place: National Center of Manuscripts

Date: _____

School: _____

Grade: _____

1. Find the stand with materials which reflects:

- Poetry creativity of Grigol Robakidze
- Social activities and column writings of Grigol Robakidze
- Life and biographical features of Grigol Robakidze
- Creativity of Grigol Robakidze on magazine "The fate of Kartli" pages.

2. Choose a stand and count the number of artifacts: _____

3. Sort the materials placed on the stand and quantify onto the spreadsheet according these categories:

№	Category	Quantity
1.	Letter	
2.	Photo	
3.	Postcard	
4.	Magazine	
5.	Other	

4. Choose a key world/words which is/are most suitable to a given materials from the stand.

5. Find following quote from autographs of Grigol Robakidze: „He walked bent down heavily. I

caught up with him. For the first time I was following him behind silently. Suddenly I heard his whisper. He was creating rhythms or repeating“. Who is considered in these words

6. Create a list of materials displayed on the stand separately by category (written in full)

The structure of the work process was organized as follow: the facilitator gave a short presentation on topic “Grigol Robakidze - Life with Reason and Feeling”. Then the students were given clear instructions and were divided into small groups. Independently each group viewed the exhibited material and filled in the work papers. After finishing these, they presented their work, observations, impressions and discoveries. According to their work sheets the children frequently presented the materials they saw in a chaotic manner. We observed that to deal with this problem, it is essential that the education specialist creates a structured working environment.

Of course, using this kind of interactive forms / methods requires special time and the sensitive facilitation by the educational specialist. At the same time, the use of these techniques contributes a sustained interest and positive attitude toward the exposition of the material.

Based on collections at the National Center of Manuscripts actualization of issues prescribed by the National Curriculum contributes to the use these materials in the learning process as an educational resource.

References:

1. **National Curriculum 2011-2016**, <http://www.ncac.ge/index.php?m=854>
2. **Robakidze (2012)**, Grigol Robakidze. Private Correspondence. Composed by Eter Kavtaradze - Tbilisi, Publisher: Artanuji, Tbilisi;



ლალი ახალაძე

საქართველოს სპორტისა და ფიზიკური აღზრდის
სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო

ფიზიოლოგიის სასწავლო კურსი ინკლუზიური განათლების საბაკალავრო პროგრამისათვის

შესავალი:

სტატიაში განხილულია ფიზიოლოგიის სასწავლო კურსის სწავლების საკითხი ინკლუზიური განათლების საბაკალავრო პროგრამისათვის. კვლევის მეთოდოლოგიად აღებულია შემთხვევის ანალიზის მიდგომა, კერძოდ, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ინკლუზიური განათლების საბაკალავრო პროგრამის კურიკულუმისათვის მიღებული კონცეფციის გათვალისწინებით.

ძირითადი ნაწილი:

ინკლუზიური განათლების საბაკალავრო პროგრამა ქართულ საგანმანათლებლო სივრცეში სიახლეს წარმოადგენს. პირველად საქართველოს ისტორიაში, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2005 წლის ნოემბრის 633-ე ბრძანების [4] საფუძველზე, საქართველოში პირველად განისაზღვრა ბაკალავრიატის სპეციალობების ჩამონათვალი, რომელშიც განათლების მიმართულებით „დაწყებითი განათლებისა“ და „ფიზიკური აღზრდის“ სპეციალობების გვერდით დაფიქსირდა ახალი სპეციალობა „კორექციული პედაგოგ-გიკა“. აღნიშნული სპეციალობით საბაკალავრო პროგრამა პირველად შეიქმნა და განხორციელდა ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში. მოგვიანებით 2007 წელს კორექციული პედაგოგიკის საბაკალავრო პროგრამა შეიქმნა თსუ სოხუმის ფილიალშიც. 2007 წელს თსუ სოხუმის ფილიალის ბაზაზე სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის დაფუძნების შემდეგ უნივერსიტეტის ლიცენზირების პროცესში აღნიშნულ საბაკალავრო პროგრამას 5 წლით აკრედიტაციის რეჟიმი მიენიჭა. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 10 დეკემბრის №120/ნ ბრძანების საფუძველზე [2] განისაზღვრა უმაღლესი განათლების კვალიფიკაციათა ახალი ჩარჩო, რომელშიც განათლების მიმართულებაში, ინკლუზიური განათლება განისაზღვრა, როგორც განათლების მეცნიერების ქვედარგი. აღრე არ-

სებული კორექციული პედაგოგიკის საბაკალავრო პროგრამას ჩაენაცვლა ინკლუზიური განათლება - კოდით 030106. დღეს აღნიშნული საგანმანათლებლო პროგრამა ქართულ საგანმანათლებლო სივრცეში მოქმედებს მხოლოდ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტსა (ამჟამად მხოლოდ მაგისტრატურის საფეხური) და სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტში (მხოლოდ ბაკალავრიატის საფეხური).

სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ინკლუზიური განათლების საბაკალავრო პროგრამა 240 კრედიტიანია. მათ შორის 180 კრედიტი არის ინკლუზიური განათლების ძირითადი და არჩევითი სასწავლო კურსები, ხოლო 60 კრედიტი საფაკულტეტო არჩევითი კურსები, მათ შორის თავისუფალი საგნები.

ჩვენი აზრით, ინკლუზიური განათლების საბაკალავრო პროგრამის მომზადებისათვის კრედიტების ოპტიმალური რაოდენობაა 180 კრედიტი საფაკულტეტო საგნების ჩათვლით და ამ სპეციალობის სტუდენტებს საშუალება მიეცეთ დამატებითი (მაინორ) პროგრამაზე გააკეთონ არჩევანი.

ინკლუზიური განათლების სპეციალისტები ემსახურებიან ადამიანის ისეთი ფუნდამენტალური უფლებების განხორციელებას, როგორცაა ყველა ტიპის სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეების ჩართვა ზოგადსაგანმანათლებლო სასწავლო პროცესში თანატოლებთან ერთად. ინკლუზიური განათლება ნიშნავს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეების მაქსიმალურ ჩართვას სასწავლო პროცესში; აგრეთვე, მიზნად ისახავს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე ბავშვების განათლების ხელშეწყობას, მათ სოციალურ ინტეგრაციას, შესაძლებლობების გამოვლენასა და განვითარებას [3, გვ. 5]. ინკლუზიური განათლება ასევე გულისხმობს შეზღუდული შესაძლებლობების მქონე მოსწავლეების ინდივიდუალური და/ან მოდიფიცირებული სასწავლო გეგმებით სწავლებას [3, გვ. 13-42].

ბუნებრივია, ასეთ ვითარებაში 60 კრედიტიანი კომპეტენციით, რასაც სხვა, ანალოგიურ პროგრამებში (მათ შორის ევროპის ქვეყნების) ვხვდებით, ჩვენ შორს ვერ წავალთ და სპეციალისტს ვერ ჩამოვაცალიებთ, მით უფრო ვერ შევძლებთ ინკლუზიური განათლების სრულფასოვანი სპეციალისტის მომზადებას. ამ შემთხვევაში ჩვენ შეეჭრადებით ბავშვის ფიზიოლოგიის სწავლების აუცილებლობაზე - ინკლუზიური განათლების საბაკალავრო პროგრამის სტუდენტებისათვის.

აღნიშნული საბაკალავრო პროგრამის სავალდებულო სასწავლო კურსთა შორის ჩართული უნდა იყოს აუცილებელი სასწავლო კურსი - ბავშვის ფიზიოლოგია. რატომ და რითაა ეს განპირობებული?

ცნობილია, რომ ფიზიოლოგია გვაძლევს ცოდნას ორგანიზმის ცხოველმყოფელობის შესახებ. იმ პროცესების შესახებ, რომლებიც მიმდინარეობენ როგორც მთლიანად ორგანიზმში, ასევე მის ცალკეულ ორგანოებსა და ქსოვილებში. ბავშვის ფიზიოლოგია გვაძლევს ცოდნას, ბავშვის ორგანიზმში, მუცლად ყოფნის პერიოდიდან პოსტნატალურ პერიოდში გადასვლის მოვლენების, ნაყოფის სისხლის მიმოქცევის, პირველი ამოსუნთქვის, საკვების მიღების, ორგანიზმის ზრდის ტემპის მარეგულირებელი მექანიზმების, ზურგისა და თავის ტვინის კანონზომიერებებისა და დიდი ტვინის ქერქის სენსორული, მოტორული და ინტეგრაციული ფუნქციების შესახებ ინფორმაციას [1, გვ.84-96]. ფიზიოლოგიის სხვა საკითხებთან ერთად განსაკუთრებით მნიშვნელოვანია თავის ტვინის განვითარებისთვის ნეირონების გააქტიურება (ელექტრული იმპულსების წარმოქმნა). უბნებისთვის სპეციფიკური ნეირონების გააქტიურების გარეშე თავის ტვინის ქერქის და მისი კავშირების ჩამოყალიბება შეუძლებელია - ასეთ შემთხვევაში ვერ მოხერხდება ზრდის ადგილობრივი ფაქტორების შენარჩუნება და ადგილობრივი გენეტიკური პროგრამების შესრულება [6, გვ. 382-389], ასევე მნიშვნელოვანია ბავშვის განვითარების რთული და ხანგრძლივი პროცესები, რომელზეც მრავალი გენეტიკური და გარემო ფაქტორები ახდენს ზემოქმედებას, უმაღლესი ფსიქიკური ფუნქციების განვითარება (მოტორიკა, აღქმა, აზროვნება, მეტყველება, ყურადღება, მეხსიერება), სენსორული აპარატის კერძო ფიზიოლოგიური საკითხების ცოდნა, რომელიც პირდაპირ კავშირშია ადამიანის შესაძლებლობების შესწავლასა და განსაზღვრაში [5, გვ.8, 16].

ინკლუზიური განათლების სპეციალისტი ზემოთხსენებული ფიზიოლოგიური პროცესების ცოდნის გარეშე ვერ განსაზღვრავს როგორია განსაკუთრებული საჭიროებების მქონე, ან შეზღუდული შესაძლებელობების მქონე ადამიანის დამახასიათებელი ნიშნები. ვერ შეძლებს განსაზღვროს და უზრუნველყოს მისი ფიზიოლოგიური შესაძლებლობები, ან თუნდაც განჭვრიტოს მათი მოტივაცია.

ინკლუზიური განათლების სპეციალისტის კომპეტენციებში აუცილებლად წინ არის წამოსაწევი ისეთი ცოდნა როგორიცაა: ადამიანის განვითარების დინამიკა, მემკვიდრული ნიშან-თვისებების ჩამოყალიბება და ცვალებადობა. ასევე

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია გარე სამყაროსთან ორგანიზმის შეგუებითი რეაქციები, რომელიც მიმართულია საერთო ორგანიზმული სასარგებლო ეფექტის მისაღწევად და მას საფუძვლად უდევს ნივთიერებათა, ენერჯის და ინფორმაციის ცვლა [1, გვ.41-42].

ბუნებრივია, ამ ცოდნის გარეშე ინკლუზიური განათლების სპეციალისტი ვერ შეძლებს განსაკუთრებული საჭიროებების მქონე ბავშვების მიმართ მათთვის საჭირო სწავლისა და ცხოვრების ჯანმრთელი წესის შექმნას. მან აუცილებლად უნდა უზრუნველყოს განსხვავებული ფიზიოლოგიური ტიპის, სპეციალური საჭიროებების მქონე ბავშვებისა და მოზარდებისთვის სწავლებისათვის ხელსაყრელი პირობებისა და მოტივაციის შექმნა, რადგან ფიზიოლოგიური პროცესები დინამიკური მოვლენებია და განუწყვეტლივ ვითარდებიან და იცვლებიან; აუცილებელია ინკლუზიური განათლების სპეციალისტმა განსაკუთრებული საჭიროებების მქონე ბავშვებისა და მოზარდების ფუნქციურ პროცესებზე შეძლოს უბრალო დაკვირვება, რაც დაეხმარება მას ამ ტიპის ადამიანებთან უკეთ დაგეგმოს და განახორციელოს ინდივიდუალური და მოდიფიცირებული სასწავლო გეგმებით სწავლება.

ბავშვის ფიზიოლოგიის შესწავლის გარეშე შეუძლებლად მიმაჩნია ინკლუზიური განათლების სპეციალისტებს ვასწავლოთ ისეთი სპეციალური საგნები როგორცაა „ექვევისა და ინტელექტუალური დარღვევების მქონე მოსწავლეთა განათლება“, „მეტყველების თერაპია“ „თერაპიული ოკუპაცია“, „ლოგოპედია“, „სმენადაზიანებულ ბავშვთა განათლება“, „კომუნიკაციისა და სენსორული დარღვევების მქონე მოსწავლეთა განათლება“ და ა. შ. ეს არის საგნები რომელთა გაგება შეუძლებელია სასწავლო კურსების - ფიზიოლოგიის, ან თუნდაც ანატომიის გარეშე. ეს ისევე სჭირდება მომავალ ინკლუზიური განათლების სპეცისტიტს, როგორც პედაგოგიური ციკლის საგნები, რომელიც ეხმარება მას პედაგოგიური მიდგომებისა და უნარ-ჩვევების ჩამოყალიბებაში. მთავარია, სპეციალურ მასწავლებელს უნდა ესმოდეს ბავშვის ორგანიზმის.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, მიმაჩნია, რომ ბავშვის ფიზიოლოგიის სასწავლო კურსი აუცილებელი და სავალდებულო საგანი უნდა იყოს ინკლუზიური განათლების სპეციალისტის პროფესიული სრულყოფისათვის. წინააღმდეგ შემთხვევაში გვეყოლება ინკლუზიური ბავშვის მასწავლებელი კომპეტენციების გარეშე.

ლიტერატურა:

1. მარკ ლ. ბეთშოუ ნენსი ჯ. როიზენი გაეტანო რ. ლოტრეჩიანო (2013), ბავშვები შეზღუდული შესაძლებლობებით. მეშვიდე გამოცემა. ქართული ბიოგრაფიული ცენტრი;
2. ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩო (2010), http://eqe.gov.ge/res/docs/120_4.05.pdf ბოლო ნახვა 13. 07. 2015.
3. თათია შაჭკორია (2008), ვისწავლოთ ერთად ინკლუზიური განათლება. ეროვნული სასწავლო გეგმებისა და შეფასების ცენტრი;
4. საქართველოს უმაღლესი განათლების ბაკალავრიატის სპეციალობათა ჩამონათვალი (2005), http://kutmuscollege.edu.ge/uploads/pdf/kanonebi-bakalavriatis_specialobebi.pdf ბოლო ნახვა 13. 07. 2015.
5. თინთინ ჭინჭარაული, მანია ბაგრატიონი, ანა ლალიძე, თათია შაჭკორი (2010), სწავლის უნარის დარღვევის მქონე მოსწავლეთა სწავლება. ეროვნული სასწავლო გეგმებისა და შეფასების ცენტრი;
6. Akerman, C.J. Cline, H.T. (2007) – Refining the roles of GABAergic signaling during neural circuit formation. Trends in Neuroscience, 30(8);



Lali Akhaladze

*Georgian State University of Physical
Education and Sport, Georgia*

Course of Study in Physiology for Bachelor’s Program in Inclusive Education

Introduction:

The article discusses the issue of study of Physiology teaching course for Inclusive Education Bachelor’s program. The methodology of the study is based on the approach of case study analysis, namely, taking into account the concept adopted for the curriculum of Inclusive Education Bachelor’s program of Sokhumi State University.

Main part:

Bachelor’s Program in Inclusive Education represents a novelty in Georgian education. For the first time in the history of Georgia, a new specialty “Correctional Pedagogy” was included in the list of bachelor specialties “Primary Education” and “Physical Culture” on the basis of Order 633 of 2005 by the Minister of Education and Science of Georgia [4]. A bachelor program in the given specialty was created and carried out at Ilia State University. Later on, in 2007 Bachelor’s Program in Correctional Pedagogy was also established at Sokhumi branch. In 2007 after Sokhumi State University was established under Sokhumi branch, this bachelor program was assigned a 5 years accreditation mode in the process of licensing. By the Order 120/n of December 10, 2010 of the Minister of Education of Science of Georgia [2], a new framework of higher education classifications was determined, in which inclusive education was determined as a subfield of education science. The former correctional pedagogy was replaced with inclusive education - code 030106. By today, the given bachelor program is active in the Georgian scientific space solely at Ilia State University and Sokhumi State University.

The Bachelor Program of Inclusive Education of Sokhumi State University comprises 240 credits, among which 180 credits are main and optional courses of inclusive education, and 60 credits are optional courses.

We think that optimal number for study at the Bachelor’s Program of Inclusive Education is 180 credits including optional subjects and to give the students of this specialty an opportunity to choose additional (minor) program.

Inclusive education specialists facilitate such fundamental human rights as inclusion of pupils with any type of special education needs in general education process along with their peers. Inclusive education means maximum inclusion of pupils with special education needs in educational process, as well as facilitation of education of

pupils with special education needs, their social integration, creating opportunities for them to use their abilities and for their development [3, p.5]. Inclusive education also means teaching disabled pupils in accordance with individual and/or modified curriculums [3, p.13-42].

It is natural that we cannot do well with 60 credit competency and we cannot grow specialists and moreover, we will not be able to prepare relevant specialists of inclusive education. In this case we will consider the necessity to learn child physiology – for the students of Bachelor’s program in Inclusive Education.

A course – child physiology- should be included in the mandatory courses of the given Bachelor Program. What is the reason for it?

It is a known fact that physiology gives us about the life of a body, the processes which are ongoing in a body, as well as its separate organs and tissues. A child physiology gives us knowledge about a child body, while being in utero while going to postnatal period, information about blood circulation of foetus, first exhale, nutrition, mechanisms regulating growth of a body, order of spinal cord and brain and motion and integration functions of cortex [1, p.84-96]. Apart from other physiological issues, activation of brain neurones is especially important (creation of electric impulses). Development of cortex and its connections is impossible without activation of specific neurones for areas. In this case it will be impossible to retain local growth factors and carry out logical genetic programs [6, p. 382-389], Complex and long processes of child development under the influence of many genetic and environmental factors are also important, development of higher psychic functions (movements, understanding, thought, speech, attention, memory), knowledge of physiological issues of which is directly connected with the study and determination of human abilities [5, p. 8, 16].

A specialist of inclusive education cannot understand the specifics of people with special needs and disabled people without the knowledge of the above mentioned physiological processes, will not be able to determine his physiological abilities or understand motivation.

The competencies of specialists of inclusive education should also include such knowledge as: dynamics of human development, development and change of inherited specifics. Reactions to adjust to outer world, to reach useful effect for general body are also important, and they are based on metabolism, exchange of energy and information [1, p.41-42].

It is natural that without any knowledge specialist of inclusive education will not be able to create necessary conditions for study and healthy life style for children with special needs. He should create relevant study conditions and motivation for children of different physiological type, special needs because physiological processes are dynamic events and they are continuously developing and changing; It is necessary that the specialists of inclusive education are able to simply observe the functional processes of children with special needs which will help them to plan better and carry out improved

individual and modified curriculum in respect of such people.

I think that it is impossible to teach specialists of inclusive education such special subjects as “Education of pupils with defects of behavior and intellectual defects”, “Therapeutic occupation”, “Logopedia”, Education of children with hearing defects’, “Education of children with communication and sensor defects”, etc. without the study of children physiology. These are the subjects which cannot be understood without the knowledge of educational courses of physiology, or at least, anatomy. It is as necessary for a specialist of inclusive education as the subjects of pedagogic cycle which help him/her to develop pedagogic approach and abilities. It is important for the teacher of inclusive education to understand a child body.

To summarize what is mentioned above, I believe that the study course in child physiology should be a necessary and mandatory subject for the development of a specialist of inclusive education. Otherwise we will have teachers of inclusive children who do not possess relevant competencies.

Reference

1. **Mark L. Batshaw, Nancy J. Roysen, Gaetano R. Lotrecchiano (2013)** - Children with Disabilities. 7th edition. Georgian Biographical Center. (In Georgian).
2. National Qualification Framework (2010), http://eqe.gov.ge/res/docs-/120_4.05.pdf last visit 13. 07. 2015. (In Georgian).
3. **Tatia Pachkoria** (2008) - Learn Together Inclusive Education. National Curriculum and Evaluation Center (In Georgian);
4. List of Bachelor's specialties of higher education in Georgia (2005), http://kutmuscollege.edu.ge/uploads/pdf/kanonebi/bakalavriatis_specialobebi.pdf last visit 13. 07. 2015. (In Georgian).
5. **Tinatin Chincharauli, Maia Bagrationi, Ana Lagidze, Tatia Pachkoria (2010)** - Teaching students with learning disabilities. National Curriculum and Evaluation Center (In Georgian).
6. **Akerman, C.J. Cline,H.T. (2007)** – Refining the roles of GAB-Aergic signaling during neural circuit formation. Trends in Neuroscience, 30(8), 382-389;



ალექსეი კოტი

სამართლის დოქტორი, კიევი, უკრაინა

ხელშეკრულების თავისუფლების პრინციპი და მნიშვნელობა უკრაინის სამოქალაქო სამართალში

დოქტორ ალექსეი კოტის კვლევა არ არის მიმართული ხელშეკრულების თავისუფლების ცნების დახასიათებასა თუ კონკრეტული თვისებების გამოვლენისკენ, არამედ ემსახურება ანალიზს გარკვეული ტენდენციებისა, რომელიც თან სდევს ხელშეკრულების თავისუფლების განვითარებასა და მოცემული იდეის დაწერვის თვისებების იდენტიფიცირებას უკრაინის თანამედროვე კერძო სამართალში.

მეცნიერი აღნიშნავს, რომ საბჭოური პერიოდის შემდეგ ხელშეკრულება და მისი თავისუფლების პრინციპის გაგება დაუბრუნდა წიაღისეულ კლასიკურ აღქმას, რაც გულისხმობს იმ ფუნდამენტალურ ასპექტებს, როგორც არის ხელშეკრულების დადების, ვადებისა და შინაარსის განსაზღვრის თავისუფლება და ამ პრინციპებზე დაფუძნებით უკრაინის სამოქალაქო სამართლის კანონმდებლობის შემუშავებას.

დოქტორი კოტი არაერთ საინტერესო საკითხს ეხება, რომელთა შორის ხელშეკრულების თავისუფლების შეზღუდვა მოიხსენიება, როგორც მოქმედებათა ზღვრის დაწესება და არა მოცემული პრინციპის დასუსტება ან შეზღუდვა. სტატიაში მოყვანილია მრავალი მაგალითი სასამართლო პრაქტიკიდან, ასევე ავტორის მსჯელობა და სხვადასხვა მეცნიერის მოსაზრება, რაც მკითხველს ინფორმაციის მაქსიმალურად ფართო არეალს აძლევს. სტატიის ბოლო აბზაცში ავტორი აღნიშნავს „ხელშეკრულება შეიძლება ჩაითვალოს არჩევნის თავისუფლების ტოლფასად თანამედროვე საზოგადოებაში“. ამ ბოლო წინადადებით იგი ლოგიკურად ასრულებს ნამუშევარს და უხსნის მკითხველს მსჯელობის ფართო ჰორიზონტებს.

Oleksiy KOT

Doctor of Law, Kiev, Ukraine

Principle of Freedom of Contract and Its Essence in Civil Law of Ukraine

1. Law, especially civil law, is a reflection of the way and direction of change, elected by society and the state in certain moments of the history of its development.

It seems important to analyze changes not only in relation to specific institutions of private law, which on an incredibly regular basis become the subject of various studies, but also in relation to broad, as it can be said, core ideas which are the basis for civil legal regulation of social relations in general. Undoubtedly, the idea of freedom of contract in private law can be considered as the same.

This research does not attempt to formulate any characteristics, manifestations or features of freedom of contract, which are notable for qualitative scientific novelty. Rather, it is devoted to the analysis of certain trends accompanying the requirement on freedom of contract in the process of development of society, the state and law, the identification of the features of implementation of freedom of contract ideas in the modern private law of Ukraine, which will be used for scientific work and the work of developers of the Civil Code of Ukraine, which entered into force in 2004, as well as analysis of the implementation of the principle of freedom of contract in the practice of higher courts in Ukraine.

2. As it is known, freedom of contract as a concentrated general requirement, recognized as a legal doctrine, has emerged relatively recently. However, some of the requirements discussed in the modern private law as a part of the freedom of contract principle, have come a long way of growth and development.

An example of this can be the right of parties to the agreement on the free formulation of the terms and its manifestation in the conditions of struggle, or, on the contrary, under the weakening of the struggle against usury, which at various times was expressed by contradictory regulations: ranging from almost total ban on charging interest and ending with the full freedom of establishment of the rate of interests.

However, the requirement of freedom of contract has received the most widespread consolidation, as well as many other institutions of private law, during the codification of works. Reflection of the freedom of contract principle between the major codifications of nineteenth and twentieth centuries also depended on the nature of the objective economic and social changes in society and state, which, of course, were influenced by scientific thought and in such a matter legislators were guided to the

formation of legal norms.

Whence, during the adoption of the Civil Code of France the ideas of the French Revolution were strong. Of course, "Liberty, Equality, Fraternity" in public life could not penetrate to the provisions of the Napoleonic Code, despite the fact that in its preparation the convinced royalists were involved. Therefore, the French Civil Code was "thoroughly imbued" with the ideas of freedom of contract. At the time, Y.A. Kantorovich has written: "In the Napoleonic Code, published in the early nineteenth century, the principle of contractual freedom is carried out with the entire sequence: the parties by means of their will stipulate all the conditions of contract and consequences of all their obligations, the norms of law relating to contract law shall apply only when the parties failed to provide anything to the contract or forgot to provide any condition or simply did not settle their relations; in these cases, a gap or a lack of will of the parties shall be filled with the norm of law, which is "the presumed will of the parties." Thus, rules of law in contract law are entirely optional." [1, 52].

On the contrary, later, when romanticism of political changes collided with the harsh economic laws, more considerable restrictions of unreasonable freedom gradually appeared and in some cases came to economic oppression. Therefore, at the time of the adoption of the German Civil Code and the Swiss law of obligations a significant amount of rules and regulations were formed, which could not be contradicted by the terms of the contract, which clearly provided conclusion of the contract or limited the ability of persons to change the terms of contracts. However, these restrictions were also justified, in general, from the viewpoint of the overall direction of private law, in particular by the protection of the weaker party to the contract, the maintenance of free competition etc. In any case, regardless of the number of restrictions, freedom of contract has always been a fundamental principle of economic regulation [2, 90].

Domestic doctrine of civil law also did not stay aside from these general trends. Civil law of pre-revolutionary Russian Empire, which was under the influence of the French and later of German private law ideas, also recognized the general requirement of freedom of contract. As it was noted by the eminent scholar G.F. Shershenevich, freedom of contract with the elimination of subjective limitations, as well as the formalism being the next to the right of private property, was one of the main foundations of the modern legal order [3,448].

After the revolution, the changes in the political and economic foundations of society have left their mark on the entire branches of law, including the civil law. Under the rule of the planned economic system the freedom of contract frankly lost its central role in private-law contractual relationship. Other categories came to the forefront, such as contract enforcement and the conditionality of the conclusion of contracts by the means of acts of planning. In such circumstances, the contract had a subordinate position in relation to the plan, and in the scientific literature it was stressed that the timely and proper execution of the contractual relationship provided a solid basis for the successful

implementation of the plans [4, 55].

However, it would be a mistake to say that in this period of history the concept of freedom of contract was completely "filed as a history". According to A.S. Dovhert, in the real life at least small islands of freedom were still remained, which objectively demanded a private, rather than public regulation. It was a kind of "territory" of human freedom, which human had, in particular, in the sphere of family relations, turnover etc. Since 1985, there was a gradual expansion of this area of freedom [5, 37]. In the scientific literature of that period it was emphasized that concluding of unplanned agreements between legal entities, between them and citizens or between citizens – is the area of the "so-called autonomy, the implementation of a certain freedom. Entering into a contract legal entities and individuals have an opportunity to look after the security of their interests: initiative and independent, self-interest should lead to the largest (from the perspective of public positions) result." [6,30].

Later, after the transition to market methods of management, there was a gradual but irreversible return to the classical understanding of the idea of freedom of contract and its specific manifestations. In the early 90s civilists justified a fundamentally different correlation of plan and contract, "because in a market economy namely an agreement becomes the basis for the formation of the plan (and the purpose and content of the plan and the procedure for its approval are changed significantly), it should be recognized that the plan should not be construed as limiting the freedom of contract" [7,67].

Thus, during the period of planned economy, the principle of freedom of contract did not completely disappear from the horizon of civil law. In the end, the Civil Code of the Ukrainian SSR provided the individual components of this principle, fixing, for example, in Art. 4 the possibility of civil rights and obligations arising from the transactions prescribed by law, and as well from the transactions, which were not prescribed by law but did not contradict it.

Nevertheless, the above mentioned in no way calls into question the conclusion that in the process of a new codification of private law of Ukraine, as well as in other former Soviet republics, scientific thought has swept the idea of freedom of contract to a new level by returning it to the bosom of its classic understanding. It was reflected in the direct securing of freedom of contract as a fundamental principle of the civil legislation of Ukraine.

3. The basis of the requirement of freedom of contract are general social and common law ideas of freedom of the person and equality of parties at all stages of modern private law. As it was noted by I.A. Pokrovsky, whose works continue to have a huge impact on modern processes of development of private law, civil law, and originally itself was the right of individual human beings, its sphere of freedom and self-determination. Here the idea of man as the subject of rights was born, i.e., notion of personality as something legally separate and independent even in relation to the state and its authorities [8, 307]. If public law is a system of subordination, the civil law is a system of coordination; if the

former is the domain of power and subordination, the latter is an area of freedom and private initiative [9,44].

თანამედროვე ჰუმანისტურ ფსიქოლოგიაშიც განასხვავებენ ორი სახის, ორი ტიპის სწავლას, რომელთაც, ბავშვის გონებრივ-პიროვნული განვითარების თვალსაზრისით სრულიად განსხვავებული შედეგები მოჰყვება. ერთს უწოდებენ გარეგან სწავლებას (*ა. მასლოუ, კ. როჯერსი*); ეს არის მკაცრად დაპროგრამებული, რეგლამენტირებული, გარეგანი წახალისებისა თუ იძულების საშუალებებით წარმართული სწავლა, რომელსაც ბავშვის შინაგანი დაინტერესება არ ახლავს,

ან დაინტერესება იმდენად მინიმალურია რომ, როგორც კი საშუალება მიეცემათ თავს ანებებენ სწავლას..

კ. როჯერსის მოსაზრებით, გარეგანი სწავლა „უაზრო სწავლის სახეობაა“. დაზეპირებით შეძენილი ცოდნა დიდხანს არ გაჰყვება ადამიანს. გარეგანი სწავლა მიზნად ისახავს მხოლოდ ინდივიდის მიერ გარკვეული მოცულობის ცოდნის ათვისება-დამახსოვრებას და არაავითარი ან მეტად მცირე მნიშვნელობა ენიჭება იმას, თუ რას განიცდის ბავშვი სწავლის პროცესში, როგორია მისი მზაობა, ჩართულობა, მონდომება, აინტერესებს და ახარებს შეძენილი ცოდნა, თუ მხოლოდ უფროსებისაგან შეფასებაზეა ორიენტირებული. ბევრი მკვლევრის აზრით, ასეთი დაზეპირებით სწავლა უარესია, ვიდრე მთლად უცოდინრობა.

მეორე ტიპის სწავლას ჰუმანისტურ ფსიქოლოგიაში უწოდებენ ნამდვილ სწავლას, შინაგან სწავლას, რაშიც იგულისხმება გარეგანი იძულებისაგან თავისუფალი, საკუთარი ნებით და არჩევანით ჩართულობა, ჩაღრმავება სწავლის პროცესში. ისინი განათლების გაუმჯობესების ერთადერთ გზად მიიჩნევენ გარეგანი სწავლის მთლიანად შეცვლას შინაგანი, ნამდვილი სწავლით.

2. დიმიტრი უზნაძე ხაზგასმით მიუთითებს სწავლის პროცესში ჩართულთათვის იმის გაცნობიერების აუცილებლობაზეც, რომ ნამდვილი სწავლის შედეგი მხოლოდ ის კონკრეტული ცოდნა, ან აქტივობის დაუფლება კი არ არის, რომელიც სწავლით შევიძინეთ, არამედ, უმთავრესი მიღწევაა ის, რომ ნამდვილი სწავლის პროცესში ბავშვს სამუდამოდ შემორჩება ორი უნიშვნელოვანესი შენაძენი:

- ✓ სწავლის გავლენით განვითარების უფრო მაღალ დონეზე ასული უნარ-შესაძლებლობები „სწავლაში ძირითადი კონკრეტი ჩვევა და ცოდნა როდია, არამედ იმ ძალების განვითარება, რომელნიც სწავლის პროცესში ღებულობენ მონაწილეობას“[1, გვ. 466].
- ✓ ნამდვილი სწავლის დროს ბავშვი ავნებს იმ ინდივიდუალურ ხერხებს და საშუალებებს, რომელთა გამოყენებითაც მაქსიმალური ეფექტურობით წარმართავს საკუთარი სწავლის პროცესს, ანუ ბავშვი სწავლობს იმას, თუ როგორ უნდა ისწავლოს.(ორივე ამ შენაძენის საილუსტრაციოდ დიმიტრი უზნაძეს მოაქვს ბავშვის მიერ წერის სწავლის მაგალითი [1, გვ. 465]..

დიმიტრი უზნაძის ამ მოსაზრებებსაც ეხმაურება თანამედროვე განათლების ფსიქოლოგია, რომელიც მიიჩნევს, რომ ნამდვილი, შინაგანი სწავლა დადებით

გავლენას ახდენს. მოსწავლის მთლიან გონებრივ-პიროვნულ განვითარებაზე. ამასთანავე, ვ. როჯერსის პოპულარული გამონათქვამით, „მხოლოდ ის ადამიანი განათლებული, რომელმაც ისწავლა, თუ როგორ უნდა ისწავლოს.“, რაც მას აძლევს საშუალებას დამოუკიდებლად, შემოქმედებითად აითვისოს ახალი ცოდნები და დღევანდელ, პროფესიათა კვდომა-განახლების ეპოქას ღირსეულად გაუმკლავდეს.

3. დიმიტრი უზნაძის მიხედვით, გაზეპირებით სწავლა, გარდა ცოდნის ზედაპირულობისა, იწვევს დარღვევებს მოზარდის პიროვნულ განვითარებაში, რადგან უმეტეს შემთხვევაში ის ხორციელდება აღმზრდელითი თვალსაზრისით სრულიად მიუღებელი, გარეგანი, ძალადობრივი მეთოდების გამოყენებით. დ. უზნაძემ, „აღზრდის ძირითადი ტრაგედია“ უწოდა პედაგოგის მიერ ბავშვის ბუნების სრულ და ყოველმხრივ გაუთვალისწინებლობას და ძალადობრივი მეთოდების გამოყენებას სკოლაში. ამ პერიოდის შესახებ ის წერს: მერე ჩვენ გვიკვირს, რომ არსებობენ ისეთნი, რომელნიც ასეთ განათლებას გაურბიან. ჩვენ უფრო ის უნდა გვიკვირდეს, რომ ისეთებიც გვხვდებიან, რომლებსაც მისი ატანა შეუძლიათ [2, გვ. 3].

თანამედროვე განათლების მოთხოვნებშიც აღიარებულია აღზრდის პრიორიტეტულობა, აღიარებულია, რომ გარეგანი სწავლის პიროვნული ეფექტი უარყოფითი, ან მინიმალურია, რადგან ბავშვი ნორმალურად ვითარდება მხოლოდ იმ სახის აქტივობაში, რომელიც მის შინაგან შესაძლებლობებს არ აღემატება და რომელშიც იგი ხალისით და მონდომებით ერთვება ასეთი სწავლა დადებით გავლენას ახდენს. მოსწავლის მთლიან პიროვნებაზე, მის შეხედულებებსა და ქცევაზე. ასეთი სწავლა კეთილისმყოფელი ზეგავლენის გარეშე არ ტოვებს მოზარდის სულიერი სისტემის არცერთ მხარეს. გარეგანი იძულებისაგან თავისუფალი, ნამდვილი შინაგანი სწავლა ეხმარება ადამიანს თავისი გონებრივი შესაძლებლობებისა და პიროვნული თავისებურებების გაცნობიერებაში, საკუთარი თავის „აღმოჩენაში“, თავის თავში იმ აზრების და განცდების დანახვასა, შეფასებასა და სრულყოფაში, რომლებითაც ხდება მისი ინდივიდუალობის გაშლა და დაკავშირება ზოგად-საკაცობრიო ღირებულებებთან და იდეალებთან. აღზრდის პრიორიტეტის აუცილებლობას იმითაც ასაბუთებენ, რომ როგორც ისტორიული გამოცდილება აჩვენებს, დიდი ნიჭისა და ცოდნის მქონე, მაგრამ მაღალ ღირებულებებს მოკლებულ ადამიანს უფრო მეტი ზიანის მოტანა შეუძლია საზოგადოებისთვის, ვიდრე უცოდინარს.

3. ნამდვილი, შინაგანი სწავლისათვის მზაობის აუცილებელ კომპონენტად დიმიტრი უზნაძე მიიჩნევს სკოლამდელ ასაკში საკუთარ შესაძლებლობებში ადექვატური დარწმუნებულობის ჩამოყალიბებას, რაც განხილული აქვს ფუნქციონალურ ტენდენციასთან კავშირში. *დ.უზნაძის* მიხედვით საკუთარ ძალებში ადექვატური დარწმუნებულობის ჩამოყალიბებას ხელს უწყობს ბავშვის განვითარების ყველა მიმართულებით (ფიზიკური, გონებრივი, სოციალური) მისი აქტივობის ტენდენციის სრული, შეუზღუდავი გაშლისათვის საჭირო პირობების შექმნა აღმზრდელობითი გარემოს მიერ (ბავშვის უსაფრთხოების სრული დაცვის გათვალისწინებით). ბავშვი ადრეული ასაკიდანვე თანდაყოლილად მოცემული ფუნქციონის ტენდენციის საფუძველზე აღძრული აქტივობით ეცნობა გარემოს (რაც ხელს უწყობს აქტივობაში ჩართული შესაძლებლობების ზრდა-განვითარებას, მათი ფუნქციონის დახვეწას) და ამასთანავე, მათი საშუალებით, იკვლევს, თავის შესაძლებლობებსაც; იკვლევს, დამოუკიდებლად რისი გაკეთება შეუძლია, რა როგორ შეუძლია და დაუღლეოდ მიმართავს იმ აქტივობებს, რომლებშიც თავისი გაძლიერების, აქტივობის დახვეწის საჭიროებას გრძნობს. ფუნქციონალური ტენდენცია ვლინდება ცალკეულ ორგანოთა, ცალკეულ უნარ-შესაძლებლობათა მოქმედებისათვის მომნიშვნის მინიმალური დონიდან მათი აქტივობაში, ისეთი სახით როგორც მათ იმ დროისთვის შეუძლიათ; აქტივობის ტენდენციის, ფუნქციონის მოთხოვნის დაკმაყოფილება ამგვარი „ვარჯიშით“, ხელს უწყობს ცალკეულ ორგანოთა და შესაძლებლობათა მომნიშვნის დასრულებას, შესატყვისი აქტივობის გაუმჯობესება-სრულყოფას და ამზადებს, აძლიერებს ბავშვს დამოუკიდებლად თავდაცვისა და არსებობისათვის ბრძოლაში გადარჩენისათვის როგორც მოტორული, ისე ინტელექტუალური /შეკითხვები/ აქტივობის ტენდენციის გამოვლენაზე აღმზრდელობითი გარემოს სწორი რეაგირების პირობებში (შექება, გამხნევა, წახალისება, მხარდაჭერა) ბავშვს ბუნებრივად ექმნება საკუთარ ძალებში დარწმუნებულობა, ამ დროს დაკმაყოფილებული ცნობისმოყვარეობა (რა არის, როგორ ხდება, შემძლია თუ არა ამის გაკეთება) გადაიზრდება ცოდნისმოყვარეობაში და სასკოლო სწავლის მზაობაში,

ბავშვის განვითარებისათვის მისი პირადი აქტივობის წახალისებისა და ხელშეწყობის დიდ მნიშვნელობაზე მიუთითებს ე. ერიქსონის „*ფსიქოსოციალური განვითარების თეორია*“ და ე. გროტბერგის „*სიცოცხლისუნარიანობის თეორია*“; სადაც სიცოცხლისუნარიანობა, ფაქტიურად გათანაბრებულია ფართო გაგებით

სწავლის უნარიანობასთან, რომელსაც მოჰყვება თვითგადარჩენისათვის საჭირო ძალების გაძლიერება.

არაერთ თანამედროვე გამოკვლევაშია აღნიშნული, რომ ადამიანები, რომლებსაც ბავშვობაში ხშირად ჰქონიათ განცდილი თავისი აქტივობით წარმატების სიხარული (რასაც ა.მასლოუმ „პიკი განცდა“ უწოდა), ზრდასრულობაში გამოირჩევიან საკუთარ ძალებში დარწმუნებულობით, ძლიერი თვითკომპენტურობის და თვითრეალიზირებულობის გრძნობით; და პირიქით, დაწუნებამ, შეზღუდვამ, დადებითი სოციალური სტიმულაციის უკმარობამ შეიძლება გამოიწვიოს განვითარების სერიოზული დარღვევები.

5. დიმიტრი უზნაძე სრულიად განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდა თითოეული მოსწავლის პროფესიული ინტერესების დადგენას და სწორი მიმართულების მიცემას.

1933 წ. გამოქვეყნებულ ნაშრომში „პროფესიათა ფსიქოლოგიის აქტუალური პრობლემებისა და თეორიული საფუძვლებისათვის“. დ. უზნაძე აღნიშნავს: „ჩვენ არ გვეჩნებოდა არც თეორიული და არც პრაქტიკული თვითგამართლება თუ, თუნდაც დროებით, უარს ვიტყოდით ფსიქოლოგიური პროფერჩევის, პროფკონსულტაციისა და პროფორიენტაციის პრაქტიკაზე“ [3, გვ.12].

დიმიტრი უზნაძის აღნიშნულ ნაშრომში დასაბუთებულია პროფესიათა ფსიქოლოგიური შესწავლის აუცილებლობა, რათა ოპტიმალურად იქნეს შერჩეული თითოეული პროფესიის მოთხოვნების შესატყვის უნარ-შესაძლებლობათა და პიროვნულ თავისებურებათა მქონე ადამიანი, რაც უზრუნველჰყოფს შრომის პროცესის მაქსიმალურ ნაყოფიერებას.

„ყოველგვარი შრომის აუცილებელ პირობად - შრომითი მზაობის ერთ-ერთ ძირითად და აუცილებელ პირობად, უნდა ჩაითვალოს ძალთა და უნართა მოცემული პროფინებისათვის დამახასიათებელი სისტემა, რომელსაც იმთავითვე აქვს გარკვეული მიმართულებით გააქტიურების ტენდენცია. მას ჩვენ ვუწოდებთ ფუნქციურ ტენდენციას და მივიჩნევთ შრომითი მზაობის აღმოცენების საფუძვლად, რაც ჩვეულებრივ პირობებში ამა თუ იმ ინტერესის სახით განიცდება.“(3, გვ. 20).. უზნაძე მიიჩნევდა, რომ სწორედ, შრომისადმი შინაგანი სწრაფვის შესატყვისი მასალისა და ამოცანის (ანუ პროფესიის) სწორად მონახვაში სჭირდება დახმარება მოზარდს. სკოლამ უნდა მისცეს ბავშვს მიმართულება იმ სპეციალობისაკენ, რომელიც ყველაზე მეტად შეესატყვისება მის ინტერესებს, განვითარების დონეს,

მიდრეკილებებსა და ოჯახურ მდგომარეობას, საზოგადოებისათვის საჭირო შრომითი საქმიანობის მოთხოვნების გათვალისწინებით. სკოლიდანვე ამ მიმართულებით მუშაობის აუცილებლობაზე მიუთითებს მისი სიტყვები: „ადამიანის შრომითი ძალების განვითარებას საგანგებო ზრუნვას, სწავლას მოითხოვს და ეს ზრუნვა სწორედ ადამიანის ზოგადი განვითარებისათვის ზრუნვასთან უნდა იყოს განუყოფლად დაკავშირებული ანდა უკეთ, მასთან ერთადერთს მთლიანობაში იქნას გაერთიანებული. ეს კი იმას ნიშნავს, რომ პოლიტექნიკური შრომის სწავლა არა პროფესიონალურის, არამედ ზოგადი განათლების სკოლის საქმეა და ეს უკანასკნელი არა ცალმხრივი აღზრდა-განათლების, არამედ პოლიტექნიკური შრომის სკოლა უნდა იყოს“ [1, გვ.467].

თანამედროვე განათლების პროგრესული მიმდინარეობებიც აუცილებლად მიიჩნევენ და ანხორციელებენ კიდევ ამ მხრივ სკოლაში მუშაობას, რადგან პროფესიის სწორ არჩევაზეა დამოკიდებული ერთის მხრივ, მომავალში, ზრდასრულობის პერიოდში, პროფესიულ საქმიანობაში წარმატება, სრული თვითაქტუალიზაცია და თვითრეალიზაცია, ცხოვრებისადმი ხალისიანი, ოპტიმისტური დამოკიდებულება და კმაყოფილების განცდა იმის გამო, რომ გააკეთე ყველაფერი, რისი გაკეთებაც შეგეძლო და გინდოდა. ყოველივე ამას კი განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ადამიანის ფსიქოლოგიური ჯანმრთელობის, საკუთარი პროფესიული საქმიანობის მიმართ კეთილსინდისიერი დამოკიდებულების და სიცოცხლის ბოლომდე აქტიური, პროდუქტიული ცხოვრებისათვის. მეორეს მხრივ კი, ამაზეა დამოკიდებული საზოგადოების კეთილდღეობა და ქვეყნის პროგრესული განვითარება.

ამიტომაც, რომ განვითარებულ ქვეყნებში, დამამთავრებელი კლასების მოსწავლეთა და სტუდენტთა უმეტესობა, უკვე დასაქმებულია საკუთარი ინტერესების შესატყვისი პროფესიის სანყისი, დაბალი რანგის სამუშაოთი. აშშ-ში მაგალითად, წუხილს გამოთქვამენ იმის გამო, რომ შეზღუდული შესაძლებლობის შრომისუნარიან მოსწავლეთა მხოლოდ მცირე ნაწილია დასაქმებული მაშინ, როცა ჩვეულებრივი განვითარების მოსწავლეთა 86% მუშაობს.

კვლევებმა აჩვენა, რომ შეიძლება მოზარდი დიდ ინტერესს ავლენდეს რაიმე პროფესიის შესატყვისი საგანისადმი, როცა ამ საგანს კვირაში ერთი ან ორი გაკვეთილი ეთმობა, მაშინ კი, როცა ამ სფეროში აღმოჩნდება ყოველდღიურად და თანაც მთელი სამუშაო დროის განმავლობაში, შეიძლება დამოკიდებუ-

ლება შეიცვალოს. სწავლასთან შეთავსებით მუშაობა კი იქნება საუკეთესო გამოცდა მისი ინტერესის მდგრადობისათვის. განვითარებულ ქვეყნებში განათლების სისტემა საკუთარი, ნამდვილი პროფესიული ინტერესების მიგნების პირობებს უქმნის ახალგაზრდობას სწავლების ყველა საფეხურზე.

დიმიტრი უზნაძის ჩანაფიქრის განხორციელება „სკოლიდანვე პოლიტიქნიკური სწავლის“ შესახებ, თავიდან აგვაცილებდა იმას, რომ ჩვენს ქვეყანაში, მიუხედავად ეკონომიკური გაჭირვებისა, ახალგაზრდობა გაურბის პროფესიულ სასწავლებლებს, თუმცა იქ მეტი მატერიალური დახმარება, ხოლო შემდგომ დასაქმება აქვთ გარანტირებული.

6. დიმიტრი უზნაძე განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობდა „პედაგოგიური ნიჭისა“ და პედაგოგთა ვარჯიშის (ტრენინგის) საკითხებს.

ჯერ კიდევ XX ს. დასაწყისში, ნაშრომში - ექსპერიმენტალური პედაგოგიკის შესავალი - დიმიტრი უზნაძეს განხილული აქვს მასწავლებლის კვალიფიკაციასთან დაკავშირებული ის საკითხები, რომლებიც სპეციალური მსჯელობის საგნად იქცა XX ს. 60-იან წლებში გერმანიაში გამართულ სკოლის მუშაკებისა და განათლების მეცნიერებათა წარმომადგენლების გაერთიანებულ საერთაშორისო სიმპოზიუმზე [5]. დ.უზნაძე აღნიშნავს, რომ სკოლაში ფსიქოლოგიური ცოდნის ეფექტურ გამოყენებაში სერიოზულ პრობლემას ჰქმნის პედაგოგიური ნიჭის საკითხი, რადგან პედაგოგიური ნიჭი, ისევე როგორც ყველა სხვა ნიჭი, ბევრი არ გვხვდება, მაშინ როცა სკოლებს მასწავლებლები დიდი რაოდენობით სჭირდება. პედაგოგიურ ნიჭში ის გულისხმობს განსაკუთრებულ „ფსიქოლოგიურ ნიჭს“, „რომელსაც სხვისი სულიერი ცხოვრების გასაღები ხელთ უპყრია, და პირდაპირ ადამიანის ნამდვილ არსსა სწვდება. ამიტომაც არის, რომ ნამდვილი აღმზრდელი ერთხელაც არ გადადგამს ცრუ ნაბიჯს და მუდამ თითქოს წინდანინვე გამოანგარიშებულ ცვლილებას ახდენს აღსაზრდელის სულიერ ცხოვრებაში.“ [2, გვ.19].

დიმიტრი უზნაძე, ამ ერთი შეხედვით უნუგემო მდგომარეობიდან, გამოსავალს ხედავდა იმაში, რომ ნებისმიერ, საშუალო პედაგოგიური ნიჭის მქონე ადამიანს შეუძლია გულმოდგინე სწავლითა და წვრთნა-ვარჯიშით ისე დაეუფლოს პედაგოგიური ნიჭით დაჯილდოებულთა იდეებისა და ინოვაციების განხორციელებისათვის საჭირო ცოდნა-ჩვევებს და პედაგოგიურ ტექნიკებს, რომ პრაქტიკულ საქმიანობაში არაფრით ჩამოუვარდებოდეს ამ სფეროში განსაკუთრებული ნიჭის მქონეებს. „შესწავლას, მაცადინობას ის მაინც შეუძლია, რომ ჩვეულებრივი

ადამიანი ხელოვნების რომელიმე დარგის ტექნიკას იმდენად გააცნოს, იგი იმდენად შეათვისებინოს, რომ შემდეგ თუ ხელოვანი არა, ხელოსანი (იგულისხმება თავისი საქმის საუკეთესო შემსრულებელი) მაინც გახდეს [2, გვ. 20].“

ეს სიტყვები ნათლად გვიჩვენებენ დ. უზნაძის შეხედულებას მასწავლებელთა დახელოვნების მიზნით მათთვის სპეციალური, სისტემატური წვრთნა-ვარჯიშების ჩატარების აუცილებლობაზე, რაც დღეისათვის ტრენინგების სახელით ფართოდ არის გავრცელებული მთელ მსოფლიოში. დიმიტრი უზნაძე იმასაც მიუთითებს, რომ ცოდნა-ჩვევების დაუფლებას და პროფესიული ტექნიკების სრულყოფილად ათვისებაში ვარჯიშს ასევე დიდი მნიშვნელობა აქვს პედაგოგიური ნიჭისა და ამ დარგში დიდი თეორიული ცოდნის მქონეთათვისაც. იმისათვის, რომ თანამედროვეობას, არ ჩამორჩნენ.

ეს არის მცირე ჩამონათვალი და მოკლე დახასიათება იმ სიახლეებისა, რომელსაც დ. უზნაძე საჭიროდ მიიჩნევდა ჩვენს ქვეყანაში განათლების გაუმჯობესებისათვის, რომლებზედაც მთელი ძალისხმევით მუშაობდა დ.უზნაძის სკოლა (ფსიქოლოგიის ინსტიტუტი, თსუ-ს ფსიქოლოგიის ფაკულტეტი და სხვ.), თუმცა მათი სრულად განხორციელება პრაქტიკაში, შეუძლებელი გახდა იმდროინდელმა პოლიტიკურმა ვითარებამ.

ლიტერატურა:

1. დიმიტრი უზნაძე, შრომები, ტომი V, „მეცნიერება“, თბილისი. 1967;
2. დიმიტრი უზნაძე, ექსპერიმენტული პედაგოგიკის შესავალი, ქუთაისი, 1912;
3. დიმიტრი უზნაძე, პროფესიათა ფსიქოლოგიის აქტუალური ამოცანებისა და თეორიული საფუძვლებისათვის, თბილისი, 2007;
4. ალ. ფრანგიშვილი, სწავლის ფსიქოლოგიის საკითხები, განათლება, თბილისი, 1969;
5. Padagogische Psychologie fur Hohere Schulen, h. g. von K. Strunz, Munchen, Basel, 1962;



Tamar Javakhishvili
Sokhumi State University, Georgia

Dimitri Uznadze and Modern Educational Psychology

Dimitri Uznadze came at school as a teacher in Georgia after receiving education in Europe. He elaborated system of arrangements after studying the difficulties in school education of the time. His ideas proved by scientific researches for improving education preceedingly coincides to the changes that brought the highest level that of educational effectiveness to the developed countries.

D.Uznadze paid attention to the fact: the most of pupils and students and their parents of that time were interested in receiving the educational diploma (document) and not in receiving the knowledge corresponding to diploma. Nearly the same was situation in European countries. Such education was called documental education in Europe, “machine production of as though educated people” was neglected, as the special longitudinal researches showed, the people with documental (and not real) education either never became real specialists or they brought great damage to country and prevent the progress before becoming specialists in practices.

By this time under the influence of political cataclysms Georgia appeared in the situation of having been taken off from the world and Georgian school, educational institutes have been locked for experiments and inculcation of free from politics, scientific psychological novations. While there was help from government to researches and inculcations for improving education in many countries.

In such circumstances *Dimitri Uznadze* considered needed necessary educational arrangements, scientific experimental researches and their spread in society in hope to receive high level of social conscious in respect of study and to bring everything above mentioned at school in order to improve the education.

The main of these arrangements are:

1. *Dimitri Uznadze* considered exact definition of real study (study as differing from play and labor, independent form of behavior) and its differing from study without understanding, study by heart; that is characteristic only for people with documental education. It was necessary for participants in studding process (teachers, pupils, parents) and for the whole society to realize that we have real study, study for the future development of the country and for the professional and personal happiness in maturity of the given child only in the case of such conditions for the study from childhood that the child is interested in contents, in activities that are learnt and not in external results (estimate,

praise, get remove from class to class and etc). According to D.Uznadze “when subject comes to activity not for fulfilling concrete requirement that is out of this activity, but only for the sake of mastering this activity, of fulfilling this activity better, we say: subject is learning this activity. Study becomes an independent form of behavior in this case and we have a real study”[4, p.27].

They differ two kinds, two types of study in modern humanistic psychology that are followed by different results in the view of mental- personal development of a child. The first type is called external study (*A. Maslow, K. Rogers*); it is strictly programmed, regulated study directed by external encouragement and force, without internal interest from a child or with so little interest that child stops learning if there is a chance.

According to K. Rogers external study “is a kind of study without sense”. Knowledge obtained by learning by heart will not last long. Getting and remembering some knowledge by an individual is the only aim of external study and it is of no importance or nearly of no importance what does child feel during the studying process, what is his readiness, inclusion, diligence, is he interested and glad of getting knowledge or he is oriented only on grown-ups estimate. Many scientists think that study by heart is worse than ignorance.

The second study is called real study, internal study in humanistic psychology, that means study without external force, with inclusion chosen by the child freely, deepening in study process. The humanistic psychology considers that replacing external study by internal, real study is the only way of improving education.

2. *Dimitri Uznadze* shows the necessity to realize by the people taking part in study process: the result of real study is not only getting concrete knowledge or activity that we have obtained by study, but the main achievement is that child will get forever from study process the following gifts:

1. abilities on higher level reached by the influence of study process. “Main thing is the development of forces that participate in study process and not concrete habit and knowledge in study”[1, p.466].

2. child finds individual means and methods during the real study by means of which his own study process is maximal effective, we say: child learns how he must learn. (*Dimitri Uznadze* gives an example of studding the written language by child to illustrate these both gifts [1, p.465].

Dimitri Uznadze's these ideas coincide with the ideas of modern education psychology, that considers: real internal study has positive influence on the development of pupil's mental-personal abilities. According to *K. Rogers'* popular saying “*person is educated only in the case if he learnt how to learn*”, that enables him independently, creatively get new knowledge in nowadays epoch, epoch of dying-renewal of professions.

3. According to *D.Uznadze* study by heart brings superficial knowledge and causes negative results in the personal development of child, because it is realized by

using unacceptable in the view of upbringing, external, obligation methods in most cases. Not taking into account child's nature by teacher and use of obligation methods at school are called "the main tragedy of upbringing" by D.Uznadze. He writes: "...then we are surprised that there exist some people, who try to avoid from such education. We must be more surprised by existence of such people, who can bare it"[2, p. 3].

The priority of upbringing is acknowledged in modern education requirements. It is acknowledged that personal effect of external study is negative or minimal positive, because child develops normally only in activity that is not greater than his internal abilities and where he takes part with cheer and diligence. Such study has a positive influence on pupil's person, his ideas and behavior. Such study has positive influence on each part of child's feeling system. Free from external obligation, real internal study helps human to realize his mental abilities and personal individualities, to "find" himself, to see, estimate and perfect those own ideas and feelings, that presents his individuality and connects him with general mankind values and ideals... Necessity of upbringing priority is affirmed also by the fact, that as historical experience shows, human with great talent and knowledge, but without high values may bring more damage to society, than ignorant human can.

4. *Dimitri Uznadze* says: development of adequate assurance in pupil's own abilities is the main component of readiness for real internal study and that is discussed in connection with functional tendency. According to *Dimitri Uznadze* conditions for complete, unbounded development of child's activity tendency in all directions (physical, mental, social) created by upbringing environment (taking into account complete defence of child's security) helps child to form adequate assurance in own abilities... Pupil makes acquaintance with environment by the activity arisen on the base of inherited from childhood function tendency (that helps to growth-development of abilities included in activity, to refine their functioning) and learns his abilities by means of them also; learns what can he do independently, what and how can he do and turns to activities tirelessly, where he feels necessity of his strengthening, refinement of activities. Functional tendency turns out in activity beginning from minimal level of maturity of each organ, of each ability, that they can for that time; activity tendency, function requirement helps bringing to end maturity of each organ and ability by such "exercise", helps also improvement-perfection of activity and prepares, strengthens child for independent security and struggle for existence.

Child will have assurance in own abilities naturally if there is correct reaction (praise, encouragement, support,...) from upbringing environment on turning out child's physical and intellectual (questions) activity tendency. Child's satisfied curiosity (what is it, how it happens, can I or can't do it) will grow into desire for knowledge and readiness for study that helps his success.

E. Ericson's psycho-social development theory and *E. Grotberg's* "viability theory", where vital capacity is in fact equalized with study capacity, presents the great importance of encouragement of child's activity for the child's development.

As many modern researches show people, who often had joy of success of their activity in childhood (*Maslow* calls this “*top feeling*”), are assured in their abilities, have strong self competence and self realization feeling in maturity; and vice versa.

5. *Dimitri Uznadze* mentioned of great importance of stating and giving correct direction to each pupil’s professional interests.

Dimitri Uznadze states “we’ll have neither theoretical, nor practical self truth, if even for some time we say no to the practice of psychological professional choice, professional consultation and professional orientation”[3,p.12] in his research “Actual Problems and Theoretical Basement of Professions Psychology” published in 1933.

It is proved in *Dimitri Uznadze’s* above research the necessity of psychological study of professions for optimal choice of a human with abilities and personal characteristics corresponding to requirements of each profession that provides maximal effects of working process.

System of abilities, that is characterized to given person and has a stirring up tendency in some direction, must be considered as the necessary condition of any work (one of the main necessary condition of working readiness). We call it functional tendency and consider it as a base for arising working readiness, that we usually have as some interest”[3, p.20]... *Dimitri Uznadze* says that the necessity of help for pupil correctly get profession corresponding to his working inclination is evident.

School must give a child direction to the profession that most of all corresponds to his interests, level of his development, his inclinations and his family status, taking into account necessity for social work and its requirements... His words show the necessity of work in this direction beginning from school: “development of human working abilities needs special care, study and this care must be connected with the care for human’s general development or it is better to say: they must be united in one whole. It means: study of polytechnical work must take place not at professional school, but at school of general education and the last must be not a school of one-sided upbringing and education, but a school of polytechnical work”[1, p.467].

Modern educational psychology also considers its necessity and works at school in this view, for in future, in the period of maturity, success in professional work, complete self actualization and self realization, optimistic view on life and satisfactory feeling for you have done everything what you could and wanted depends on the correct choice of profession. All these have especially great importance for a human’s psychological health, honest position to own professional work and active, productive life till the end of the life. Wealth of society and progressive development of country depends on correct choice of profession.

That’s why the most of the pupils of graduating classes are working according to their interest as the beginners of corresponding profession in developed countries. USA worries for the fact, that only little part of pupils of restricted possibilities are working, while 86% of normally developed pupils work.As researches showed, pupil may have

great interest of some subject corresponded to some profession if there is one or two lessons in this subject in a week, but he may change his attitude, if he will appear in this sphere every day during the whole working time. Work together with study will be the best examine for stability of his interests. Educational system makes conditions for finding real, own professional interests by the youth on every level of teaching in developed countries.

The great importance of professional orientation work at school is shown by the fact that in our country youth doesn't come at professional technical school in spite of economical troubles, though there is more material help and guaranteed work afterwards.

6. *Dimitri Uznadze* paid exclusive attention to "pedagogical talent" and training of teachers. *Dimitri Uznadze* studied those questions connected with teacher's qualification in the research "Introduction to Experimental Pedagogy" in the beginning of the 20th century. They were specially discussed in the united international symposium of school teachers and people representing educational sciences [5], that was held in Germany in 60-ies of the 20-th century.

Dimitri Uznadze mentions that question of pedagogical talent is a serious problem for the effective use of pedagogical knowledge at school, because pedagogical talent as all other talents occurs seldom, but there are needed great amount of school teachers. He meant "especial psychological talent" in pedagogical talent, "that has a key of other human's spiritual life and guesses human's real sense. That's why real teacher has not a single untruth decision and it is impression that he makes changes that are beforehand deduced to the pupil's spiritual life"[2,p. 19].

Dimitri Uznadze considered, that the only thing to be done in this hopeless condition is: every human with nearly good pedagogical talent may get ideas, knowledge-habits and pedagogical technics needed for fulfillment of innovations by means of diligent study and training, that he can act as a teacher with perfect talent in this sphere in practice. "Study and training can do the following: the ordinal human may be acquainted and get technics of some branch of art so, that he'll become a master (it is meant a human who can do his work perfectly) if not artist"[2, p. 20].

These words show *Dimitri Uznadze's* view of necessity of special, systematic trainings of teachers for mastering them, that are widely spread in the world. *D. Uznadze* mentioned also that training for getting knowledge-habits and professional technics is of great importance for those who has pedagogical talent and great theoretical knowledge, because of not to stay behind from modernity.

This is a short account and characterization of those novations that *Dimitri Uznadze* considered needed for our country, that was studied by school of *Dimitri Uznadze* (Psychological Institute, TSU Department of Psychology and etc), but it was impossible complete realization in practice because of politics of the time.

References:

1. Dimitri Uznadze (1967), Scientific works, v.5, Metsniereba, Tbilisi (In Georgian);
2. Dimitri Uznadze (1912), Introduction to Experimental Pedagogy, Kutaisi (In Georgian);
3. Dimitri Uznadze (2007), Actual Problems and Theoretical Basements of Profession Psychology, Tbilisi, (In Georgian);
4. Al. Prangishvili (1969), Questions of Study Psychology, Ganstleba, Tbilisi (In Georgian);
5. Padagogusche Psychologie fur Hohere Schulen, h. g. von *K. Strunz*, Munchen, Basel, 1962 (In German language);




მაია ფირჩხაძე

ისტორიის დოქტორი, იტალიური
სკოლა „ცისკარი“, საქართველო

„პიროვნული საზღვრები“ და მოსწავლეზე ორიენტირული სასწავლო გარემოს პრაქტიკული ასპექტები

მასწავლებლობა რთული პროფესიაა, მაგრამ ამ სირთულეს მხოლოდ უამრავი ამოცანის გადაჭრის საჭიროება არ წარმოქმნის, ამაში დიდი პასუხისმგებლობაც ურევია. ეს პასუხისმგებლობა ზოგადად სასწავლო მიზნების განხორციელებას უკავშირდება, რომელიც თავისთავად საკმაოდ მრავალფეროვანია:



ყველა ამ მიზნის განხორციელებისთვის აუცილებელი პირობაა მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო გარემოს შექმნა, რომელიც უზრუნველყოფს სასწავლო მიზნების შესრულებას და მოსწავლის წარმატებას [1].

მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო გარემოს შექმნა დღეს უკვე

აღიქმება როგორც დროის გამონვევა, რომლის შექმნის გარეშე რთული ხდება თანამედროვე მოთხოვნილებების შესაბამისი პიროვნული თვისებებით აღჭურვილი ადამიანის სწავლა-აღზრდა. კურიკულუმები და ექსტრაკურიკულუმები არ კმარა საკითხის გადასაჭრელად, რადგან პრაქტიკული საქმიანობისას მხოლოდ თეორიული დირექტივები საკმარისი არ აღმოჩნდება ხოლმე [2]. მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო გარემოს შექმნა მასწავლებელს სხვადასხვა ასპექტების გააქტიურებით შეუძლია:

I ასპექტი - დიაგნოსტიკური მინი-კვლევები, რითაც განსაზღვრავს მოსწავლეთა საჭიროებას და შეაფასებს სირთულეებს;

II ასპექტი - სწორად შერჩეული მეთოდური რესურსების გამოყენებას უკავშირდება, რომელიც ხელს შეუწყობს მოსწავლეთა ინტელექტუალური და კრეატიული განვითარების სრულყოფას, თვითშეფასების და რეფლექსიის უნარების ფორმირებას;

III ასპექტი - კლასში არსებული მრავალფეროვნების სასწავლო პროცესის მნიშვნელოვან და საინტერესო რესურსად გადაქცევას და მულტიკულტურული განათლების უმნიშვნელოვანესი მომენტების გამოყენებას უკავშირდება, რითაც რეალურად შეიქმნება ისეთი გარემო, რომელიც თანაბრად მისაღები იქნება ყველასათვის;

IV ასპექტი - და რაც უმნიშვნელოვანესია - პიროვნული ფაქტორით, რადგან რა საშუალებაც არ უნდა გამოიყენოს მასწავლებელმა (განსაკუთრებით სწავლის პირველ საფეხურზე, როდესაც უნარების ფორმირება აქტიურად მიმდინარეობს) პიროვნული ფაქტორი უმნიშვნელოვანესია სწავლის მიმართ მოსწავლის დამოკიდებულებების ფორმირებაში. ეს ყველაზე მეტად შეიმჩნევა მაშინ, როდესაც მასწავლებელს, ერთის მხრივ, შემოქმედებითი ნიჭით დაჯილდოვებულ მოსწავლეებთან უნევს მუშაობა და მეორე მხრივ, პირიქით, საჭირო ხდება მოსწავლეთა უნარების წინ წამოწევისთვის განსაკუთრებული ძალისხმევის გამოყენება. შეიძლება ითქვას, რომ მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო გარემოს შექმნაში პიროვნული ფაქტორი ხშირად გადამწყვეტი როლსაც ასრულებს.

V ასპექტი - ყველა ზემომითითებული საკითხი, რომელიც მოსწავლეზე ორიენტირებულ სასწავლო გარემოს უკავშირდება, **გაკვეთილიდან** იწყება და მის უმთვარეს ღერძს სწორედ გაკვეთილი წარმოადგენს. ამიტომ განიხილავენ მას

ერთ-ერთ მნიშვნელოვან ასპექტად მოსწავლეზე ორიენტირებულ სასწავლო გარემოს შექმნაში. მეთოდური ლიტერატურის ანალიზი ცხადყოფს, რომ გაკვეთილის უპირატესობა მისი ჰუმანისტური მიზნებიდან გამომდინარეობს, რომელიც უზრუნველყოფს მოწავლის საინტერესო სასკოლო ცხოვრებას, შემოქმედებით და კვლევით საქმიანობას და მიყავს ის წარმატებისკენ.

მაგრამ მხოლოდ მასწავლებელმა იცის, რამდენი შრომა, გარჯა და ენერჯია ჭირდება კარგ გაკვეთილს, რომელიც იმ სასწავლო გარემოს შექმნის, რომელიც ასე მნიშვნელოვანია მოსწავლისთვის. ასეთი ხარისხის მიღწევაში პედაგოგებს გაკვეთილზე ფსიქოლოგიური კლიმატის შექმნა ეხმარება, რადგან რა თვისებებსაც არ უნდა ფლობდეს მასწავლებელი, რა მიზნებზეც არ უნდა იყოს ორიენტირებული, რომელ პრაქტიკულ ასპექტებზეც არ უნდა ამახვილებდეს ყურადღებას, შედეგის მიღწევაში უმთავრესი მაინც გაკვეთილზე სასურველი ფსიქოლოგიური კლიმატის შექმნაა, ამ კლიმატზეა დამოკიდებული, „გახსნება“ თუ არა მოსწავლე, ჩაერთვება თუ არა აქტიურად სასწავლო პროცესში, მოუწდება თუ არა ჯგუფში რეალიზება და მუშაობა, თუ გახდება პასიური, ჩაკეტილი და განცალკევებული.

იმისათვის, რომ ასეთი სასურველი გარემო შეიქმნას, აუცილებელია გაკვეთილზე სამი ფუნქციის შესრულება:

I ფუნქცია - მასწავლებელმა უნდა შეძლოს „გახსნას“ მოსწავლე ურთიერთობისთვის, რომელის ფარგლებშიც ის თავს იგრნობს კომფორტულად (კლასში, სკოლაში, გაკვეთილზე) - ამისათვის მასწავლებელს შემდეგი ოპერაციების შესრულება დაჭირდება: ა) გარკვეული პოზის, „ამოსავალი წერტილის“ შერჩევა მოსწავლესთან ურთიერთობაში, იქნება ეს მიმიკა, ჟესტი და ა.შ. მთავარია, რომ ეს არ იყოს ე.წ. „ლომის“ პოზა, რომელიც აფრთხობს მოსწავლეს; ბ) ინფორმაციის გადაცემა „ჩვენ“ პოზიციიდან, რომელიც ხორციელდება ფიზიკური, სოციალური და ტერმინოლოგიური (ლექსიკური) „ბარიერების“ დაძლევით;

გ) პირადი კონტაქტის დამყარებით, რომელიც მიიღწევა ვერბალური (სიტყვების მეშვეობით, როგორცაა პირადი მიმართვა, მაგ. სახელით..), ვიზუალური (თვალით) და ტაქტილური (შეხების, კინესთეტიკის) გზით.

II ფუნქცია - „თანაგანცდა“, რისთვისაც მასწავლებელს მოუწევს: ა) ადექვატურად რეაგირება მოსწავლის ნებისმიერ განცდაზე - თუ მასწავლებელი მხოლოდ უკმაყოფილო რეაქციას ამჟღავნებს გაკვეთილზე მოსწავლე დაძაბულია

და ნაკლებად აქვს თანაგანცდის მოლოდინი, ამიტომ უფრო ხის ყველანაირ ინიციატივას, დაძაბულობას, ეშინია და საბოლოო ჯამში, გაკვეთილი წარუმატებელია, მაგრამ თუ სასიამოვნო განწყობილებებზეა, მხიარულია, მოსწავლის დაძაბულობა იხსნება. შედეგად ორივე მხარე მოგებულა და კონტაქტი საკმაოდ გულთბილია; ბ) ადექვატური შეფასების გაკეთება - დაუშვებელია როგორც დაუშვებელია შექება, ასევე დაუშვებელია გაკიცხვა; გ) ინტერესის გამოხატვა - მოსმენა და შეკითხვების დასმა.

III ფუნქცია მოიცავს ისეთ ასპექტებს როგორცაა: ა) „დახმარების აღმოჩენა“ - რეალური დახმარება კონკრეტული პრობლემის გადაწყვეტაში და ბ) ოპტიმიზმის ხელშეწყობა - რომელიც ხელს უწყობს, „ამაღლებს“ მოსწავლის შემოქმედობითობას, მოტივაციას, სწავლის სურვილს.

მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო გარემოს შექმნა ზოგადად ბევრ სხვა საკითხებთანაცაა დაკავშირებული (მათ შორის ასევე მნიშვნელოვანია კლასგარეთა სივრცის საკითხიც - გაკვეთილის დაწყებისას მასწავლებელი მზად უნდა იყოს მოსწავლისთვის მისაღები საგაკვეთილო პროცესის წარმართვისთვის და სხვ.).

VI ასპექტი - უკავშირდება „პედაგოგიურ უძღურებას“, მასწავლებლები უნდა შეეცადონ, რომ ფსიქოლოგიურმა დისკომფორტმა გაკვეთილზე არ გამოიწვიოს „პედაგოგიურ უძღურება“, მოსწავლის ქცევის უკონტროლობა, გამოვიყენოთ საამისოდ მეტაკოგნიციის ყველა საშუალება, სასწავლო ტექნოლოგიები, მთავარია არ შევწყვიტოთ ოპტიმალური გზის ძიება და მეტი დრო დავუთმოთ პროფესიულ დაოსტატებას.

არსებობს გარკვეული სავარჯიშოებიც, რომელიც აუცილებლად დაეხმარება მასწავლებელს სასურველი გარემოს შექმნაში (მაგალითად, სავარჯიშო „დირიჟორი“, რომელიც მასწავლებელს განიხილავს როგორც მოსწავლის სულის დირიჟორს და აქცენტირდება ისეთ საკითხზე, როგორცაა ის, რომ „ცუდი“ მოსწავლე არ ნიშნავს „ცუდ“ ადამიანს და რომ ნებისმიერი ნაბიჯი, რომელსაც მოსწავლის სულისკენ გადადგამს მასწავლებელი, აუცილებლად გამოიღებს სასურველ შედეგს; რომ არ შეიძლება შევადაროთ ცალკეული მოსწავლის წარმატებები; რომ მუდმივი კრიტიკა სწავლის სურვილს აქრობს, რომ დაცინვა ჩამორჩენის წინაპირობაა და სხვ.)

VII ასპექტი - იმისათვის, რომ მასწავლებელმა შეძლოს გაკვეთილზე სასურველი

ფსიქოლოგიური კლიმატის შექმნა და ამ გზით მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო გარემოს უზრუნველყოფა, ყურადღება უნდა გაამახვილოს ისეთ უმნიშვნელოვანეს საკითხზე, როგორცაა „პიროვნული საზღვრების“ უზრუნველყოფის პრობლემა. როგორც ცნობილია, „საზღვრები“ მოსწავლის პიროვნული სრულყოფისთვის მნიშვნელოვანია, ამიტომ ადრე თუ გვიან მაინც დაისმის ხოლმე ასეთი შეკითხვა:

- როგორ ვიპოვოთ ბალანსი თავისუფლებასა და დისციპლინას შორის?
- როგორ კორექტულად „ვაიძულოთ“ სხვადასხვა ასაკის მოსწავლე გახდნენ უფრო კორექტულები?
- როგორ და სად გავავლოთ საზღვარი მოსწავლესთან ისე, რომ არა თუ ხელი შევეშალოთ მის პიროვნულ ზრდას, არამედ პირიქით - ხელი შევეწყოთ და გავაძლიეროთ ის.

პედაგოგიკაში აღიარებულია, რომ მოსწავლეს უნდა მივცეთ თავისი პირადი ტერიტორია, ანუ „პიროვნული საზღვრების“ უფლება და საშუალება (რისი უფლებაც ყველა ადამიანს აქვს ზოგადად), ანუ იმ სივრცის უფლება, სადაც ის შეძლებს თავისუფლად განვითარდეს, გააკეთოს რაც მოსწონს და საერთოდ - იყოს ის, ვინც არის [3]. მაგრამ როგორ განვახორციელოთ ეს მნიშვნელოვანი დეტალი, რა პრაქტიკული გზები და ხერხები გამოვიყენოთ ამისათვის? პედაგოგების უმრავლესობას ხშირად უთქვია მსგავსი საკითხების მოგვარებაზე, მაგრამ პიროვნული საზღვრები დღემდე განიხილება როგორც პედაგოგიკის ერთ-ერთი უმთავრესი პარადიგმა.



„საზღვრების“ შესახებ მსჯელობისას უპირველეს ყოვლისა გვახსენდება ის კონკრეტული სივრცე, სადაც მოსწავლისა და მასწავლებლის ურთიერთობა მიმდინარეობს და რომელსაც „გაკვეთილი“ ეწოდება. ეს ერთგვარი „ხელშეკრულებითი სივრცეა“, სადაც ორივე მხარე გარკვეული პირობითაა წარმოდგენილი - ერთი იმისათვის, რომ ასწავლოს და მეორე იმისათვის, რომ - ისწავლოს. ამ „ხელშეკრულებითი“, „პირობითი“ სივრცის ფარგლებში სავსებით შესაძლებელია მოსწავლესა და მასწავლებელს შორის მრავალგვარი ურთიერთობები შედგეს და მათ შორისაა ერთგვარი „შეთანხმებაც“, რომელსაც, პირობის მიხედვით, არ დაარღვევენ, განსაკუთრებით კი უფროსები, ანუ მასწავლებლები. ასეთი შეთანხმების დადება შესაძლებელია [4].

- თუ ის ხელს შეუწყობს მოსწავლისა და მასწავლებლის ინტერესების გაერთიანებას და მოსწავლისათვის მნიშვნელოვანი პრობლემების გადაწყვეტას;
- თუ მოსწავლე და მასწავლებელი ერთმანეთში პარტნიორებს დაინახავენ;
- თუ მათ შორის იმოქმედებს ნდობის ატმოსფერო და ღია ურთიერთობები;
- თუ ისინი მზად არიან, ერთად გადაწყვიტონ გარკვეული კვლევითი ხასიათის პრობლემები;
- თუ გაერთიანებული ძალები (ცოდნა, უნარი, რესურსი) საკმარისია პრობლემების გადასაწყვეტად;
- თუ „შეთანხმება“ გაგებული იქნება როგორც პედაგოგიური მხარდაჭერა, რომლის დროსაც პედაგოგი განხილული იქნება როგორც რისკის „გარანტი“, რომელიც საშუალებას მისცემს მოსწავლეს უსაფრთხოდ გადადგას მნიშვნელოვანი ნაბიჯები;
- და სხვ.

საზღვრების პატივისცემით და შეთანხმების შესრულებით ჩვენ მაგალითს მივცემთ მოსწავლეს, რის შედეგადაც აუცილებლად მივიღებთ იმ სასურველ ატმოსფეროს, რომელიც სასწავლო მიზნების შესრულებაში დაგვეხმარება.

სურ. სიტუაცია - „პიროვნული საზღვრები“ და მოსწავლეზე ორიენტირული სასწავლო გარემო“

**სიტუაცია - „პიროვნული საზღვრები“
და მოსწავლეზე ორიენტირული
სასწავლო
გარემო**

არ უნდა გამოგვჩრჩეს მხედველობიდან, რომ „შეთანხმება“ აუცილებლად გულისხმობს შესაძლებლობების გაფართოებასაც, ცხადია, ორმხრივად, აუცილებლობის და საჭიროების შემთხვევაში, როდესაც საქმე ეხება „ურთიერთობების ჩარჩოს“ გაფართოებას, რომელიც იგივე „შეთანხმების“ პირობის მიხედვით ასევე „ჩარჩოში“, ოღონდ „სხვა“, უფრო „ფართო ჩარჩოში“ აღმოჩნდება მოქცეული და ნაკლებად იქნება საფრთხის შემცველი მოსწავლისთვის [5].

თითოეულ ამ ასპექტს თავის მხრივ უამრავი დეტალი გააჩნია და მრავალფეროვანი პედაგოგიური საქმიანობით მასწავლებელი გამოიწვევს შესაფერის პირობებს, ხელს შეუწყობს მოსწავლეებს შესაძლებლობების გამოვლენაში, უნარების, ტალანტის წარმოჩენაში, თვითრეალიზაციაში, პიროვნებად ფორმირებაში, საზოგადოებასთან ინტეგრირებაში და ცხოვრების რეალური მიზნების აღმოჩენაში. შედეგად მოსწავლე თავად შეძლებს ცხოვრებაში იმ „პიროვნული საზღვრების“ აღმოჩენას და ფორმირებას, რომელიც არამარტო მისთვის, არამედ საზოგადოებისთვისაც იქნება სასარგებლო. ამგვარი მიდგომებით კი მასწავლებელი გარკვეულწილად შეასრულებს თავის ისტორიულ დანიშნულებას და დაადასტურებს ისტორიულ კანონზომიერებას - შეცვლის რა გარემოს, გახდის მას მოსწავლეზე ორიენტირებულს და ამ გზით აღზრდის ნამდვილ პიროვნებებს.

ლიტერატურა:

1. ინტერაქტიული სწავლება: რეკომენდაციები, www.nplg.gov.ge/.../library.exe?...
2. სასწავლო პროცესის დაგეგმვა http://tpdc.gov.ge/uploads/pdf_documents/sascavlo%20proccesis%20dagegmva.pdf ბავშვზე ორიენტირებული სკოლის გზამკვლევი, www.nplg.gov.ge/.../library.exe?
3. **Питюков В.Ю.** Основы педагогической технологии. Учебно-практическое пособие. М.: Ассоциация авторов и издателей «Тандем», 1997; **Гин А.А.** - Приемы педагогической техники. Свобода выбора. Открытость. Деятельность. Обратная связь: Пособие для учителя. 3-е изд., М.: Вита-Пресс, 2001; **Селевко Г.К.** Педагогические технологии авторских школ. - М.: НИИ школьных технологий, 2005; **Володина С.А.** Проблема преемственности \ Математика в школе. № 7., 2000. <http://naturalworld.ru/article/lichnie-granici-prepyatstviya-v-ih-sozdanii.htm>

4. Дюков А. В., Личность Учителя (преподавателя) как инструмент развития личности учащихся в системе дополнительного образования, <http://al-worldart.ru>
5. Использование личного социального опыта старшеклассников при обучении обществознанию, научная библиотека диссертаций и авторефератов disserCat <http://www.dissercat.com/content/ispolzovanie-lichnogo-sotsialnogo-opyta-starsheklassnikov-pri-obuchenii-obshchestvoznaniyu#ixzz4OtK0M4Vc>

Maia Pirchkhadze

*Doctor of History,
Italian school „Tsiskari”, Georgia*

**„Personal Borders“ and Practical Aspects of a Student-oriented
Learning Environment
(Abstract)**

In the work the author has studied "personal borders" and practical aspects of a student-oriented learning environment. As a result of the research, the author has developed seven aspects, based on which the teacher should be able to create the desired psychological climate in the lesson and thus provide the student-oriented learning environment, focusing on such an important issue, as the problem of providing "personal borders".



თამარ ჯავახიშვილი

სახუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი
საქართველო

ნიჭიერთა პერფექციონიზმის ზოგიერთი უარყოფითი შედეგი

მას შემდეგ, რაც ფსიქოანალიზისადმი პირველ უარყოფით დამოკიდებულებას მოჰყვა დიდი აღიარება, მეცნიერებისა და ხელოვნების სხვადასხვა დარგში დაიწყო მისი ინტენსიური გამოყენება. ამასთან დაკავშირებით ზ. ფროიდიმა აღნიშნა, რომ მას ყველაზე მართებულად მიაჩნდა ფსიქოანალიზის გამოყენება პედაგოგიკის მიერ ახალგაზრდა თაობის აღზრდაში. ამაზე მიგვივლითებს ფსიქოანალიზის განმარტება: ფსიქოანალიზი არის ადამიანის ხელახლა აღზრდა-გამოსწორება, ბავშვობის პერიოდში აღზრდაში დაშვებული შეცდომების გამოსწორება უკვე ზრდასრულთან, როცა ნათლად გამოჩნდა ნევროტულ თავისებურებათა შემათერხებელი გავლენა პიროვნების განვითარებაზე [2, გვ. 52] აქედან გამომდინარე, ჩნდება აზრი, რომ ჯობს თავიდანვე ბავშვის აღზრდისას არ დაუშვათ ეს შეცდომები, ან მაშინვე გამოვასწოროთ მდგომარეობა. ამისათვის კი საჭიროა აღმზრდელებს მივანდოლოთ მეცნიერულად შესწავლილი და პრაქტიკულად დასაბუთებული ცოდნა, რომელიც მათ დაეხმარება აღზრდის შეცდომების მინიმიზაციაში.

ბავშვების სწავლა-აღზრდის პრობლემების მოვლას, ფსიქოანალიზის გამოყენებით, მიუძღვნეს თავისი მოღვაწეობა ა.ფროიდი და ზ. ფროიდის სხვა მოსწავლეებმა. (*მ. კლაინი* - სკოლამდელებთან, *ფროიდი* - სკოლამდელსა და სასკოლო ასაკში, *ა. აიხოენი* - უპატრონო და მანანწალა ბავშვებთან და ა.შ.).

ჩვენ შევჩერდებით ერთერთზე იმ პრობლემათაგან, რომელზე მუშაობაც მოუხდათ სკოლაში პირველად შესულ ფსიქოანალიტიკოსებს. პრობლემა მდგომარეობდა იმაში, რომ დაწყებითი კლასების ზოგიერთი მოსწავლე, მიუხედავად იმისა, რომ ტესტებით შემონმშებისას ინტელექტის მაღალ დონეს ამჟღავნებდნენ, გაკვეთილზე პასიურობდნენ, არ ერთვებოდნენ სასწავლო საქმიანობაში, უარს ამბობდნენ საშინაო დავალების მოყოლაზე, თუმცა ცალკეულ საკითხებზე იძულებულ

ბით თუ შემთხვევით პასუხის გაცემისას ჩანდა, რომ უცოდინარი არ იყვნენ. მშობლებიც ადასტურებდნენ, რომ ეს ბავშვები სახლში სისტემატურად, შესენების გარეშე, დამოუკიდებლად ამზადებდნენ საშინაო დავალებებს და კიდევ აბარებდნენ ნასწავლ მასალას მშობლებს, მაგრამ მეორე დღეს სკოლაში მასწავლებლის დიდი მცდელობის მიუხედავად, მათი აქტივობის აღძვრა და სასწავლო საქმიანობაში სრულყოფილად ჩართვა არ ხერხდებოდა.

პრობლემისადმი ფსიქოანალიტური მიდგომა გულისხმობს მის ყოველმხრივ შესწავლას ანმყო მდგომარეობაში და აქედან თანდათანობით გადაადგილებას სიღრმისაკენ, არაცნობიერისაკენ, ადრეული ბავშვობისაკენ, სადაც შეიძლება ჩამალული იყოს ის მძაფრი, მატრავმირებელი შთაბეჭდილება, განცდა, რომლის ნორმალური, ფსიქიკური გადამუშავება და ამ გზით მისგან განთავისუფლება ბავშვმა დამოუკიდებლად ვერ შესძლო თავისი განვითარების იმდროინდელი დონის გამო და რომლისგანაც დღევანდელი პრობლემა ამოიზარდა და გაიშალა, გარკვეულ ხელშემწყობ გარემო პირობებში.. ამიტომ, მხოლოდ ანმყო მომენტში, იდეალური პირობების შექმნაც კი არ იქნება საკმარისი პრობლემის სრულად მოსაგვარებლად. უცილებელია საწყისი ტრავმის მიგნება, ანმყო მდგომარეობასთან მისი კავშირის ნათლად ჩვენება და ბავშვისთვის დახმარების განწევა იმაში, რომ მან თავისი განვითარების დღევანდელი დონის შესატყვისად, რეტროსპექტულად სრულად გააცნობიეროს მატრავმირებელი განცდა, ნორმალურად გადაამუშაოს და ასე განთავისუფლდეს მისგან [3, გვ. 184-194].

აღნიშნული პრობლემის მქონე ბავშვებთან მუშაობის პირველ ეტაპზე მოხდა იმის დადგენა, რომ ეს ბავშვები განზრახ კი არ ამბობდნენ უარს გაკვეთილზე საშინაო დავალების მოყოლასა და სხვა სახის სასწავლო საქმიანობაში სრულად ჩართვაზე, არამედ ისინი სკოლაში გაკვეთილზე ავტომატურად ვარდებოდნენ ისეთ მდგომარეობაში, რომელსაც ფსიქოანალიზში უწოდებენ „ნევროტულ შეკავებას“, რაც გულისხმობს იმას. რომ გარკვეულ სიტუაციაში და გარკვეული მიმართულებით ნერვული და ფსიქიკური პროცესები სრულყოფილად აღარ ემსახურებიან პიროვნებას, ნაწილობრივ ან მთლიანად ბლოკავენ, ან დამახინჯებულად აწვდიან საჭირო ინფორმაციას და შესაბამისად აბრკოლებენ ადექვატურ ქცევას. ამ ბავშვებთან პრობლემის კვლევის არსებით მომენტებს მოკლედ წარმოგიდგინთ ერთერთ მათგანთან, 10 წლის, მეტსახელად „შლიაპიან ბიჭთან“ ანა ფროიდის მუშაობის მაგალითზე.:

1. ერთერთი ვიზიტის დროს „შლიაპიანმა ბიჭმა“ განაცხადა, რომ ეხლა მას უნდა ხატვა. ანა დაუჭდა ბიჭს გვერდით და თითონაც დაიწყო ხატვა ისე, რომ ბიჭისკენ არც კი იყურებოდა, ბიჭი კი ხშირად უყურებდა მის ნახატს. როცა ბიჭი დარწმუნდა, რომ ანა უკეთესად ხატავდა, სახეზე უკმაყოფილება დაეტყო, შეწყვიტა ხატვა და უთხრა ანას: აღარ მინდა ხატვა, შენ უკეთესად ხატავ და მირჩევნია გიყუროო. ანას თხოვნის მიუხედავად ბიჭმა ხატვა აღარ გააგრძელა, თუმცა დაჰპირდა დავასრულებ და ხვალ გიჩვენებო, მაგრამ აღარ უჩვენებია. ბიჭმა უარი თქვა თავის მიერ წამოწყებულ საქმეზე, რაკი მას სხვა უკეთესად ასრულებდა და თავისი ნამუშევრის მასთან შედარება უსიამოვნებას მოჰგვრიდა. საკუთარი აქტივობის ამგვარი შეზღუდვით ბიჭი გაექცა სხვისი უპირატესობის აღიარებით მოსალოდნელ უსიამოვნების განცდას [4, გვ. 67-75].

2. აკვირდებოდნენ ამ ბიჭის ქცევას სკოლის ეზოში დასვენებებზე: ბიჭი იყო ფიზიკურად ძლიერი, აქტიური, სპორტულ ილეთებს და ინვენტარს კარგად ჰფლობდა, მაგრამ როგორც კი მის გვერდით ვინმე დაიწყებდა იგივეს კეთებას, ან გუნდურ თამაშში სთხოვდნენ მონაწილეობას, ის გარბოდა ეზოს მოპირდაპირე მხარეს და კვლავ მართო აგრძელებდა თამაშს ან შორიდან უყურებდა სხვებს., თამაშობდა მხოლოდ პატარებთან, რომლებსაც ყოველთვის ყველაფერში ჯობნიდა. ბიჭი სისტემატურად გაურბოდა ისეთ სასწავლო თუ სპორტულ საქმიანობას და თამაშსაც კი, სადაც სხვისი უპირატესობის გამო შეიძლებოდა უსიამოვნება განეცადა და პირიქით, დაუსრულებლად შეეძლო ეკეთებინა ის, რაშიც უპირატესობა გარანტირებული ჰქონდა. სწავლისადმი ბავშვის ასეთი დამოკიდებულების შეცვლა ადვილი არ არის. რადგან გაკვეთილზე გამოკითხვა, საკონტროლო სამუშაო, ახალი მასალის გაგების დონის შემოწმება და ა. შ. სხვების უპირატესობის შიშის მქონე ბავშვის მიერ თავისი პრესტიჟისათვის საფრთხის შემცველად განიცდება და ამჯობინებს თავი აარიდოს მას.

3. ბავშვების ბიოგრაფიის შესწავლამ, მასწავლებლებთან, მშობლებთან და თითონ მოსწავლეებთან საუბრისა და თავისუფალი ასოციაციის მეთოდებით მოპოვებული და ზემოთ აღნიშნული დაკვირვების მასალის ერთ მთლიანობაში განხილვამ ცხადი გახადა, რომ ნიჭიერ პატარებს თავიდანვე ჰქონდათ რაიმე აქტივობის საუკეთესოდ განხორციელების მისწრაფება, რასაც თან ახლდა სხვებისაგან ამის აღიარების მოთხოვნილება, ამ თვისებას პერფექციონიზმს უწოდებენ და ნიჭიერთა მახასიათებლადაა მიჩნეული. პერფექციონიზმი ნიშნავს თვითაქტუალი-

ზაციისა და თვითრეალიზაციისადმი უსაზღვრო, დაუოკებელ სწრაფვას, შესატყვისი აქტივობით, საკუთარი შესაძლებლობების თავდაუზოგავი გახარჯვით სრულყოფილი, უნაკლო შედეგის (მატერიალური ან სულიერი პროდუქტის) მისაღწევად თანმიმდევრულ მოქმედებას [1, გვ. 448]. აქ ძირითადი და მთავარი არაა პირველობისადმი, სხვებზე უპირატესობისადმი მისწრაფება, რადგან პირველი შეიძლება ადვილად გახდეს სუსტებს შორის. პირველობა, სხვებზე უპირატესობის მოპოვება პერფექციონიზმისათვის მეორადი, მომყოლი შედეგია, თუმცა სკოლამდელ და უმცროს სასკოლო ასაკში მათი რიგითობა შეიძლება აირიოს სასწავლო-აღმზრდელობითი გარემოს თავისებურებათა გავლენით, რადგან უმაღლესი შეფასება, მისი პირველობისა და სხვებზე უპირატესობის აღიარება გარემოს მხრიდან ყველაზე თვალსაჩინო და საარწმუნო ნიშანია ბავშვისთვის საკუთარი აქტივობის სრულყოფილებაში დასარწმუნებლად. ასაკობრივი განვითარების მსვლელობაში, პერფექციონისტი სხვებზე კი აღარ იღებს ორიენტაციას, არამედ, მითიური ფენიქსის მსგავსად, ცდილობს საკუთარ მიღწევებს გადააჭარბოს, სულ უფრო და უფრო დიდ წარმატებებს მიაღწიოს, თითქოს ცდილობს თავიდან აირიდოს დანაშაულის გრძნობა იმის გამო, რომ დასახული მიზნის მისაღწევად საჭირო ძალისხმევა არ განახორციელა. პერფექციონიზმის ანტონიმებია დესტრუქცია და უარყოფა, რაც მიგვანიშნებს რამდენად სახიფათოა ამ თვისების მქონეებთან აღმზრდელების არაკვალიფიციური დამოკიდებულება.

მშობლებთან საუბარმა ცხადჰყო, რომ ისინი დიდად ამაყოფდნენ შვილის ნიჭიერებით და ხშირად მიმართავდნენ ამის დემონსტრირებას. ეს ბავშვს ავსებდა სიხარულით, სიამაყით და ამასთანავე მაქსიმალურად უზრუნველჰყოფდა მასში დაცულობის და უსაფრთხოების განცდას. ირგვლივმყოფთაგან აღტაცებას და ქებას მიჩვეულ ბავშვს სხვებთან შეჯიბრებისას შეფერხების ან შეცდომის შემთხვევაში დანაშაულის გრძნობა უჩნდება, დაცულობისა და უსაფრთხოების განცდა ირყევა, რადგან ის გრძნობს, რომ იმედი გაუცრუა მშობლებს. ამას მოჰყვება შეჯიბრის სიტუაციების მიმართ შიშისა და უსიამოვნების მეტად მტკივნეული, მძაფრი განცდების აღმოცენება, რომელთაგან განთავისუფლების მიზნით მათი ფსიქიკა თანდათანობით გადაერთვება არაცნობიერი ფსიქოლოგიური დაცვის იმ ფორმების გამოყენებაზე, რასაც ფსიქოანალიზის შემდეგ უარყოფისა და გაქცევის დაცვით მექანიზმს უწოდებენ: ბავშვი უარჰყოფს თავის წარუმატებლობას იმ სიტუაციებისათვის თავის არიდების, გაქცევის გზით, რომელშიც შეიძლება ვილაცამ აჯო-

ბოს. მას მიაჩნია, რომ რაკი მონაწილეობას არ მიიღებს რალაც საქმიანობაში, ვერაინ იტყვის, რომ მას სხვამ აჯობა და იმედგაცრუებულოც მისგან არავინ დარჩება. ბავშვის ასეთი სულიერი მდგომარეობის ერთერთი ფაქტორი უდავოდ ისიც არის, რომ მას თავის დროზე არავინ დაეხმარა იმის გაგებაში, რომ მარცხი, შეცდომა, წარუმატებლობა სრულიად ნორმალური, დროებითი მოვლენაა ყოველგვარ აქტივობაში და განსაკუთრებით განვითარების პროცესში მყოფ ბავშვთან. ბავშვისთვის მისაწვდომ ფორმებში უნდა განემარტათ, რომ წარუმატებლობის დამარცხება და აღიარების მოპოვება შეიძლება მხოლოდ უფრო და უფრო მეტი მონდომებით და მცდელობით და არა უარყოფა-გაქცევით. ა. ფროიდი აღნიშნავს, რომ რაც უფრო პატარაა ბავშვი მით უფრო უძნელდება მას უსიამოვნების ატანა, დადებითი ემოციების დანაკლისის ატანა. აღმზრდელობითმა გარემომ უსიამოვნების შემცველი სიტუაციები და მოთხოვნები უნდა შეუფარდოს ბავშვის ფსიქიკური ამტანობის დონეს და მხოლოდ მისი გაძლიერების შესატყვისად გაზარდოს და გაართულოს სიტუაციებიც და მოთხოვნებიც. წინააღმდეგ შემთხვევაში, ბავშვი შეიძლება გახდეს რიგიდულად ინტოლერანტული წარუმატებლობით გამონვეული უსიამოვნებისადმი და ამის გამო აკვიატებულად ფიქსირებული უარყოფა-გაქცევაზე [4, გვ. 75].

ჩვენს მიერ განხილულ შემთხვევაში უარყოფა-გაქცევის მექანიზმით ფსიქიკის მუშაობა ნიშნავს იმას, რომ ბავშვი გაკვეთილებზე პასიურია, არაა ჩართული სასწავლო საქმიანობაში და ეჩვევა მხოლოდ „მაყურებლის“ როლში ყოფნას, რაც აფერხებს მისი კოგნიტური პროცესების ნორმალურ მუშაობას და განვითარებას. ამ დროს ბავშვი გაკვეთილზე თითქოს არის კიდევ და არც არის, რადგან თვითნებურადაა იზოლირებული, ეწინააღმდეგება და აირეკლავს მისი გონებრივ-პიროვნული განვითარებისათვის აუცილებელ სასწავლო-აღმზრდელობით ზემოქმედებას. ასეთ მდგომარეობაში ბავშვის დიდხანს ყოფნა იწვევს იმას, რომ გაკვეთილებზე მასწავლებელთან და მოსწავლეებთან სოციალური ურთიერთქმედების კონტექსტში გამოუწრთობელი მისი ცოდნა და სწავლის პროცესიც თანდათანობით უხარისხო ხდება და ამ სფეროში წარმატების სურვილიც ნელდება; თუმცა ზოგადად სრულყოფილების მოთხოვნილება შემონარჩუნებულია და ბავშვს უბიძგებს მისი გამოვლენის ახალი სფეროების მონახვისაკენ. უარყოფა-გაქცევის დაცვითი მექანიზმის მოქმედება ყველა ასაკში სახიფათოა, მაგრამ ზრდასრულთან მას ზოგჯერ შეიძლება დადებითი შედეგიც მოჰყვეს, რაც სრულიად

გამორიცხულია სკოლამდელ და უმცროს სასკოლო ასაკში. ზრდასრულს აქვს არჩევანის თავისუფლება და მობილურობა, მას შეუძლია თავისუფალი არჩევანის საფუძველზე საქმეც გამოიყვალოს და ადგილსამყოფელიც და შეჩერდეს იქ, სადაც წარმატების და სრულყოფილების მოთხოვნილება დაკმაყოფილებულე-ბული ექნება. მოზარდი კი ამ შესაძლებლობებს მოკლებულია, მის ცხოვრებას მთლიანად უფროსები განაგებენ. ის ჩაკეტილია თავისი სკოლის, თავისი კლასის ვიწრო სივრცეში და როცა მისი მისწრაფება ყოფილიყო ყოველთვის ყველაზე უკეთესი სწავლაში მიუღწეველი აღმოჩნდა „შეჯიბრში“ მარცხის შიშის გამო, ეხლა შესაძლოა ის ჯერ „მტრულად“ დაუპირისპირდეს მასწავლებელს და სწავლაში წარმატებულ თანატოლებს, შემდეგ კი „სრულყოფილების“ ძიება დაიწყოს საქმიანობის ისეთ სფეროებში (სრულყოფილება მანკიერებაში), სადაც უკვე დასა-ბამი მიეცემა მის ასოციალურ და ნევროტულ განვითარებას.

დაბოლოს, უნდა აღინიშნოს, რომ პერფექციონიზმის ასეთი შედეგები, სას-წავლო-აღმზრდელობითი გარემოს მხრიდან გარკვეულ მაპროვოცირებელ პი-რობებში მოსალოდნელია ძირითადად ნიჭიერ ბავშვთა იმ კატეგორიასთან, რომელთანაც მაღალ ნიჭიერებას ახლავს ემოციური გაუნონასწორებლობა, არასტა-ბილურობა ინტელექტუალურ აქტივობაში და კონცენტრაციის უნარის სისუსტე.

ლიტერატურა:

1. Webster's New World Thesaurus (1975). Charlton Laird, New American Library;
2. **З. Фрейд** (1977), Психоаналитические этюды Москва;
3. **А. Фрейд З. Фрейд** (1997), Психоанализ детских неврозов С-Петербург;
4. **А. Фрейд** (1993) Психология Я и защитные механизмы Москва;
5. **Ги Лефрансуа** (2003) Психология для учителя СПб.М.: прайм-ЕВРОЗНАК, (М. : ПФ Красный пролетарий)



Tamar Javakhishvili

Sokhumi State University, Georgia

Some Negative Results of Perfectionism

(Abstract)

Perfectionism, that is expressed in aspiration for getting the best result and the best estimation from surroundings by some given activity, needs special psycho-pedagogical method of approach in preschool and primary classes and especially towards those category of gifted children, whose gift is accompanied by emotional unbalance, instability of activity and weakness of concentration ability, in order not to make these children act according the principle "all or nothing" and not to make them put an end to the diligence (as they don't get the highest estimation from surroundings constantly), that is often followed by neurotiness and bending to unsocial development.

In the opinion of the author, perfectionism is expected mainly with the category of talented children, who have emotional unbalance, instability in intellectual activity and weak concentration ability.



ლევან ჯინჯიბაძე

სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი
საქართველო

ლიტერატურული კითხვის გაკვეთილის ორგანიზაცია და მიდგომები დაწყებით კლასებში

საგანმანათლებლო დაწესებულების, სკოლის პრიორიტეტულ მიზანს წარმოადგენს ის, რომ დაწყებით საფეხურზე საფუძველშივე უნდა ჩაიდოს მოსწავლის წიგნიერება, მისი სწრაფვა ცოდნისაკენ, რასაც ემსახურება ლიტერატურული კითხვის გაკვეთილი. იგი განსაკუთრებული გაკვეთილია, რომელიც ემსახურება მოსწავლის როგორც გონებრივ, ისე ზნეობრივ-ესთეტიკურ აღზრდასა და განვითარებას.

ქართული ენისა და ლიტერატურის საგნობრივ პროგრამაში მითითებულია, რომ კითხვა არის საფუძველი წიგნიერებისა, რომელიც სრულფასოვანი პიროვნების ჩამოყალიბების აუცილებელ პირობას წარმოადგენს. ეს მიმართულება ემსახურება ნაირგვარი წერილობითი ინფორმაციის წაკითხვისა და გამოყენების უნარ-ჩვევების გამომუშავებას, მშობლიურ და მსოფლიო ლიტერატურასთან ზიარებას. მოსწავლემ უნდა გამოიყენოს კითხვის ძირითადი სტრატეგიები, რათა შეძლოს ტექსტის შერჩევა, მასში სასურველი ინფორმაციის დამოუკიდებლად მოძიება, კრიტიკული კითხვა, გრამატიკული, სტატიკური და კონტექსტური მონაცემების გამოყენება ტექსტის ღრმად წვდომის მიზნით, სპეციალური საძიებლებისა და ლექსიკონების გამოყენება, ტექსტების სწრაფი და დიფერენცირებული კითხვა, მიღებული ინფორმაციის დამუშავება, მონაცემთა ანალიზი და დასკვნების გამოტანა [1, გვ. 46].

თანამედროვე გაგებით, წიგნიერება ეს არის ცვალებად კონტექსტში კითხვის, წერის, ინფორმაციის დამუშავების, იდეებისა და მოსაზრებების გამოთქმის, გადაწყვეტილების მიღებისა და პრობლემების მოგვარების უნარი იმ ცოდნის საფუძველზე, რომელსაც ადამიანი მთელი ცხოვრების განმავლობაში იძენს.

ჯ. ავალიანი სტატიაში „ქართული ენისა და ლიტერატურის საგნობრივი სტანდარტის მოთხოვნები დაწყებით საფეხურზე“ სამართლიანად მიუთითებს, რომ დაწყებით საფეხურზე ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული სხვადასხვა ტიპისა და სახის ტექსტების გაცნობა და შესწავლა მოსწავლეთა წიგნიერების ამაღლე-

ბის კარგ შესაძლებლობას იძლევა. ნებისმიერი ტექსტის კითხვის მიზანია: ა) მოსწავლემ სათანადოდ აღიქვას წაკითხულის შინაარსი; ბ) გამოხატოს თავისი დამოკიდებულება წაკითხული ტექსტის მიმართ; გ) შეძლოს სათანადო ინფორმაციის მოპოვება, კონცეპტუალური წინადადების გამოკვეთა და სხვ.; დ) დაეუფლოს წიგნთან მუშაობის სანყის ჩვევებს; ე) განუვითარდეს სწორი მეტყველების კულტურა, კრიტიკულ-ანალიზური აზროვნების უნარი და სხვ.“[2, გვ. 240].

შესაბამისად, ლიტერატურული კითხვის გაკვეთილი ითვალისწინებს:

- შევასწავლოთ მოსწავლეებს სხვადასხვა ჟანრის განსაზღვრული რაოდენობის ლიტერატურული ნაწარმოებები, როგორც ხალხური შემოქმედებიდან, ისე კლასიკური ლიტერატურიდან;
- ვასწავლოთ ნაწარმოებებში ყველაზე არსებითის დანახვა და გამოყოფა, ნაწარმოების წაკითხვა, გააზრება-გაგება, განსჯა, პრობლემური საკითხების დანახვა, მათი გადაჭრა და ანალიზი;
- ტექსტზე მუშაობის უნარ-ჩვევის გამომუშავებას.

ლიტერატურული კითხვის დროს მასწავლებლის მიერ აუცილებლად გათვალისწინებული უნდა იყოს შემდეგი ფაქტორები:

- **ნაწარმოების მოცულობა:** რაც უფრო ვრცელია ნაწარმოები, მით უფრო იზრდება შინ წასაკითხ მასალათა ხვედრითი წილი და პირიქით.
- **ნაწარმოების ენობრივი სირთულე:** რაც უფრო რთული და ძნელად გასაგებია ენობრივად ტექსტი, მით უფრო მეტი ყურადღება უნდა დაეთმოს მის კითხვას კლასში;
- სხვადასხვა ჟანრის მხატვრული ნაწარმოების სწავლების თავისებურებანი;
- **დრო:** ნაწარმოებისათვის გამოყოფილი საორიენტაციო დრო ზუსტად უნდა იქნეს დაგეგმილი ისე, რომ კითხვასთან ერთად იგი ტექსტზე მუშაობის სხვა ძირითად მომენტებსაც შეიცავდეს;
- მოსწავლეთა მომზდების დონე და მათი ფსიქოლოგიური თავისებურებანი.

ნათელა მაღლაკელიძის განმარტებით ტექსტები, რომლებიც V-VI კლასებში ისწავლება, მოცულობით საკმაოდ დიდია. ამიტომ მასწავლებელი ვალდებულია გარკვეული დოზით გამოიყენოს ე. წ. „კომენტირებული კითხვა“, რომელიც გულისხმობს მოსწავლეთა მიერ ნაწარმოების შინ წაკითხვას, წაკითხული ტექსტის შესახებ ჩანაწერების გაკეთებას, ნაწარმოების კომენტირებისათვის ადგილების გამოყოფას, ციტირებას, ადგილების ზეპირად დასწავლას. *ნათელა მაღლაკელიძე* გვანვდის „კო-

მენტირებული კითხვის“ ორ სახეს: კლასში კომენტირებას და შინ წაკითხულის კომენტირებას [3, გვ. 80].

ყოველივე აქედან გამომდინარე, ლიტერატურული კითხვის უმთავრეს მიზანს წარმოადგენს:

1. მოსწავლე ლიტერატურული კითხვის გზით დაეუფლოს სრულყოფილ კითხვას;
2. განუვითარდეს შემოქმედებითი და კომუნიკაციური შესაძლებლობები;
3. ტექსტის აღქმის გზით ჩამოუყალიბდეს აღმზრდელობით-ესთეტიკური ფასეულობები;
4. მოახდინოს მოსწავლის სტიმულირება შემოქმედებითი კითხვის დროს.

ამ მიზნის მიღწევა კი განაპირობებს გადაიჭრას შემდეგი ამოცანები, როგორცაა:

საგანმანათლებლო:

- ნებისმიერი მხატვრული თუ არამხატვრული ტექსტის კითხვის მოთხოვნილებების განვითარება სინტაგმური კითხვის, ტექსტის სხვადასხვა ინტონაციითა და ნაწარმოების გაგების დაუფლების გზით;
- მხატვრული ტექსტის შემოქმედებითი ხედვის გააზრების შესაძლებლობების განვითარება;
- მოსწავლის მიერ ახალი პოზიციის შერჩევა, როგორც მკითხველისა ავტორთან (მწერალთან) მიმართებაში.

განმავითარებელი:

- ლიტერატურული გემოვნების, მხატვრული სიტყვის „მაგიური“ ძალის შეგრძნების განვითარება;
- კომუნიკაციური შესაძლებლობების განვითარება;
- მეტყველების განვითარება.

აღმზრდელობითი:

- კულტურული ჩვევების ფორმირება ლიტერატურული ნაწარმოებების შემოქმედებითი აღქმის გზით;
- წიგნთან, როგორც ცოდნისა და სულიერების წყაროსთან, ესთეტიკური გრძნობების გამოუმუშავება.

აღნიშნულ მიზანს ორგანულად უკავშირდება შემდეგი შინაარსობრივი მომენტები:

- **ლიტერატურის სამყაროს გახსნა** – სხვადასხვა მწერლისა და შესაბამისად ახალი ნაწარმოებების გაცნობა, უანრული თვალსაზრისით სხვადასხვა ტექსტების (მოთხრობა, ზღაპარი, იგავ-არაკი) თავისებურებების დანახვა, ავტორ-

რის მიერ პოზიციის გამოხატვის ხერხები, სხვადასხვა ავტორთა მიერ ერთი თემის გარშემო სხვადასხვაგვარი დამოკიდებულება და სხვ.

- **მხატვრული ტექსტის გაგების ხერხების დაუფლება** (ანალიზი და ინტერპრეტაცია) – ხატოვანი აზროვნების განვითარება, კითხვის თანამედროვე სტრატეგიების დაუფლება, ნებისმიერი ნაწარმოების შემოქმედებითი პოტენციალის გახსნის უნარის ფორმირება.
- **სინტაგმური კითხვის უნარის სრულყოფა** - გააზრებული კითხვის ხერხების დაუფლება სინტაგმების გამოყენებით, ინტონაციის ყველა ელემენტის დაცვით (მახვილი - ლოგიკური, ფსიქოლოგიური; პაუზა - ლოგიკური, მხატვრული, გრამატიკული; რიტმი, ინტონაციის შერჩევა, ტემპის შერჩევა).
- **მოსწავლეთა შემოქმედებითი საქმიანობა** - საქმიანობა, რომელიც დაკავშირებულია ახალი პრობლემის შექმნასთან ნაკითხული ლიტერატურული ტექსტების საფუძველზე: თხზულება (ესე), ილუსტრაცია, სქემები, მოდელები, პრეზენტაცია; პროექტული საქმიანობა.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ლიტერატურული კითხვის გაკვეთილი განსაკუთრებული გაკვეთილია, რამდენადაც ამ შემთხვევაში თვითონ საგნის შესწავლა ხელოვნებაა. ხოლო ასეთ გაკვეთილებზე მუშაობის მთავარ მიზანს წარმოადგენს მოსწავლეთა შესაძლებლობების განვითარება – სრულფასოვნად აღიქვან და გააცნობიერონ მხატვრული ნაწარმოები.

თავისთავად ცხადია, რომ მასწავლებლის მიერ წარმართული ყოველი გაკვეთილი უნდა იყოს საინტერესო, მიმზიდველი, სახალისო, ლოგიკურად აგებული, შემეცნებითი, საქმიანი. ასეთმა გაკვეთილმა მოსწავლეს უნდა გამოუმუშაოს მთავარი – სრულყოფილი კითხვის უნარ-ჩვევა. მასწავლებელმა უნდა დასახოს სასწავლო ამოცანები და სტიმული მისცეს მოსწავლეებს ლიტერატურული ტექსტის, ნაწარმოების წასაკითხად.

მოსწავლის პიროვნების განვითარება და ფორმირება, როგორც მკითხველისა, ძირითადად წარმოებს პირველივე კლასიდან კითხვის გაკვეთილებზე. ამ საკითხთან დაკავშირებით ნ. მალლაკელიძე მიუთითებს, რომ „I - IV კლასებში მხატვრულ ტექსტებზე მუშაობის მეთოდიკას ტრადიციულად „ახსნითი კითხვა“ ეწოდება, ხოლო რამდენადმე განსხვავებული მდგომარეობაა მხატვრულ ტექსტებზე მუშაობის მეთოდიკა V-VI კლასებში. აქ ამ მიზნით ძირითადად ე. წ. „ლიტერატურული კითხვა“ გამოიყენება. მისივე აღნიშვნით, დღეს არსებითი განსხვავება ამ ტერმინებს შორის „ახსნითი კი-

თხვა“ და „ლიტერატურული კითხვა“ თითქმის დაკარგულია და განსხვავებას ძირითადად აქ სასწავლო მასალა ქმნის“ [3, გვ. 79].

ნებისმიერი მხატვრული ნაწარმოები, ეს იქნება მოთხრობა, იგავ-არაკი, ზღაპარი, ლექსი თუ სხვა, დამუხტულია იმით, რომ მოსწავლეს გაუჩნდეს სურვილი, მოძებნოს მასში ახალი აზრები, შეხვდეს ავტორს. ეს შეხვედრა კი შეიძლება აიგოს, როგორც მთავარი საქმიანობა, რადგან ამ გააზრების პროცესში ხდება არა მხოლოდ წაკითხული ტექსტის აღქმა, გაცემა და შეფასება, არამედ, – ისწავლოს მიზნის დასახვა, მოიფიქროს და გაიაზროს ამ მიზნის მიღწევის გზები, შემდეგ კი თანაკლასელებთან და მასწავლებელთან ერთად განიხილოს მის მიერ მიღწეული შედეგი. ასეთ დროს მოსწავლეს, ერთის მხრივ, უყალიბდება შემოქმედებითი შესაძლებლობები, ხოლო მეორეს მხრივ, იძენს ზნეობრივ-მორალურ თვისებებს.

ცნობილი ქართველი მეთოდისტი ვ. რამიშვილი მხატვრული ნაწარმოების სწავლების მნიშვნელობის შესახებ წერდა: „მხატვრული ლიტერატურა ახალგაზრდობის განათლების, აღზრდის მძლავრი იარაღია. ამ მხრივ განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ლიტერატურის ნიმუშების კითხვა-შესწავლას. ჭეშმარიტ მხატვრულ ნაწარმოებს დიდი ზემოქმედებითი ძალა აქვს... მხატვრული ნაწარმოები უვითარებს მოსწავლეებს ხელოვნებისადმი სიყვარულის გრძნობას, ესთეტიკურ გრძნობას, ხელს უწყობს მათი ზნეობრივი და სულიერი ძალების განვითარებას, ქცევის ფორმირებას“ [4, გვ. 130].

რ. ლიპარტელიანის განმარტებით: „მხატვრული ნაწარმოების სწავლების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მიზანი მოსწავლეთა სწორი აღზრდაა. ლექსი, მოთხრობა, ზღაპარი, იგავ-არაკი მოსწავლეებს მხატვრული სახეებით უჩვენებს ცხოვრების ავსა და კარგს, სიბილწესა და სიდიადეს, ბოროტებასა და სიკეთეს. ამიტომაცაა, რომ ყველაზე მეტად მშობლიური ენის სწავლებისასაა მოსახერხებელი მოსწავლეთა სწორად აღზრდა“ [5, გვ. 119].

ნ. მალლაკელიძის განსაზღვრით: „მხატვრული ნაწარმოების კითხვისას მთავარია მხატვრული სახეების გახსნა, მოვლენათა ასახვის მხატვრული საშუალებების გაცნობიერება. აქ სინამდვილე მხატვრულ სახეებშია განზოგადებული. მწერალი ცხოვრების, სინამდვილის სხვადასხვა მხარეს გვიხატავს არა მეცნიერის სიზუსტითა და სისადავით, არამედ ემოციურად. მხატვრული ნაწარმოების კითხვის პროცესში მოსწავლე ექცევა პოეტური სიტყვის ზემოქმედების ქვეშ. ამ დროს მშვენიერების შეგრძნებასთან ერთად ვითარდება მოსწავლის აზროვნება და მეტყველება, იწრთობა მისი ზნე-ხასია-

თი. იგი შედის მშვენიერების სამყაროში და მხატვრული სახეებით ეცნობა გარემოს“ [3, გვ. 126].

თუმცა, აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ლიტერატურული კითხვის სწავლებას დანყებით კლასებში თან ახლავს გარკვეული სახის სპეციფიკა და თავისებურებები.

ჯ. ავალიანი შენიშნავს, რომ „ტექსტზე მუშაობა დანყებით კლასებში შეიცავს ზოგ თავისებურებას, რომლებიც, პირობითად, დიფერენცირდება I-III და IV-VI კლასებისათვის.

მაგალითად, დანყებითი საფეხურის პირველ ეტაპზე ტექსტის კითხვისას გასათვალისწინებელია მთელი რიგი ძირითადი პრინციპები, კერძოდ, ტექსტის შესაბამისი ინტონაციით წაკითხვა, ლექსიკური ანალიზი, ტექსტის გახსენება ნაწილობრივ მასწავლებლის თხრობისა და ნაწილობრივ კითხვების საშუალებით და სხვ.

ტექსტზე მუშაობის პრინციპებიდან გამომდინარეობს სხვადასხვა ტიპისა და შინაარსის კითხვები, რომლებიც ორიენტირებული უნდა იქნეს მთლიანი შინაარსის გაგებასა და პირადი დამოკიდებულების ფიქსირებაზე (რა მოგეწონათ? რატომ? როგორ ფიქრობთ? და ა.შ.). რაც შეეხება დანყებითი საფეხურის მეორე ეტაპს (IV-VI კლ.), სასურველია დამუშავდეს ტექსტის მისაწვდომი მხარეები და ასევე მისაწვდომ ფორმებში გაეცნოს ბავშვებს მხატვრული ნაწარმოების ესთეტიკური ღირებულებანი“ [6, გვ. 92].

ლიტერატურული კითხვის გაკვეთილი შეიძლება განვიხილოთ როგორც კომუნიკაციური მოვლენა – მკითხველისა და მწერლის (ავტორის) შეხვედრა, რომელსაც შეუძლია შეცვალოს მოსწავლის პიროვნება. იმისათვის, რომ მოსწავლემ სწავლით შეცვალოს თავისი შინაგანი სამყარო, თითოეულმა მასწავლებელმა კარგად უნდა გაითვალისწინოს, რომ ეს ცვლილება – მკითხველის ფორმირება და ზრდადობა, შეიძლება მოხდეს მხოლოდ განსაზღვრულ პირობებში. ასეთ დროს კი მოსწავლის პოზიცია არ უნდა იყოს პასიური, რადგან მხოლოდ მოქმედებაში იბადება პიროვნების განუმეორებელი შემოქმედითობა, ინდივიდუალურობა. საგაკვეთილო პროცესში მოსწავლე ასევე იძენს თავისი საქმიანობის რეფლექსიურ შეფასებას.

მწერლის ვინაობის გაცნობა ეს არის მწერლის შესწავლის ის პირველი ეტაპი, რომელმაც უნდა გაუღვივოს ღრმა ინტერესი მოსწავლეს ნაწარმოების შესწავლისადმი. ამიტომ ლიტერატურული კითხვის ამ ეტაპზე მასწავლებლის ერთ-ერთი მოვალეობაა მარტივ, გასაგებ და საინტერესო ფორმებში გააცნოს მოსწავლეებს შესასწავლ ნაწარმოებთან დაკავშირებით მწერლის მოკლე ბიოგრაფიული ცნობები არა


მხოლოდ სიტყვიერი ფორმით, არამედ გამოიყენოს სწავლების სხვადასხვა მიდგომები.

ლიტერატურული კითხვის გაკვეთილებზე სასურველია მასწავლებელმა გამოიყენოს შესაფერისი სურათები, პლაკატები, სქემები, რომლებიც უკავშირდება შესასწავლ ნაწარმოებსა და მწერლის ცხოვრებას. კარგი იქნება, ასევე, ამა თუ იმ მწერლის ცხოვრებასთან მიმართებაში გამოიყენოს *ლიტერატურული ექსკურსიაც*. ყველაფერი ეს წარმოადგენს მხატვრულ ტექსტთან მისასვლელ გზას. უმთავრეს მომენტს კი წარმოადგენს მხატვრული ნაწარმოების წაკითხვა, გააზრება-გაგება და ანალიზი.

დაწყებით კლასებში ლიტერატურული კითხვის გაკვეთილების ერთ-ერთ ძირითად მიზანს წარმოადგენს მკითხველის კომპეტენტურობის ფორმირება. ამ მიზნის მისაღწევად კი საჭიროა გადაიჭრას შემდეგი ამოცანები:

- კითხვის ტექნიკის, აღქმის უნარებისა და ტექსტის ანალიზის ფორმირება;
- კითხვის პროცესის, კითხვისადმი მოთხოვნილების ინტერესის გაღვივება და განვითარება;
- პიროვნების თავისუფალი და დამოუკიდებელი აზროვნების აღზრდა;
- ესთეტიკურ-ზნეობრივი ფასეულობების წინ წამოწევა;
- ზეპირი და წერიტი მეთყველების განვითარება (სალექსიკონო მარაგის გაძლიერება);
- მეთყველებითი და კომუნიკაციური კულტურის დაუფლება;
- შემოქმედებითი შესაძლებლობების განვითარება;
- მოსწავლეთა მიმართება ლიტერატურასთან, როგორც სიტყვის ხელოვნებასთან;
- გამომეთყველებითი საშუალებების გამოყენებით ტექსტის ანალიზი და ცალკეული თეორიულ-ლიტერატურული ცნებების გაცნობა.

ლიტერატურული კითხვის თანამედროვე გაკვეთილის მოდელი შეიძლება წარმოვადგინოთ ასეთნაირად:



როგორც ვხედავთ, გაკვეთილის შინაარსი, რომლის მიზანია ცოდნის მიცემა და შესაბამისი უნარ-ჩვევების განვითარება, წარმოადგენს მოსწავლეთა დამოუკიდებელ და შემოქმედებით მიდგომას შესასწავლი მასალისადმი. აქ მასწავლებელი ხელმძღვანელობს არა რეპროდუქციული, არამედ პროდუქციული მეთოდებით, ინტერაქტიური, ე. ი. სწავლების შინაგანი აქტიური მეთოდებისა და სხვა დამხმარე საშუალებების გამოყენებით, როგორცაა ილუსტრაცია, ინსცენირება, დიდაქტიკური თამაში და სხვ.

ასევე ძალიან მნიშვნელოვანად და მიზანშეწონილად მიგვაჩნია ლიტერატურული კითხვის გაკვეთილებზე სხვა მეთოდებთან ერთად გამოვიყენოთ სწავლების ისეთი საშუალება, როგორცაა *ანტიციპაცია*.

ანტიციპაცია (anticipatio) ლათინური სიტყვაა და გააჩნია ორი მნიშვნელობა: „1. რისამე წინასწარ განჭვრეტა, წინასწარ გამოცნობა; 2. რაიმე მოვლენის სავარაუდოდ დროზე ადრე დადგომა; რისამე ვადაზე ადრე შესრულება“ [7, გვ. 44].

ეს ტერმინი მეცნიერულ ფსიქოლოგიაში შემოიტანა და დანერგა გერმანელმა ფსიქოლოგმა *ვილჰელმ ვუნდტმა* 1880 წელს. ვ. ვუნდტი *ანტიციპაციას* განსაზღვრავდა როგორც ადამიანის, პიროვნების შესაძლებლობას, რომელსაც წინასწარ შეუძლია განჭვრითოს თავისი საქმიანობის შედეგები მის განხორციელებამდე.

ანტიციპაცია ფართო მნიშვნელობის ტერმინია და იგი გამოიყენება არა მხოლოდ ფსიქოლოგიაში, არამედ ფილოსოფიაში, მედიცინაში, ასტრონომიაში, ლინგვისტიკაში და სხვა მეცნიერებებში. თანამედროვე პედაგოგიკურ-მეთოდიკურ ლიტერატურაში *ანტიციპაცია* დაკავშირებულია კითხვის ჩვევის ფორმირებასთან. იგი განიხილება როგორც უნარი ან შესაძლებლობა შესასწავლი ტექსტის შინაარსისა და ელემენტების წინასწარ გამოცნობა, წინასწარ განსაზღვრა, წინასწარ განჭვრეტა. პედაგოგიკის სპეციალისტები გამოყოფენ *ანტიციპაციის* სამ ძირითად ფუნქციას: რეგულატორულს, კოგნიტურს და კომუნიკაციურს.

ანტიციპაციის რეგულატორული ფუნქცია გამოიხატება წინასწარი მომზადების პროცესში, როდესაც ხდება მოქმედების შედეგების წინასწარი პროგნოზირება. ეს კი განსაზღვრავს შექმნილი სიტუაციის მიმართულებასა და ქმედების ხასიათს. *ანტიციპაციურ პროცესებს* მიეკუთვნება მთავარი როლი უმცროსკლასელთა საქმიანობის რეგულირებისას, მიზნის დასახვისა და ფორმირებისას, საკუთარი საქმიანობის დაგეგმვისა და პროგრამირებისას, გადაჭრის მიღებისას, კონტროლის განხორციელებისას.

ანტიციპაციის კოგნიტური ფუნქცია დაკავშირებულია სხვადასხვა შემეცნებითი პროცესების განხორციელებასთან, რომლებშიც ყოველთვის გვაქვს მომენტი, და რომელიც მომავალს ეხება. *ანტიციპაციურ პროცესებთან* უმჭიდროეს კავშირშია კოგნიტივიზმის ისეთი უმთავრესი სტრატეგიები, როგორცაა *აზროვნება* და *მეხსიერება*. აზრობრივი პროცესი ეს არის ახლის ძიებისა და გახსნისა, რომელიც ხორციელდება მხოლოდ პროგნოზირების, წინასწარი ჭვრეტის გზით. პროგნოზირება წარმოადგენს ინფორმაციის დამახსოვრების, შენახვისა და აღდგენის ძირითად კო-

მპონენტს.

მ. ჯაფარიძე და *ნ. თომაძე* განიხილავენ რა პედაგოგიურ სწავლებაში კოგნიტური მიდგომის თავისებურებებს, მიუთითებენ: „კოგნიტივიზმი სვამს კითხვას - როგორ ხდებიან ბავშვები მოაზროვნენი და როგორ შეგვიძლია დავეხმაროთ მათ იყვნენ უფრო პროდუქტულები, პრაქტიკულები და შემოქმედებითები. თუ ბიპევიორიზმი დაინტერესებულა ქცევითი სტიმულებით, წახალისებით და დასჯით, კოგნიტივიზმს ყველაზე მეტად აზროვნება აინტერესებს. კოგნიტივიზმი თვლის, რომ მოსწავლემ, ერთის მხრივ, საკუთარი თავი უნდა გააცნობიეროს, როგორც შემეცნებელმა სუბიექტმა, რომელიც გადაამუშავებს ინფორმაციას, მეორეს მხრივ, მან უნდა განავითაროს და პრაქტიკულად გამოიყენოს ის მიდგომები და სტრატეგიები, რომლებიც მონაწილეობენ კრიტიკული, შემოქმედებითი, ეფექტური აზროვნების ამოცანის გადაჭრის პროცესში. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, მოსწავლეებმა უნდა განვითარონ მეტაკოგნიტური ჩვევები და მათი შესატყვისი სტრატეგიები. სწორედ სწავლის სწავლა უზრუნველყოფს ამ ჩვევების დაუფლებას“ [8, გვ. 95-96].

ანტიციპაციის **კომუნიკაციური ფუნქციის**ას ვლინდება მოსწავლეთა ნებისმიერი ურთიერთქმედება. პროგნოზირების თუ წინასწარი ჭვრეტის პროცესში ადგილი აქვს როგორც სხვისი მეტყველების გაგებასა და აღქმას, ასევე საკუთარი მოსაზრებების გამოთქმას. ასეთ დროს, საკითხის თემის, ფაქტის თუ მოვლენის პროგნოზირება, წინასწარ გამოცნობა ძირითადად ხდება ინტუიციის ხარჯზე. გაკვეთილის, თემისა და მიზნის დადგენა ხდება მასწავლებლის მიერ სპეციალურად შემუშავებული ხერხებითა და მიდგომებით, სადაც აუცილებლად უნდა გამოიკვეთოს მოსწავლეთა თავისუფალი და დამოუკიდებელი აზროვნება: გამოიცნონ ვინ არის ნაწარმოების ავტორი, ნაწარმოების სათაური, შეძლებისდაგვარად განსაზღვრონ ნაწარმოების შინაარსი, ჩამოაყალიბონ გაკვეთილის თემა და მიზანი.

ლიტერატურული კითხვის გაკვეთილი იძლევა იმის საშუალებას, რომ სწავლების პროცესის ორგანიზებისას მასწავლებლის მიერ სათანადოდ გამოყენებულ იქნეს სწავლების აღნიშნული ეს მიდგომა. ლიტერატურული კითხვის გაკვეთილებზე ანტიციპაცია საჭიროა ძირითადად გამოვიყენოთ მოსწავლეთა შემოქმედებითი მუშაობის პროცესში. სწავლების ამ საშუალების სწორად გამოყენება ლიტერატურული კითხვის გაკვეთილებზე მოსწავლეს უბიძგებს:

- იყოს დაინტერესებული;
- იყოს აქტიურად ჩართული სასწავლო საქმიანობაში;

- მიიღოს აქტიური მონაწილეობა გაკვეთილის დაგეგმვისა და ჩატარების პროცესში;
- განივითაროს მეტყველება სხვა ინტელექტუალურ უნარებთან: ყურადღებასთან, აზროვნებასთან, მესხიერებასთან ერთად.

ამასთან დიდი ყურადღება უნდა მიექცეს ურთიერთსწავლების სტრატეგიას, რომელიც უპირველეს ყოვლისა, ლიტერატურული ტექსტის კითხვის დაუფლებისკენაა მიმართული. ასეთ შემთხვევაში, როგორც მ. ჯაფარიძე და ნ. თომიძე მიუთითებენ, მოსწავლეებს ძირითადად ასწავლიან ოთხ კოგნიტურ სტრატეგიას, ესენია:

- კითხვების დასმის ხელოვნება;
- შედეგების შეჯამება;
- სიტყვათა მნიშვნელობის წვდომა და გარკვევა, რთული ტექსტის გაგების მცდელობა;
- იმის წინასწარ განჭვრეტა, თუ რა მოხდება შემდეგ [8, გვ. 98].

დანეებოთ კლასებში ლიტერატურული კითხვის გაკვეთილებზე წამყვანია მიზანმიმართული მკითხველის საქმიანობის ფორმირების ტექნოლოგია, ანუ პროდუქტული კითხვის ტექნოლოგია, რომელიც აყალიბებს უმცროსკლასელთა კითხვის კომპეტენტურობას. ეს ტექნოლოგია საკუთარ თავში რთავს ტექსტზე მუშაობის სამ ეტაპს:

პირველი ეტაპი. ტექსტზე მუშაობა კითხვამდე.

- ანტიციპაცია (მოსალოდნელი საკითხავი მასალის წინასწარ გათვალისწინება, გამოცნობა); ტექსტის აზრობრივი, თემატური და ემოციონალური მიმართულების განსაზღვრა; დასახელებულ ნაწარმოებში გმირების გამოყოფა; ავტორის დასახელება; საკვანძო სიტყვები; მოსალოდნელი ტექსტის ილუსტრირება მკითხველის გამოცდილებაზე დაყრდნობით.
- გაკვეთილის მიზნების დადგენა საერთო (სასწავლო, მოტივაციური, ემოციონალური, ფსიქოლოგიური) ფაქტორების გათვალისწინებით, მოსწავლეთა მზადყოფნა სასწავლო საქმიანობისათვის.

მეორე ეტაპი. ტექსტზე მუშაობა კითხვის პროცესში.

- ტექსტის პირველადი წაკითხვა. დამოუკიდებელი კითხვა ან კითხვა-მოსმენა, ან კომბინირებული კითხვა (მასწავლებლის არჩევით) ტექსტის თავისებურებებიდან გამომდინარე და მოსწავლეთა ასაკობრივი და ინდივიდუალური თავისებურებების გათვალისწინებით; პირველადი აღქმის გამოვლენა დია-

ლოგის გზით; პირველადი შთაბეჭდილების (შთაბეჭდილებების) ფიქსირება; მოსწავლეთა მიერ პირველადი წინადადებების შედარება მხატვრული ნაწარმოების შინაარსთან და ამ შედარების გამოვლენა; წაკითხული ტექსტის ემოციურად გამოხატვა.

- **ტექსტის ხელახალი წაკითხვა.** მთლიანი ტექსტის ან მისი ცალკეული ნაწილების განმეორებითი დაკვირვებელი კითხვა; ტექსტის ანალიზი – კომენტარებული კითხვა, საუბარი წაკითხულთან დაკავშირებით; საკვანძო სიტყვების გამოყოფა და ა. შ.

- **მსჯელობა ტექსტის შინაარსზე.** წაკითხულის განზოგადება; ტექსტის გარშემო განზოგადებული კითხვების დასმა; საჭიროების შემთხვევაში ტექსტის ცალკეული ნაწილების წაკითხვა გამომეტყველებით.

მესამე ეტაპი. ტექსტზე მუშაობა წაკითხვის შემდეგ.

- **კონცეპტუალური (აზრობრივი) საუბარი ტექსტის მიხედვით.** წაკითხულის გუნდური განხილვა, დისკუსია; მკითხველის ინტერპრეტაციის (განმარტებითი, შემთვასებლური) შეფარდება მწერლის ნაწარმოების პოზიციებთან; ტექსტის ძირითადი იდეების გამოვლენა და მისი ჩამოყალიბება.

- **მწერლის ბიოგრაფიის გაცნობა.** საუბარი მის პიროვნულობაზე. მუშაობა საკითხავ მასალაზე დამატებითი წყაროების გამოყენებით.

- **მუშაობა სათაურზე, ილუსტრაციებზე.** სათაურის გააზრება და მისი განხილვა. მოსწავლეთა მიმართება მზა ილუსტრაციებზე. მხატვრის ხედვისა და მკითხველის წარმოდგენის ერთმანეთთან შედარება.

- **შემოქმედებითი დავალება,** რომელიც დაეყრდნობა მოსწავლეთა მკითხველობითი საქმიანობის რომელიმე სფეროს – ემოციებს, წარმოსახვას, შინაარსის გააზრებასა თუ მხატვრულ ფორმებს.

გაკვეთილზე მუშაობის ფორმები შეიძლება იყოს სხვადასხვანაირი: ფრონტალური, ჯგუფური, წყვილური, კომბინირებული. მასწავლებელი განსაკუთრებული ყურადღებით უნდა მოექცეს მოსწავლეთა იმ გამოთქმებს, მოსაზრებებს, ჰიპოთეზებს, რომლებიც ტექსტის წაკითხვის შემდეგ ჩნდება. ყველა ეს ბავშვური აღმოჩენები აუცილებლად უნდა დაფიქსირდეს საკლასო ან ინტერაქტიურ დაფაზე კითხვების სახით, რომლებიც უნდა გადაიჭრას ერთობლივი ძიებით. გაკვეთილზე წარმოქმნილი ლიტერატურული ამოცანების შესაბამისად აუცილებელია დიალოგის ლოგიკური წარმართვა ნაწარმოების ანალიზისა და ინტერპრეტაციისათვის. მოსწავლეთა

გუნდური საქმიანობა თანდათანობით უნდა გადავიდეს ინდივიდუალურში. მოსწავლეებმა დამოუკიდებლად უნდა ნაიკითხონ, გაიაზრონ, შექმნან საკუთარი ტექსტი, ჩაიწერონ კითხვები, გააკეთონ ნაწარმოების ილუსტრირება. ეს აზრობრივი საქმიანობა ხელს შეუწყობს თითოეული მოსწავლის ინდივიდუალურ შემოქმედებით ზრდას.

გაკვეთილზე უმთავრესია, მასწავლებელმა თამამად მიიყვანოს მოსწავლე ისეთ მომენტამდე, რომ მოხდეს განსაზღვრული მიახლოება ავტორის იდეასთან. ბოლომდე ამოხსნა იმისა, რა ჩაიფიქრა ავტორმა, შეუძლებელია. მაგრამ მიახლოება მის მსოფლმხედველობასთან, მცდელობა მისი თვალსაზრისის ღრმად წვდომისა და პერსონაჟთან შინაგან დიალოგში შესვლა, საჭიროცაა და აუცილებელიც. მაქსიმალური მიახლოება მწერლის ჩანაფიქრთან და უმთავრესი თვალსაზრისის გაცნობიერება წარმოადგენს მხატვრული ნაწარმოების ახლებურად აღქმასა და გეგმას კვლევით-შემოქმედებითი მიდგომებით. სწორედ ამ მომენტში იგრძნობა მკითხველის ემოციური დამოკიდებულება, მისი შინაგანი სამყაროს ცვლილება, ნაწარმოების დედააზრის წარმოჩენა და მისი წინ წამოწევა. მოცემულ ეტაპზე შეიძლება აიგოს მოდელი, რომელიც დაეხმარება მოსწავლეებს, ჩანვდნენ ავტორის თვითგამოხატვის ახალ გამომსახველობით საშუალებებს, ასევე დაეხმარება, განსაზღვრონ ახალი ლიტერატურული ფორმა უანრობრივი თვალსაზრისით.

დასკვნით ფაზაში, **რეფლექსიისას**, მოსწავლეები განიხილავენ, იპოვენ თუ არა პასუხები მათ მიერ ადრე დასმულ კითხვებზე, მივიდნენ თუ არა იდეის ახალ გეგმამდე და ა. შ. ასეთი მსჯელობა განსხვავდება ლოგიკური, კონსტრუქციული, საქმიანი მახასიათებლებისაგან. თითოეულმა მოსწავლემ უნდა გაარკვიოს, რა წვლილი შეიტანა პირადად თვითონ ჯგუფის თუ კლასის საერთო საქმიანობაში. თითოეული მათგანი ვალდებულია გაიგოს და გააცნობიეროს მისი მონაწილეობის აუცილებლობა ლიტერატურული ტექსტის კვლევაში.

მასწავლებელმა ამავე დროს კარგად უნდა გაიაზროს კონკრეტული შესწავლილი მასალით რა ინფორმაციას მიიღებენ მოსწავლეები გარესამყაროზე, როგორი იქნება მათი ცოდნა, რაში მდგომარეობს ამ ცოდნის პრაქტიკული მნიშვნელობა, რომელი ზნეობრივი თვისების განვითარებას შეუწყობს ხელს, როგორ გრძნობებსა და ემოციებს აღძრავს და რა ინტერესებს გააღვიძებს მასში. ყოველი მხატვრული ნაწარმოები კი თავისი არსით ხელს უწყობს მოსწავლეთა აზროვნებისა და მეტყველების განვითარებას.

ამდენად, როგორც ვხედავთ, ძალიან დიდია მხატვრული ნაწარმოების სწავლების შემეცნებითი, განმავითარებელი, აღმზრდელობით-ესთეტიკური და პრაქტიკული მნიშვნელობა.

ლიტერატურა:

1. ეროვნული სასწავლო გეგმა (2011).საგნობრივი პროგრამა ქართულ ენასა და ლიტერატურაში. თბილისი, 2011-2016;
2. ჯ. ავალიანი (2012). ქართული ენისა და ლიტერატურის საგნობრივი სტანდარტის მოთხოვნები დაწყებით საფეხურზე. აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი. საერთაშორისო სამეცნიერო-მეთოდური კონფერენციის შრომებ: „სწავლებისა და აღზრდის აქტუალური პრობლემები“. ქუთაისი;
3. ნ. მალლაკელიძე (2013). ქართული ენის სწავლების მეთოდიკა/დიდაქტიკა. თბილისი;
4. ვ. რამიშვილი (1999). ქართული ენის სწავლების მეთოდიკა. თბილისი;
5. რ. ლიპარტელიანი (1999). დაწყებით კლასებში ქართული ენის სწავლების საკითხები. თბილისი;
6. ჯ. ავალიანი (2013). მხატვრული ტექსტის, როგორც სიტყვის ხელოვნებისა და კულტურის ფაქტის აღქმისა და გაცნობიერების პედაგოგიურ-ფსიქოლოგიური ასპექტები (დაწყებითი სკოლის საფეხური). საქართველოს განათლების მეცნიერებათა აკადემია. ერთობლივი სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციის შრომები. ქუთაისი;
7. უცხო სიტყვათა ლექსიკონი (1964). შემდგენელი მ. ჭაბაშვილი. თბილისი;
8. მ. ჯაფარიძე, ნ. თომაძე (2005). აზროვნება და მესხიერება - კოგნიტური სტრატეგიები. კრებ. განათლების ფსიქოლოგია. რედაქტორი მ. ჯაფარიძე. თბილისი;



Levan Jinjikhadze
Sokhumi State University, Georgia

Organization and Approaches to the Lesson of Literary Reading in Primary Classes

Acquaintance and study of different types and kinds of texts foreseen by the National Curriculum at the initial stage provide good opportunities for enhancement of literacy. The goal of reading of any text is: a) pupil should respectively perceive the content of the read text; b) to express his/her attitude to the read text; g) to be able to acquire respective information, to single out conceptual sentences etc.; d) to master the initial skills of work on the book; e) to develop a culture of correct speech, skills of critical-analytical thinking etc.

During literary reading the teacher should necessarily take into account the following factors:

- **the volume of literary writing:** the more extended the writing is, the more an increase of share of material is, that should be read at home and inversely;
- **linguistic complication of writing:** the more complicated and obscure is the text in linguistic aspect, the more attention must be paid to its reading in the classroom;
- peculiarities of study of artwork (fiction) of different genres;
- **time:** approximate time allocated for the writing must be accurately scheduled in such a manner that along with reading it should consist of other basic moments of work on the text;
- level of pupils training and their psychological features.

Attaining these goals will provide solving of following tasks, such as:

educational goal: development of requirement of reading of any literary or non-literary text by means of mastering of the syntagmatic reading, understanding of different textual intonations of the writing; development of possibilities of comprehension of innovative take of the literary text; selection of new attitude by the pupil, as the reader in relation to the author (writer).

developing goal: development of literary taste, of sense of “magic” force of art of declamation; development of communicative opportunities; development of speech.

nurturant (educational) goals: formation of cultural skills by means of artistic perception of literary writing; elaboration of esthetical sensibility when working on the book, as the source of knowledge and spirituality.

The mentioned goal is organically related to the following contextual moments:

disclosure of literary world – familiarization with different writers and respectively,

new writings, demonstration of features of different texts (narration, tale, fable) from viewpoint of genre, modes of attitude's expression by the author, different attitudes of various authors with regard to one topic etc.

master the methods of comprehension of artistic text (analysis and interpretation) – development of visual thinking, mastering of modern strategies of reading, formation of skills of unlocking the creative potential of any writing.

perfection of skills of syntagmatic reading – mastering the methods of intentional reading with the use of syntagmas, with preservation of all elements of intonation (stress – logical, psychological, pause – logical, artistic, grammatical; rhythm, selection of intonation, selection of tempo).

creative activity of pupils – activity, which is related to creation of new production on the basis literary text read: composition (essay), illustration, diagrams, models, presentation; project activities.

It should be noted also, that the study of literary reading in initial classes is accompanied by certain specificity and peculiarities, which are conditionally differentiated for I-III and IV-VI years. For instance, at the first stage of entry level when reading text should be taken into account a wide range of basic principles, in particular, reading of text with appropriate intonation, lexical analysis, remembering of text partly using teacher's narration and partly by means of reading etc. Questions of various types and content, which should be focused on understanding of the whole content and fixation of personal relationship (what do you like? why? how do you think? etc.) are arisen from the principles of work on the text. As to the second stage of entry level (IV-VI years), it is desirable to elaborate accessible aspects of reading and to familiarize children in an intelligible form with esthetic values of the artwork.

One of the basic goals on the lessons of literary reading in initial classes is formation of reader's competence. In order to attain this goal is necessary to solve the following problems: formation of reading technique, perception skills and text analysis; awakening and development of interest in reading process, requirements of reading; establishment of free and independent thinking in the individual; advancement of esthetical and moral values; development of verbal and written speech (enrichment of dictionary); mastering the speech and communication culture; pupils' attitude to literature as the art of writing; text analysis and acquaintance with separate theoretical-literary notions with the use of expressive means. Here the teacher is guided not by reproductive, but productive methods, with the use of interactive, i.e. inner active methods and other auxiliary aids, such as illustration, staging, didactic play etc.

We consider very important and expedient to use on the lessons of literary reading, along with other methods, such training aid as anticipation. Anticipation (*anticipatio*) is a Latin word and it has two meanings: 1. foresight, preliminary guess (*preguess*) of something; 2. occurrence of some event prior to expected time; execution of something before its time. In the modern pedagogic-methodical literature the anticipation is related to formation of habit of reading. It is considered as skill or ability of preliminary guess, preliminary determination and foresight of content and elements of the text to be studied. Specialists of pedagogy single out

three basic functions of anticipation: regulatory, cognitive and communicative.

Regulatory function of anticipation is expressed in the process of preliminary participation, when takes place preliminary forecasting of action results. This fact, in its turn determines directions of current situation and nature of action. Anticipation processes play key role during adjustment (regulation) of activity of primary school pupils, setting and formation of goals, scheduling and programming of own activity, taking a decision, control action.

Cognitive function of anticipation is related to implementation of different cognitive processes, in which we always have a moment and which refer to the future. In very close connection with anticipation processes are such key strategies, as **thinking** and **memory**. Thinking process is the search and disclosure of the new, which is carried out only through forecasting, foresight. Forecasting is a basic component of information memorization, storage and recovery.

Communicative function of anticipation discloses any interaction of pupils. In the process of forecasting or foresight takes place both understanding and perception of other's speech, and expression of personal opinion. In such situation, forecasting and preliminary guess of the topic, fact or event is carried out through methods and approaches, intentionally elaborated by the teacher, where free and independent thinking of pupils must be necessarily manifested. At the same time, special attention should be paid to the strategy of peer tuition, which, first of all is oriented to mastering the reading of literary text. In such cases pupils are basically teaching four cognitive strategies, such as: the art of raising a question; results summation; apprehension and clarification of meaning of words, an effort to understand difficult texts, foresight of what will happen afterwards.

In the final phase pupils will consider, whether they find answer to questions posed by them earlier, whether they are getting closer to new comprehension of idea etc. Such judgment differs from logical, constructive and business characteristics. Each pupil must clarify, what contribution was made by him/her to joint activities of the group or class. Each of them is obliged to understand and comprehend the necessity of his/her participation in research of literary text. At this time the teacher must understand, what information will be acquired by pupils on the external world through specific learned material, what their knowledge will be, what the practical importance of this knowledge is, development of which moral qualities will be promoted, what feelings and emotions will be created and what interest will be sparked in him/her.



გვანცა გვანცელაძე

სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი
საქართველო

სიტყვა-სიმბოლო გული „ვეფხისტყაოსანში“

როგორც ცნობილია, სხვადასხვა წარმოშობისა და განსხვავებული ტიპოლოგიის ენებში ადამიანისა და ცხოველთა სხეულის ნაწილების სახელები განეკუთვნება ლექსიკის უძველეს ფენას. დადგენილია ისიც, რომ ეს სახელები სხვა სიტყვებზე ხშირად გამოიყენება გადატანითი მნიშვნელობით, კერძოდ, ადამიანის ექსპრესიულ-ემოციურ მახასიათებელთა როლში და ამ დროს აღნიშნავენ ადამიანის შინაგან და გარეგნულ თვისებებს. სხეულის ნაწილთა სახელწოდებების ფუძეებიც ასევე ხშირად გამოიყენება ახალ კომპოზიტურ სიტყვათა, ფრაზეოლოგიზმთა და მყარ შესიტყვებათა „სამშენებლო მასალად“, ამასთანავე ამ ფუძეებს შეიძლება მთლიანად, ან ნაწილობრივ შეუნარჩუნდეთ, ან კიდევ რადიკალურად შეცვალოთ ამოსავალი სემანტიკა. ასევე ხშირია შემთხვევები, როცა ამ ჯგუფის ლექსიკა იძენს ახალ მნიშვნელობას და გამოიყენება მეტაფორებად, ან სიტყვა-სიმბოლოებად.

სხეულის ნაწილთა სახელების პრაგმატიკის საკითხის კვლევა პროსპექტული ანალიზის (წარსულიდან აწმყოსაკენ სვლის) გზით ქმნის სერიოზულ საფუძველს საიმისოდ, რათა დადგინდეს კონკრეტულ სიტყვათა სემანტიკის ცვლის დრო და მიზეზები, აგრეთვე გაირკვეს მნიშვნელობის ცვლის ფსიქო-სოციალური და სხვა ფაქტორები. ეს მიზნები შედარებით იოლად მიიღწევა ძველი წერილობითი კულტურის მქონე ენებში.

ამ მხრივ გამონაკლისს არ წარმოადგენს ქართული ენა, რომელიც წერილობით პირველად დოკუმენტირებულია მინიმუმ 1 600 წლის წინათ. ასეთი სიძველე ხელსაყრელ პირობებს ქმნის საიმისოდ, რათა ნაყოფიერად გამოვიკვლიოთ როგორც ძირეულ, ისე ნასესხებ სიტყვათა სემანტიკის ცვლის უწყვეტი ისტორიული პროცესი.

ამჯერად ჩვენი კვლევის მიზანია, დავადგინოთ, თუ როგორ გამოიყენებოდა სიმბოლოს სახით სიტყვა-ტერმინი გული შოთა რუსთაველის პოემა „ვეფხისტ-

ყაოსანში” (1189-1207 წწ.) და რა ახალი მნიშვნელობები ჰქონდა მას დასახელებულ თხზულებაში. საანალიზოდ ამ პოემის ტექსტის შერჩევა შემთხვევითი არ ყოფილა, ვინაიდან „ვეფხისტყაოსანი“ გარდამავალი პერიოდის თხზულებაა და მასში ერთდროულად წარმოდგენილია როგორც არქაული, ისე ახალი ენობრივი ფაქტები. გარდა ამისა, პოემის ავტორი არ ერიდება თავისი წვლილის შეტანას სიტყვათქმნალობაში, რაც ენაში არსებულ სიტყვათა სრულიად ახალი სემანტიკით დატვირთვასაც გულისხმობს.

პოემის ტექსტში სიტყვა **გული** გამოიყენების შემთხვევათა ანალიზმა დაგვიდასტურა, რომ ეს სიტყვა XII-XIII საუკუნეთა მიჯნაზე ძალზე პოპულარული ყოფილა: იგი გამოიყენებოდა არა მხოლოდ თავისი ამოსავალი მნიშვნელობით, დამოუკიდებელი სიტყვის სახით, არამედ მისი ფუძე შედიოდა კომპოზიტების, ფრაზეოლოგიზმებისა და მყარი შესიტყვებების შემადგენლობაშიც, აგრეთვე იხმარებოდა სხვადასხვა ცნების აღმნიშვნელი სიმბოლოების ფუნქციითაც.

სიტყვა „გული“ გამოყენება ამოსავალი სემანტიკით

1. აღმოჩნდა, რომ სიტყვა **გული** „ვეფხისტყაოსანში“ ყველაზე იშვიათად იხმარება თავისი ამოსავალი სემანტიკით და აღნიშნავს ადამიანის, ან ცხოველის სისხლის მიმომქცევ ორგანოს. მაგალითად: პოემის მთავარი პერსონაჟი ტარიელი თავის მწუხარებასა და სადარდელს ასე აღუწერს ავთანდილს: მეტმან სევდამან მიმწურა **გულსა** დაცემად დანისად (სტრ. 523); მეორე მთავარი პერსონაჟი ავთანდილი სთხოვს არაბთა მეფის ვაზირს, უშუამდგომლოს მეფის წინაშე, რათა ამ უკანასკნელმა ნება დართოს ავთანდილს, გაეშუროს ტარიელის სამველად, მაგრამ ვაზირი მეფის განრისხების შიშით უარს ამბობს ავთანდილის თხოვნის შესრულებაზე. ავტორი აქ არაბი სპასპეტის შესახებ წერს: ყმა ატირდა, ცრემლით უთხრა: “ხამს, თუ დანა **გულსა** ვიცი...” (752) და სხვ.
2. ასევე რამდენიმეჯერ გამოიყენება საანალიზო სიტყვა მეორეული, უფრო ფართო სემანტიკით – “მკერდი, გულმკერდი”. მაგალითად, სატრფოდაკარგული ტარიელის უიმედო განწყობას შოთა რუსთაველი ამგვარად გადმოგვცემს: იზახდის და წამ-წამ იკრის **გულსა** ლოდი, თავსა – კეტი (სტრ. 274)...

სიტყვა „გული“ როგორც სიმბოლო

მრავალი სხვა ენის მსგავსად, სიტყვა **გული** ქართულ ენაშიც ხშირად გამოიყენება მეტაფორულად, ჰქონდა და აქვს მრავალი მეორეული მნიშვნელობა და ამ დროს აღნიშნავს ადამიანის შინაგან თვისებებს. ამგვარ შემთხვევებში საანალიზო სიტყვა ყოველგვარი დამატებითი მსაზღვრელი სიტყვის დაურთველად გვევლინება **სიყვარულის, ადამიანის შინაგანი სამყაროს, კეთილგანწყობის, გულადობის და სხვა** თვისებათა სიმბოლოდ. ამ მხრივ გამონაკლისს არც „ვეფხისტყაოსანი“ ქმნის, რომლის ტექსტშიც უამრავი მაგალითია იმისა, თუ როგორ გამოიყენება ეს სიტყვა ადამიანის შინაგან მახასიათებელთა სიმბოლოს როლში. ირკვევა, რომ პოემაში დასახელებულ სიტყვას 10 სიმბოლური მნიშვნელობა აქვს. ქვემოთ პოემის ტექსტიდან დავიმონუმებთ დამახასიათებელ მაგალითებს:

1. **მნიშვნელობა „გრძობა“:**

აგრევე **გული** კაცისა მოსაგვარებლად ძნელია, ჭირსა და ლხინსა ორსავე ზედა მართ ვითა ხელია (სტრ. 1357)...

2. **მნიშვნელობა „სიყვარული, ტრფობა“:**

ჩემთა რა გაცნევს ტკივილთა, **გულისა** მონაცემთაო?! (სტრ. 1598)...

3. **მნიშვნელობა „ადამიანის შინაგანი სამყარო, ხასიათი“:**

გული კრულია კაცია, ხარბი და გაუძღომელი (სტრ. 723)...

4. **მნიშვნელობა „აღქმა, განცდა“:**

სხვაგან იყო **გული** მისი, სხვასა რასმე იგონებდა (სტრ. 1191)...

5. **მნიშვნელობა „აზროვნება, ფიქრი“:**

გულსა შინა დაუზრახე: „რა მპოვაო, ანუ ვინ-ა?“ (სტრ. 369)...

6. **მნიშვნელობა „გონება, ჭკუა“:**

მეკეთა მისი თათბირი, სიბრძნე **გულისა** მისისა (სტრ. 390)...

7. **მნიშვნელობა „განწყობა“:**

არ **გული** უნდა ფიცის და პირისა გასრულებასა? (სტრ. 856)...

8. **მნიშვნელობა „სურვილი“:**

გული, ცნობა და გონება ერთმანერთზედა ჰკიდიან (სტრ. 857)...

9. **მნიშვნელობა „ყურადღებიანობა, გულისხმიერება“:**

მე **გულსა** შენსა ეზომსა, არ ვიცი, გარდვიხდი რითა (სტრ. 1460)...

10. **მნიშვნელობა „ვაჟკაცობა, გულადობა“:**

აცნობეთ თქვენსა პატრონსა, მოვლენ **გულითა** ქებულნი (სტრ. 1607)...

ამრიგად, ჩვენ მიერ შესწავლილი მასალიდან ცხადად ჩანს, რომ სიტყვა **გული** შოთა რუსთაველის პოემაში აქტიურად გამოიყენება მეტაფორული სიმბოლოების სახით და აღნიშნავს ადამიანის ურთიერთდაკავშირებულ შინაგან თვისებებს, რაც დიდწილად ემთხვევა ამავე სიტყვის პრაგმატიკას თანამედროვე ქართულ ენაში, თუმცა აქვე უნდა დავძინოთ, რომ თანამედროვე ქართულში საანალიზო სიტყვას გაცილებით მეტი სიმბოლურ-მეტაფორული მნიშვნელობები აქვს. სხვაობა პოემის ტექსტისა და ამჟამინდელი ქართული ენის მონაცემებს შორის საოცარი არ არის, ვინაიდან შოთა რუსთაველი „შეზოგადებული“ იყო პოემის სიუჟეტით და არ ჰქონდა საშუალება, სრულად გამოეყენებინა სიტყვა **გული** მისი უკლებლივ ყველა მეორეული სიმბოლური მნიშვნელობით. „ვეფხისტყაოსნის“ ენისა და თანამედროვე ქართული ენის დიდი მსგავსება საკვლევი საკითხის სფეროში მეტყველებს ენის ძირითადი ლექსიკური ფონდის კუთვნილი სიტყვის მეორეული სემანტიკით ხმარების მემკვიდრეობით ხასიათზე და ემთხვევა სხვადასხვა ტიპის ენათა ანალოგიურ პრაგმატიკულ მონაცემებს.

ლიტერატურა:

1. შოთა რუსთაველი (1974). ვეფხისტყაოსანი. თბილისი.





Gvantsa Gvantseladze

Sokhumi State University, Georgia

The Word Symbol Heart in "The Knight in the Panther's Skin"

(Abstract)

The poem by the XII century Georgian poet Shota Rustaveli "The Knight in the Panther's Skin" is interesting in many respects, its poetry research is still going on from different angles.

The goal of our research is to find out how the word-term "heart" is used in the poem "The Knight in the Panther's Skin" (1189-1207) by Shota Rustaveli, and what new meaning it had in the mentioned work. It is not accidental to select the text of this poem, since the "The Knight in the Panther's Skin" is the work of transition period and is consisted of both archaic and new linguistic facts at the same time. In addition, the author of the poem does not avoid making a contribution to the word, which implies a complete new semantic character of the words in the language.

The analysis of the usage of the word **heart** in the poem's text has shown that this word has been very popular at the edge of XII-XIII centuries: it was used not only as an independent word, but its root was composed of composites, phraseology and solid words, and also was used with the functions of symbols denoting the various notions as well.



2014- 2015 DOIT - ის დაიჯესტი

მოამზადეს ლია ახალაძემ და თამარ ჯოჯუამ

➤ ტრენინგი Tempus - ის საერთაშორისო პროექტის DOIT -ის ფარგლებში

2014 წლის 3-5 თებერვალს, ტემპუსის პროექტის „კურიკულუმის რეფორმის საერთაშორისო მოდელის განვითარება მულტიკულტურული განათლებისა და კულტურული მრავალფეროვნების სწავლებისათვის“ ფარგლებში, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ჩატარდა „აკადემიური პერსონალის ტრენინგი მულტიკულტურული განათლების ხელშეწყობისათვის საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში: DOIT-ის კურიკულუმის რეფორმა“.

